

პროგრესი და მოსაგვარებელი საკითხები

A3



არასამთავრობო სექტორის მკაცრი შეფასება

A4



თქვენი აფხაზეთი

A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 4 მაისი, 2006 წელი. №96 (1248)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ბრალდებები და კომენტარები

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მიხეილ კამინინი საქართველოს გუდაუთის ბაზის საკითხის ირგვლივ სპეკულაციაში ადანაშაულებს. როგორც კამინინმა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "ნოვოსტის" განუცხადა, სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, რუსეთმა აღებული ვალდებულება სრულად შეასრულა და გუდაუთაში სამხედრო ბაზა გაუქმებულია.

A2

## პროექტი

### "საქართველოსთან ურთიერთობების თემას ვერ გავექცევით"

გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ შემოკლებულ ინტერვიუს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრთან ალექსანდრე ანქვაბთან.

A5

## რევიუ

### პირველი ქართული როკ-კანტატა. ასრულებს 130 მუსიკოსი

"ეს იქნება აბსოლუტური სიახლე ქართველი მსმენელისთვის. რას იტყვით, მგონი რაღაც სასიკეთოდ ამოძრავდა", "ნამდვილად არ მეგონა, თუ საქართველოში რაღაც ეგეთის გაკეთება შეიძლებოდა", "რა წინ მიდის ჩვენი თაობა, მართლა კაია!", "wow!" - ეს ფრაზები თბილისის ფორუმებზე რამდენიმე დღის წინ გაჩნდა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 4/05 | 5/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ყვარელი | 13 | 20 |
| სოხუმი | 16 | 19 |
| გორი | 13 | 19 |
| ონი | 5 | 12 |
| ზუგდიდი | 15 | 23 |
| ახმეტა | 18 | 20 |
| გაგრა | 17 | 17 |
| სამტრედია | 15 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| თვალსაზრისი | A 8 |

# ერთიანი ხედვა საერთო სამეზობლოსთვის

ხავიერ სოლანა
*ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი*

3-5 მაისს ვილნიუსში მიმდინარეობს სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია, სახელწოდებით "ერთიანი ხედვა საერთო სამეზობლოსათვის". ეს კონფერენცია 1997 წლიდან ტარდება და მასზე ევროპისთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები განიხილება. წლევანდელი სამიტი ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსისა და პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პატრონაჟით გაიმართება.

ვილნიუსის კონფერენციის დღის წესრიგის უმთავრესი ადგილი დემოკრატიის ზონის შემდგომი გაფართოებისა და ერთიანი და თავისუფალი ევროპის კონცეფციაში ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების შესვლის საკითხს უკავია.

აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების ფონზე პრეზიდენტები განიხილავენ ძველი და ახალი დემოკრატიის თანამშრომლობისა და პარტნიორობის საკითხებს.



*"ევროკავშირსა და ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობის ხარისხი, ამ ქვეყნებში რეფორმებისა და დემოკრატიის განვითარების ხარისხზეა დამოკიდებული".*

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლიტვაში მიმდინარე კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გუშინ გაემგზავრა. იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემებსა და პერსპექტივებზე ისაუბრებს. გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან შექმნილ სირთულეებზეც გაამახვილებს ყურადღებას.

სახელმწიფოთა მეთაურები სამიტის ბოლოს დეკლარაციას გააფორმებენ.

აღნიშნულ კონფერენციასთან დაკავშირებით, ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ "24 საათს" გამოუგზავნა სტატია, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბრიუსელი ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოებში (მათ შორის საქართველოში) რეფორმებისა და დემოკრატიის განვითარებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევროპა კავკასიაში შემოდის

## რუსეთი წასვლას არ აპირებს

*ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი ოფიციალური პრიორიტეტი კავკასია, კერძოდ კი რეგიონში კონფლიქტების მოგვარება გახდება. ეს კი რუსეთის ინტერესებთან პირდაპირ "შეჯახებას" ნიშნავს. რა ამოძრავებს ევროკავშირს და რას დაუპირისპირებს ევროპის გეგმებს რუსეთი?*

დიმიტრი ავალიანი

2007 წლის იანვარში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გერმანია ხდება. გერმანული გამოცემის "Die Welt" ინფორმაციით, გერმანია ევროკავშირის ორ მთავარ პრიორიტეტს განიხილავს - ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები და "საგარეოპოლიტიკური შეტევა კავკასიის მიმართულებით".

გერმანული გამოცემა იუწყება, რომ ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი გეგმავს, "კავკასია ევროპას დაუახლოვოს" და ამის გამოცხადებას საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებს შორის უკვე ამ თვეში აპირებს. გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის ექსპერტის, როლანდ გეტცის აზრით, **"კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონი ევროკავშირში გერმანიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. კავკასიას განსაკუთრებულ რეგიონს უწოდებენ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ევროპელების ყურადღების ცენტრში არ იმყოფებოდა"**.

რა აინტერესებთ ევროპელებს კავკასიაში?

როლანდ გეტცის აზრით, რესურსების თვალსაზრისით, კავკასიას განსაკუთრებით დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს. ამერიკელებისთვის კავკასია მასშტაბური გეოპოლიტიკური კომბინაციებისათვის (ირანსა და ახლო აღმოსავლეთში) ერთგვარ "ხიდს" წარმოადგენს. ევროპისთვის კი, დაინტერესების საბაბი სხვაგვარია. **"ევროპა კავკასიას ერთგვარ "პოლიტიკურ პაციენტად" განიხილავს, რომელსაც დასმული აქვს დიაგნოზი - "ეთნიკური კონფლიქტურობა,"** - მიიჩნევს რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი. მისი აზრით, ევროპელ პოლიტიკოსთა პრიორიტეტი ეთნიკური კონფლიქტების მოწესრიგება და ევროპული ღირებულებების გავრცელებაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# 500 მეწარმე ბაზრიდან დაუსაბუთებლად განდევნის გამო ჩივის

## საქართველოში თავისუფალ კონკურენციაზე 12-კაციანი სააგენტო ზრუნავს

**B**

*რა მეთოდებით ხდება ბაზარზე ახალი მოთამაშის გამოჩენა და მათი დამკვიდრება, ძლიერი მოთამაშის განდევნა, ან კიდევ კომპანიის გადასვლა მონოპოლისტურ მდგომარეობაში, ხშირად უცნობი რჩება. საზოგადოება პოლიტიკოსებისგან იგებს იმ კომპანიების საქმიანობის შესახებ, რომლებშიც თანამდებობის პირების საკუთარი ინტერესები აქვთ.*

- **ამერიკული მოდელი ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგია. იგი თავიდანვე კონტროლს აწესებს პროცესზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე.**
- **ევროპული მოდელი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ.**
- **ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, კონკურენტული კანონმდებლობის განვითარება მიმდინარეობს როგორც ამ ორი მოდელის დაახლოებისა და უნიფიცირების, ასევე მათ შორის განსხვავებათა წაშლის გზით.**

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A6



# ფოთის ბიუჯეტში ცვლილებებია

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

მეორე კვირაა, ფოთის საკრებულო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე მსჯელობს. თუ რამდენიმე დღის წინ ადგილობრივი თვითმმართველები საკითხის გადადების მიზეზად მთავრობის დადგენილების დაგვიანებულ გაცნობას ასახელებდნენ, 2 მაისის სხდომაზე მათ გაჭირვებული მოსახლეობის სტაციონალური მკურნალობის უზრუნველყოფის პროგრამის სუბსიდიების, სუბვენციებისა და მიმდინარე ტრანფერტების ხარჯების 50 ათასი ლარით შემცირება გააპროტესტეს. მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოთავისუფლებული თანხები მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამუშაოებს უნდა დაემატოს.

**"ბიუჯეტის დამტკიცების დროს სტაციონალური მკურნალობისთვის 130 ათასი ლარის გამოყოფა, მხარის გუბერნატორის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოვახერხეთ. ეს თანხა ჩვენ მივეცით შეჭირვებულ მოსახლეობას, და ჩვენვე ნუ წავართმევთ. არ დავაგოთ ერთ ქუჩაზე ასფალტი და ადამიანებს დავეხმაროთ," - განაცხადა** საკრებულოს წევრმა მალხაზ ბუკიამ.

ფოთელმა თვითმმართველებმა მალარიის წინააღმდეგ, ამერიკულ პეპელასა და კოღოსთან ბრძოლის პროგრამების დაფინანსების შეჩერება მოითხოვეს. მათი განხორციელებისთვის 48 ათასი ლარი უნდა დაიხარჯოს. საკრებულოს წევრი, მემარჯვენე ირაკლი კაკულია პეპელასა და კოღოსთან ბრძოლას ცუდ პიარს უწოდებს და ამბობს, რომ დეკემბერში, არჩევნებისას, მოსახლეობას გატარებული ღონისძიებები არ გაახსენდება .ზამთრის სიცივის გამო კი მაინც არც ერთი არ შეაწუხებს ქალაქს.

ხმაურიანი განხილვის შემდეგ საკრებულომ აღიარა, რომ სამივე პროგრამის დაფინანსება აუცილებელია, მაგრამ თანხები სხვა წყაროდან, თუნდაც მერის სარეზერვო ფონდიდან უნდა დაიხარჯოს. ბიუჯეტში ცვლილებები დამტკიცდა. მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამუშაოებს 287 ათასი ლარი დაემატა. ჯანდაცვის მუხლი 50 ათასით არ შემცირებულა. მალარიის, ამერიკულ პეპელასა და კოღოს წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსების ახალი წყარო მთავრობამ საკრებულოს უახლოეს დღეებში უნდა წარუდგინოს.

# ცესკო-ს თავმჯდომარე ევროსაბჭოს დელეგაციას შეხვდა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი გუშინ ევროსაბჭოს დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირქტორი ჟან ლუი ლორანი ხელმძღვანელობს.

დელეგაციის წევრებს ცესკო-ს თავმჯდომარემ 2006 წელს ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მზადების სტრატეგია გააცნო. მხარეებმა ისაუბრეს საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესსა და მათ მომავალ საქმიანობაზე. შეხვედრაზე ცესკო-ს თავმჯდომარემ და ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონსა და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ კანონში" ბოლო დროს შეტანილ ცვლილებებზე.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. სტუმარია პარლამენტარი* ***მაია ნადირაძე.***

**დავით კიკალიშვილი:** ქალბატონო მაია, სანამ პრეზიდენტი საქართველოს დსთ-დან გამოსვლის მზადებასთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებდა, მანამდე ეს თქვენთვის ცნობილი იყო?

**მაია ნადირაძე:** არც ერთი იდეა არ იბადება ერთ წუთში. ცხოვრება და რეალობა გიბიძგებს ისეთი გადაწყვეტილებისაკენ, რომელიც იოლი არ არის, თუმცა ეს ღირსების მთავარი შემადგენელი ნაწილია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ადამიანისთვის და ა.შ. ამაზე საუბარი დიდიხანია მიდის.

**დ.კ.** საინტერესოა, რა განწყობაა თვითონ უმრავლესობაში?

**მ.ნ.** მეტ-ნაკლებადაა წარმოდგენილი ის ადამიანები პარლამენტში, რომლებმაც ხმა მისცეს დსთ- ში შესვლას, დიდ ნაწილს კი, შეხება არ ჰქონია. ისინი იღებდნენ იმ, ინფორმაციას, ემოციასა და დამოკიდებულებას, რომელიც ცოტა უფრო გამოცდილ პოლიტიკოსებში არის. დსთ-ში შესვლა იყო სამარცხვინო ფაქტი. მე არ ვიცი, მაშინ ამდენი შეურაცხყოფის ატანა როგორ შევძელით, მაგრამ, ალბათ, როგორც მე, ისე დანარჩენებიც, თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, რომელიც შემდეგ გაირღვა.

**დ.კ.** ჩვენ ახლა გადაცემაში ჩაგვერთვება ვახტანგ გოგუაძე, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღების დროს, ედუარდ შევარდნაძის გვერდით იჯდა. ბატონო ვახტანგ, დღევანდელი გადასახედიდან, ხომ არ ნანობთ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეთ?

**ვახტანგ გოგუაძე:** არა, პირიქით ყოველდღე ღმერთს სანთელს ვუნთებ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი მაგინებს და მაფურთხებს, რომელიც მაშინ ბრმა, მოდური და პოპულისტური შეხედულებეისგან გადარჩა. ამ პოლიტიკოსებისთვის რომ დამეჯერებინა, წარმოიდგინეთ ესენი იმასაც ვერ მიხვდნენ, რომ ესენგე შექმნილი იყო ამერიკელების მიერ. მაშინ, ეს საქართველოს ერთ-ერთი გადარჩენის საშუალება იყო. ვისაც არ აქვს ავადმყოფი მეხსიერება, თუ გაიხსენებენ 1992-93 წლებს, საქართველო სახელმწიფოდ აღარც კი იხსენიებოდა.

**მ.ნ.** თქვენი დამსახურებით, თქვენნაირი მანქურთების გამო. მატყუარა და ცრუპენტელა ხართ. სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდით, დაძვრებოდით და თქვენ საქმეებს აკეთებდით. თქვენნაირების გამოა, რომ ქვეყანა ველარ ამოდის ფსკერიდან.

**ვ.გ.** ქალბატონო მაია, თქვენი ხელობა ხომ, წყევლა, ლანძღვა და სიძულვილია...

**მ.ნ.** თქვენი ხელობა კი ამ ქვეყნის დასამარებაა...

**ვ.გ.** ვინ ასამარებს, ეს ღმერთმა კარგად იცის. მე უფალს მადლობას ვწირავ, რომ საქართველო გადარჩა.

**მ.ნ.** საქართველო კი არა, გადარჩა, თქვენი ხელისუფლება გადარჩა...

**დ.კ.** ბატონო ვახტანგ, მაინც პრაგმატულად, რომ შეხედოთ ამ სიტუაციას, რა სიკეთე მოვიპოვეთ, რა პლიუსები და რა მინუსები ჰქონდა თანამეგობრობაში შესვლას?

**ვ.გ.** საქართველო იმ დროს წელში გაწყვეტილი იყო. თექვსმეტი არაფორმალური შეიარაღება თარეშობდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნატამალი აღარ ჰქონდა. დსთ-ში შესვლას დადებითი ის მხარე ჰქონდა, რომ საქართველომ კურსი აიღო სახემწიფოებრიობისაკენ. ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან მტრობას მეგობრობა ნამდვილად ჯობია. ამას ღმერთიც და ხალხიც ხედავს. ამის დანახვა მარტო პოლიტიკოსთა ავადმყოფ ცნობიერებას არ შეუძლია...

**მ.ნ.** უნივერსიტეტის პარტკომისგან ჭკუის დარიგებას ნამდვილად ვერ მივიღებ.

**ვ.გ.** მე დაგლოცავთ თქვენ, რომ ჭკუაზე მოსულიყავით...

**დ.კ.** ბატონო ვახტანგ, რამდენად სწორია დღეს დსთ-დან გამოსვლა?

**ვ.გ.** რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას ამერიკისაგან ექნება თახმობა, რომ გამოვიდეთ. ახლა თანამეგობრობა ფაქტობრივად არაფერია და ამიტომ ჯობია, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი.

# პარლამენტი და მთავრობა: დათმობა დათმობის სანაცვლოდ...

გიორგი ასანიშვილი



*გუშინ ფინანსთა მინისტრს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტშიც თხოვდნენ ფულს.*

პარლამენტის საკომიტეტო სხდომები ერთადერთი ღონისძიებაა, რომელზეც ბოიკოტის "რეჟიმი" არ ვრცელდება და უმრავლესობა-ოპოზიციის დაპირისპირება ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. თუმცა, ხელისუფლების ოპონენტები ამ "შანსს" ყოველთვის არ იყენებენ. პარტიული კონფრონტაციის გარეშე ჩაიარა ევროინტეგრაციისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გუშინდელმა გაერთიანებულმა სხდომამაც, რომელზეც 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები იხილებოდა.

ოპოზიციური ბანაკიდან მოსმენაში მხოლოდ ივლიანე ხაინდრავა მონაწილეობდა, რომელმაც ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი მსუბუქად გაკიცხა, კანონპროექტი არასრულყოფილიაო. "რესპუბლიკელი" დეპუტატი იმითაც იყო უკმაყოფილო, რომ თითქმის 200 მილიონი ლარით გაზრდილმა ბიუჯეტმა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს "გვერდი აუარა". იგივე საკითხი დააყენა უმრავლესობის წარმომადგენელმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრმა ლევან დუჩიძემ.

**"როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 20 მილიონ ლარზე მეტით იზრდება, რატომ ვერ მოიძებნა ვერაფერი საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის, რომელიც ამ სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია?"** - გაოცება ვერ დამალა დუჩიძემ და ფინანსთა მინისტრისგან მოითხოვა, რომ ბადრი ბიწაძის უწყებისთვის გარკვეული სახსრები გამოყოს.

**"სასაზღვრო-გამშვები პუნქტები მძიმე მდგომარეობაშია, განსაკუთრებით - ჩრდილოეთ საზღვარზე. არადა, მათი ნორმალური მოწყობისთვის 300-400 ათასი ლარი სრულიად საკმარისია,"** - ლექსო ალექსიშვილს "ნამუსზე აგდებს" საპარლამენტო უმრავლესობის წევრი.

ეს პრეტენზიები ფინანსთა მინისტრს გაუმართლებლად მიაჩნია. მისი განცხადებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის 2006 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები ამ უწყების ნორმალური ფუნქციონირებისთვის სავსებით საკმარისია. თუმცა, ალექსიშვილი სახელისუფლებო ფრაქციის წევრის თხოვნაზე უარს გადაჭრით არ ამბობს და დუჩიძეს ჰპირდება, რომ მთავრობა მისი წინადადების გათვალისწინებას შეეცდება.

გუშინ ფინანსთა მინისტრს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტშიც თხოვდნენ ფულს. კოტე გაბაშვილის კომიტეტის დასკვნაში შეტანილი ფორმულირება ასეთია: "ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის, კერძოდ კი ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გააქტიურებისა და მხარდასაჭერად, მიზანშეწონილია შეიქმნას ნატო-ში გაწევრიანების სახელმწიფო ფონდი. მისი ფინანსური უზრუნველყოფა, 350-400 ათასი ლარის ოდენობით, უნდა მოხდეს დამატებით მოზიდული სახელმწიფო შემოსავლების ასიგნებიდან". საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ამ ინიციატივას ევროინტეგრაციისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებიც უჭერენ მხარს.

182-მილიონიანი რეზერვის პირობებში, მთავრობა პარლამენტს ასეთ "წვრილმანებზე", ალბათ, არ მოიმდურებს. მით უმეტეს, აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონმდებლებთან "შემხვედრი თხოვნაც" აქვს: ფინანსთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ გობეჯიშვილის მიერ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ კანონის მოთხოვნები ენერგოსისტემაზე არ უნდა გავრცელდეს.

**"რეაბილიტაციისა და ავარიების შედეგების აღმოსაფხვრელად, ამ სფეროში ხშირად არის საჭირო გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება,"** - ასე ხსნის გობეჯიშვილი ტენდერების ჩატარებისგან ენერგოსისტემის გათავისუფლების საჭიროებას.

თუმცა, საეჭვოა, ამ საკითხის განხილვამ პლენარულ სხდომაზე უხმაუროდ ჩაიაროს: "24 საათი" უკვე წერდა, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობის ანალოგიურ თხოვნაზე პარლამენტის თავმჯდომარესა და უმრავლესობის ზოგიერთ ლიდერს საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა.

# ბრალდებები და კომენტარები

## ქართულ-რუსული დავა გუდაუთის ბაზის გარშემო გრძელდება

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მიხეილ კამინინი საქართველოს გუდაუთის ბაზის საკითხის ირგვლივ სპეკულაციაში ადანაშაულებს.

როგორც კამინინმა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "ნოვოსტის" განუცხადა, სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, რუსეთმა აღებული ვალდებულება სრულად შეასრულა და გუდაუთაში სამხედრო ბაზა გაუქმებულია.

**"2002 წლის ივლისში ეუთო-ს ჯგუფი ეწვია გუდაუთას და ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ დაედასტურებინათ ბაზის გაუქმება, თუმცა სათანადო მანდატის არქონის გამო, ჯგუფმა ბაზის დახურვა ფორმალურად ვერ დააფიქსირა",** - განაცხადა კამინინმა.

საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთმა თანხმობა განაცხადა გერმანიის ინიციატივაზე გუდაუთაში საერთაშორისო მისია გაეგზავნა, თუმცა კამინინის თქმით, საქართველომ ამ ჯგუფისთვის შესაბამისი მანდატის მინიჭება და ბაზაზე გაგზავნა დაბლოკა.

**"ამ არაკონსტრუქციული პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, ჩვენ კვლავაც მზად ვართ, აღნიშნული მისია მივიღოთ გუდაუთაში, რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფილ ობექტებზე, სადაც ამჟამად დსთ-ს სამშვიდობოები არიან განთავსებული და ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ სპეკულაციები ამ პრობლემის ირგვლივ",** - განაცხადა კამინინმა.

რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით რუსეთის მხარის მიერ გაკეთებული კომენტარი წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის მორიგ მცდელობას.

**"პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის 1999 წლის საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება არის ადაპტირებული ეჩშძ (ევროპაში ჩვეულებრივი შეირაღებული ძალების - რედ.) ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შესაბამისად, წარმოადგენს არა ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ საერთაშორისო ვალდებულებას,** - აცხადებს საგარეო უწყება და იქვე ხაზს უსვამს, - **სწორედ აღნიშნული განცხადებით განსაზღვრული ვალდებულებების სრული შესრულება, მათ შორის, გუდაუთის სამხედრო ბაზის საბოლოო დახურვა, ეუთო-ს თანამეგობრობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის წარმოადგენს ადაპტირებული ეჩშძ ხელშეკრულების ძალაში შესვლის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას, რაც არაერთგზის დაფიქსირებულა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში."**

რაც შეეხება 2002 წლის 15 ივნისს ჩატარებულ ეუთო-ს წარმომადგენლების ვიზიტს გუდაუთის ბაზაზე, ქართული მხარე აღნიშნავს, რომ მისიის მიზანს წარმოადგენდა არა ბაზის დახურვის საკითხის ფორმალური ან თუნდაც არაფორმალური დაფიქსირება, არამედ შემდგომში ინსპექციების მომზადება, რაც ასახულია კიდეც საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ 2002 წლის 19 ივნისს გავრცელებულ ანგარიშში.

სინამდვილეს არ შეესაბამება ასევე განცხადება, რომ საქართველოს მხარე ბლოკავს გერმანიის ინიციატივას გუდაუთაში საერთაშორისო მისიის წარგზავნის შესახებ. სამმხრივ ფორმატში (საქარველო, რუსეთი, გერმანია) გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლებიც უშედეგოდ დასრულდა სწორედ რუსეთის მხარის ხისტი პოზიციის გამო. **"ამავე დროს მოგვეპოვება დოკუმენტური მასალა, რომლის თანახმადაც გუდაუთის ბაზაზე დარჩენილია შეიარაღება, საწყობები, სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, ექსპლუატაციაშია ასაფრენი ბილიკი და მუშაობს სამხედრო კომენდატურა, რაც ნიშნავს, რომ ბაზა არ არის დახურული და განაგრძობს ფუნქციონირებას,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

დაბოლოს, რაც შეეხება დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალებს, რომლებიც ასევე იმყოფებიან გუდაუთის ბაზის ტერიტორიაზე, ოფიციალური თბილისი ხაზს უსვამს, რომ ამის არანაირი ლეგალური საფუძველი არ არსებობს და საქართველოს მხარემ არაერთხელ მოითხოვა ბაზის დაცლა როგორც დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისაგან, ასევე რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისაგან.

*24 საათი*

# ახალქალაქი რუსული ტექნიკის გარეშე

ახალქალაქში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზიდან ტექნიკის გასაყვანად მოსამზადებელი სამუშაოები იწყება. ტექნიკის გაყვანის პროცესი კი 15 მაისიდან დაიწყება და 15 აგვისტოს დასრულდება.

ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ და მისმა რუსმა კოლეგამ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ევნევიჩმა მიმდინარე წლის 10 აპრილს თბილისში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს.

მხარეების მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, 15 მაისიდან ყოველი კვირის განმავლობაში ერთი ეშელონის რკინიგზის ვაგონი დაიტვირთება და 15 აგვისტომდე ახალქალაქის სამხედრო ბაზა შეიარაღებისა და ტექნიკისაგან მთლიანად დაიცლება. აღნიშნული ტექნიკა რუსეთში წალკისა და აზერბაიჯანის გავლით რკინიგზით გავა.

ახალქალაქის სამხედრო ბაზაზე დღეისათვის 700-ზე მეტი ტანკი, ჯავშანმანქანა, საარტილერიო სისტემების სხვადასხვა იარაღი, მძიმე და მსუბუქი ტექნიკაა მობილიზებული. 2005 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორია დატოვა 40 ერთეულმა მძიმე და რამდენიმე ათეულმა საავტომობილო ტექნიკამ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა სამხედრო ობიექტები, მათ შორის - გონიოს სამხედრო პოლიგონი, დაცული სამეთაურო პუნქტი "ზვეზდა" და 66-ე კავშირგაბმულობის კვანძი დაბა კოჯორში.

ისრაელის დამოუკიდებლობის 58 წლისთავი იზეიმეს ისრაელის დამოუკიდებლობის 58 წლისთავის აღსანიშნავად გალა-კონცერტი რუსთაველის თეატრში უკვე დაიწყო. კონცერტის საქართველოსა და ისრაელის ჰიმნების თანხლებით გაიხსნა. დამსწრე საზოგადოებას და მსოფლიო ებრაელობას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, თბილისის მერმა და ისრაელის ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურიმ მიმართა.

ისრაელის ელჩი შაბთაი ცური აცხადებს, რომ დღევანდელი დღე მათთვის დიდი დღესასწაულია. მისი თქმით, ისრაელმა დიდი განსაცდელი გადაიტანა და, მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

დღევანდელ ღონისძიებაზე 800-მდე სტუმარია მოწვეული, მათ შორის არიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის და ებრაული თემის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, სტუმრები ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გალა-კონცერტში ისრაელის და საქართველოს ესტრადის ვარსკვლავები მონაწილეობენ. საზეიმო ღონისძიება ისრაელის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

შაბთაი ცურის განცხადებით, ასეთი მასშტაბით ისრაელის დამოუკიდებლობის დღე საქართველოში არასოდეს აღუნიშნავთ. მისივე თქმით, საზეიმო ღონისძიების გრანდიოზულობა მნიშვნელოვნად განაპირობა ისრაელ-საქართველოს ურთიერთობების სრულიად სხვა, ახალ ფაზაში გადასვლამ.

"იმედია, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა განვითარდება ყველა სფეროში. ისრაელისა და საქართველოს თანამშრომლობას დიდი პერსპექტივა აქვს და დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ორივე ქვეყანას სარგებლობას მოუტანს", - აცხადებს ისრაელის ელჩი საქართველოში.

დღესვე, რუსთაველის თეატრის ფოიეში გაიხსნა გამოფენა - "ქართველი მხატვრები ებრაულ თემაზე".

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### დევნილებს ქონებრივი დეკლარაციის შესავსებად თბილისში ჩამოსვლა აღარ დასჭირდებათ

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სპეციალური ჯგუფები რეგიონებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასთან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უძრავი ქონების აღწერის პროცედურების გაცნობის მიზნით შეხვედრებს იწყებენ. როგორც სამინისტროში აცხადებენ, დევნილებს ქონებრივი დეკლარაციის შესავსებად თბილისში ჩამოსვლა აღარ დასჭირდებათ და სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებში გაივლიან "წესით " გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ პროცედურას. როგორც ცნობილია, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საპრეზიდენტო პროგრამის "ჩემი სახლი" განხორციელება 9 აპრილიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე ქონებრივ დეკლარაციებს ავსებენ დევნილები ცხინვალის, გალისა და გაგრის რაიონებიდან. **ინტერპრესნიუსი**

### გლდანულაში N69 ავტობუსი იმოძრავებს

გლდანულას დასახლებიდან მეტროსადგურ "ახმეტელამდე" №69 ავტობუსი იმოძრავებს. ახალი სამარშრუტო ხაზის პრეზენტაციას თბილისის მერი გიგი უგულავა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჩიკვილაძე ესწრებოდნენ. ჩიკვილაძის განცხადებით, №69 ავტობუსი დროებით, გზის საფარის აღდგენამდე მეტროსადგურ "ახმეტელამდე" იმოძრავებს. ერთ თვეში კი მისი მარშრუტი გაიზრდება. N69 ავტობუსი გლდანულადან-ბაგებამდე წერეთლის, თამარ მეფის გამზირების, საბურთალოს გავლით მივა ბაგებში. პირველ ეტაპზე გლდანულადან 10 "პაზის" ტიპის ავტობუსი იმოძრავებს, შემდეგ კი "დაფის" ავტობუსები. **ინტერპრესნიუსი**

### გიგი უგულავამ დიდ დიღომში უფასო სასადილო გახსნა

დიდ დიღომში, აღმაშენებლის გამზირზე დღეს თბილისის მერმა გიგი უგულავამ უფასო სასადილო გახსნა. უმწეოთათვის განკუთვნილ ულუფას დეგუსტაცია მან პირადად ჩაუტარა. უფასო სასადილო ყოველდღიურად 120 ადამიანს მოემსახურება. ეს საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, დიდ დიღომში გახსნილი უკვე მე-2 სასადილოა. პროექტ "100 უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" ფარგლებში საქართველოში 82 სასადილო მოქმედებს. **ინტერპრესნიუსი**

### საღამოს საათებში ავტობუსები ახალი გრაფიკით იმოძრავებენ

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური თბილისში საღამოს საათებში ავტობუსების მოძრაობის გრაფიკს ადგენს, რომელსაც მოსახლეობას რამდენიმე დღეში წარუდგენს. როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, ავტობუსების მოძრაობის სქემაზე მუშაობა ამ დროისთვისაც მიმდინარეობს, რის შემდეგაც გაირკვევა, რა მიმართულებებით რომელ საათამდე იმოძრავებს ავტობუსები. ჩამოყალიბებული სქემა ავტობუსებში გაიკვრება და მოსახლეობას მისი გაცნობის საშუალება მიეცემა. დღეისათვის თბილისში 80 საავტობუსო ხაზზე 350 ავტობუსი დადის. **ინტერპრესნიუსი**

### რუსი სამშვიდობოები გამოძალვაში არიან მხილებული

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსი ცისფერჩაფხუტიანების მიერ 29-30 აპრილს გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს გამოეხმაურა. საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, რუსი მშვიდობისმყოფელები, მძიმე ტექნიკის გამოყენებით გალის რაიონის სოფლებში პატრულირების დროს ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს უმოწმებდნენ და მათგან ასევე ითხოვდნენ ე.წ. ფორმა №9-ს. ამ ფორმის შევსება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განკარგულებით, ყველა ადგილობრივი მაცხოვრებლისათვის სავალდებულოა აფხაზეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადასაადგილებლად. "დოკუმენტის" არმქონე პირებს, რომლებიც ზუგდიდის მიმართულებით მიდიოდნენ, რუსი მშვიდობისმყოფელები 10 ლარს სძალავდნენ. "ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რუს სამშვიდობოთა მხრიდან ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო", - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს ცისფერჩაფხუტიანების დანაშაულებრივ საქმიანობას და მოუწოდებს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს - გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოსა და სამშვიდობო პროცესში მონაწილე ქვეყნებს, რუსეთის სამშვიდობო ძალების უკანონო მოქმედებაზე სათანადო რეაგირება მოახდინონ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ერთიანი ხედვა საერთო სამეზობლოსთვის

პირველი გვერდიდან

ევროკავშირს განზრახული აქვს, ევროპის მთელ კონტინენტზე საერთო სამეზობლო ააშენოს. ეს ხედვა დაფუძნებულია ჩვენს ერთგვარ დამოკიდებულებაზე დემოკრატიისადმი - საფუძველზე, რომელზეც თავად ევროკავშირი აშენდა და იმ ზიარ ვალდებულებებზე, რასაც ეს პრინციპი გულისხმობს.

ევროკავშირი წარმოადგენს მოდელს, რომლის მიღწევაც საზოგადოებებს უნდათ საკუთარი მოქალაქეებისთვის. იგი სტიმულს აძლევს მთავრობებს, გარდაქმნები განახორციელონ თავიანთ ქვეყნებში. გაფართოების პროცესის საშუალებით, ევროკავშირმა პრეტენზია განაცხადა თავისუფლების, დემოკრატიისა და სტაბილურობის მზარდი არეალის შექმნაზე.

ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ახალ დემოკრატიებს. მათ თავიანთ სტრატეგიულ მიზნად ევროკავშირთან დაახლოება, უფრო მეტიც, გაწევრიანება დაისახეს. ერთად ჩვენ შევძლებთ გავუმკლავდეთ გარდამავალი საზოგადოების წინაშე წარმოქმნილ საფრთხეებს; აღვჭურვოთ ისინი ისე, რომ გაუძლონ თანამედროვე მსოფლიოს ქარტეხილებს, რითაც, ამავდროულად, ჩვენი მოქალაქეების სურვილებსაც დავაკმაყოფილებთ.

უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრს საუბრობენ დემოკრატიის შესახებ, მაგრამ მისი განვითარება პრაქტიკაშია აუცილებელი. დემოკრატია არ არის მხოლოდ თეორია და რიტორიკა. ის უფრო მეტად ქმედება და პრაქტიკული რეფორმებია.

ლიტვამ უკვე განვლო დემოკრატიისკენ ტრანსფორმაციის გზა. ის ახლა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრია და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს მასში. ეს ძალიან დიდი მიღწევაა. თუმცა, ლიტველებმა კარგად იციან, რომ დემოკრატიის მშენებლობა და საზოგადოების გარდაქმნა მუდმივად განგრძობადი პროცესი უფროა, ვიდრე ერთჯერადი მოვლენა.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენ ძირეული გარდაქმნების მომსწრენი გავხდით რეგიონში. მოსახლეობა საკუთარი პოლიტიკური მომავალის ბატონპატრონი გახდა. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საქართველო და უკრაინა. მათ სურდათ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. უფრო გრძელვადიან და ფუნდამენტურ პერსპექტივაში - მათ სურდათ ეცხოვრათ უკეთეს, უფრო გამჭვირვალე საზოგადოებაში. ეს იდეალები რეგიონის ხალხებმაც გაიზიარეს.

საქართველოსა და უკრაინის მოვლენებმა ასევე სტიმული მისცა რეგიონში მცხოვრებ, დემოკრატიზაციის მოსურნე ერებს. ბელარუსში, ჩვენ ვხედავთ სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებასა და ოპოზიციის გარშემო კონსოლიდაციას. 19 მარტის სამარცხვინო საპრეზიდენტო არჩევნების წინაც და მის შემდეგაც, ხალხმა უდიდესი სიმამაცე გამოავლინა საკუთარი დემოკრატიული უფლებების დაცვისას. ისინი ჩვენს პატივისცემასა და სრულ მხარდაჭერას იმსახურებენ. სამწუხაროდ, ბელარუსის რეჟიმმა იერიში მიიტანა მშვიდობიან დემონსტრანტებზე, ასობით მათგანი დააპატიმრა და დაარბია. ევროკავშირმა მიიღო ზომები იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც არიან ამ შევიწროებებსა და უზნეობაზე პასუხისმგებელნი. მაგრამ, ამავდროულად, ევროკავშირმა ბელარუს ხალხს მხარდაჭერისა და თანადგომის მკაფიო სიგნალიც გაუგზავნა. დარწმუნებული ვარ, ერთ დღეს ისინიც მოესწრებიან დემოკრატიის გამარჯვებას თავიანთ ქვეყანაში.

დემოკრატიის დამყარების პირდაპირი გზა ინტიტუტების მშენებლობისთვის კონცენტრაციაში მდგომარეობს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, მაგალითად, დამოუკიდებელი და ხარისხიანი სასამართლოს დამკვიდრებაზე, მკაფიო და გასაგები კანონმდებლობის შექმნაზე, სრულყოფილად მოქმედი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და, ღია, კორუფციის წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლი მმართველობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, ამავდროულად, კანონის უზენაესობის თანახმად იმოქმედებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი



გამოწვევა ჩვენი რეგიონისთვის ე.წ. "გაყინული კონფლიქტებია". ევროკავშირი ცდილობს, დაეხმაროს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს მისაღები გამოსავალი იპოვნონ. ეს საკითხი ამჯერადაც და მომავალშიც აქტუალური იქნება სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში. თუმცა, კონფლიქტების მოგვარება მაინც მხარეთა ნება-სურვილზეა დიდად დამოკიდებული, ჩვენ მხოლოდ დახმარება შეგვიძლია საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის რუსეთთან ერთად, რომლის როლიც საბედისწეროა.

მეტიც, დემოკრატია და კონფლიქტების გადაწყვეტა ურთიერთდაკავშირებულია. დემოკრატიის კონსოლიდაციითა და გამართულად მომუშავე ინსტიტუტების ჩამოყალიბებით კი, კონფლიქტების გადაჭრა სავსებით რეალურია. ჭეშმარიტი დემოკრატია ყველა ინდივიდისა თუ ჯგუფის უფლებების დაცვას გულისხმობს.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს მოლაპარაკებების დაწყების რამდენიმე შესაძლო ელემენტი. ევროკავშირმა უკვე განაცხადა მზადყოფნა, დაეხმაროს მისაღები შეთანხმების შემუშავებაში მხარეებს. ეს წინადადება ჯერ კიდევ ძალაშია. მაგრამ მხარეებმა კონფლიქტი მაინც პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით უნდა გადაჭრან.

დემოკრატიის განვითარებაში პროგრესმა ახალი ბიძგი მისცა ევროკავშირსა და ახალ დემოკრატიებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. ჩვენ მნიშვნელოვანი ახალი მექანიზმები ავამოქმედეთ ამ ურთიერთობის მომავალში კიდევ უფრო გაღრმავებისათვის.

გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ უკრაიანასა და მოლდოვასთან სამოქმედო გეგმა. დასაწყისი მართლაც კარგია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, განსაკუთრებით - სამართლებრივ სფეროში. ჩვენ ამჯერად სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან ვათანხმებთ სამოქმედო გეგმას. მათი განხორციელება კი ევროკავშირის სამხრეთ კავკასიასთან კავშირს სულ სხვა დონეზე გადაიყვანს.

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების დღის წესრიგი და პოლიტიკური მიზნები საკმაოდ ამბიციურია. ისინი სულმოთქმელად ელიან ამ მიზნების უმოკლეს ვადებში განხორციელებას, მაგრამ მოთმინება და ფრთხილი განხორციელება ამ მიზნების მიღწევისთვის უმთავრესია.

დღევანდელი ამოცანა ჩვენს ხელთ არსებული მექანიზმების სრულად გამოყენებაა. კერძოდ, ხელი უნდა შევუწყოთ რეფორმირების პროცესის ნორმალურად წარმართვას და გამართულად მოქმედი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. 20 პატიოსანი და დამოუკიდებელი მოსამართლის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლიდერთა მიერ წარმოთქმული მღელვარე დეკლარაციები. საამისოდ უკვე არსებობს კარგი შედეგები, რაც ჩვენ მოტივაციას კიდევ უფრო ზრდის. ევროკავშირსა და ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობის ხარისხი ამ ქვეყნებში რეფორმებისა და დემოკრატიის განვითარების ხარისხზეა დამოკიდებული. ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობებიდან გამომდინარე კი, შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი მომავლის იმედი მართლაც გვაქვს.

დასკვნა საკმაოდ მარტივია: როცა საქმე ეხება ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების მომავალს, "გაყინული კონფლიქტების" მოგვარება და ევროკავშირთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება წინა პლანზე გადმოდის, ანუ წარმატება შინ იწყება. ინიციატივა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებისგან უნდა მომდინარეობდეს, ჩვენ კი უბრალოდ მაქსიმალური მხარდაჭერისა და დახმარების აღმოჩენა შეგვიძლია. ერთად ჩვენ შეგვიძლია დემოკრატიის განვითარება და საერთო მეზობლური ხედვის მიღწევა.

# პროგრესი და მოსაგვარებელი საკითხები

## "ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ნუსხა თანდათანობით მცირდება"

სოფო ბუკია

*ევროსაბჭოს წარმომადგენელი ჟან ლუი ლორანი სტრასბურგში საინტერესო შთაბეჭდილებებით ბრუნდება და აცხადებს, რომ საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული შეუსრულებელი ვალდებულებების ნუსხა თანდათანობით მცირდება.*

დღეს დასრულდება ევროსაბჭოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომელსაც ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორი ჟან-ლუი ლორანი ხელმძღვანელობს.

სამდღიანი ვიზიტის მიზანი საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შეფასებაა. დასკვნა ივლისში დაიწერება და გასაცნობად ევროსაბჭოს აღმასრულებელ ორგანოს - მინისტრთა კომიტეტს გაეგზავნება.

მანამდე კი ჟურნალისტებისთვის გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ჟან-ლუი ლორანი აღნიშნავს, რომ **"6 თვის წინ, საქართველოში მისი უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ, პროგრესი სახეზეა, მაგრამ რჩება მოსაგვარებელი პრობლემები"**.

პრესკონფერენციას ასევე საქართველოს წარმომადგენელი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილიც ესწრებოდა, რომელიც თბილისში ევროსაბჭოს დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა. **"ეს ვიზიტი ძალიან სასარგებლო მესიჯია ევროსაბჭოში, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ევროპას, თუ რა კეთდება საქართველოში და როგორ ვითარდება ჩვენი ქვეყანა,"** - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

როგორც ჟან-ლუი ლორანი აცხადებს, საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული შეუსრულებელი ვალდებულებების ნუსხა თანდათანობით მცირდება. ძირითად ვალდებულებათაგან დარჩენილია ორი - მესხთა რეპატრიაციისა და ეროვნულ უმცირესობათა ენასთან დაკავშირებული საკითხები.




*ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა, რომელიც საქართველომ ძალიან მალე უნდა ჩააბაროს - თვითმმართველობის არჩევნებია.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

და კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა, რომელიც საქართველომ ძალიან მალე უნდა ჩააბაროს - თვითმმართველობის არჩევნებია.

მესხთა რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს მაღალჩინოსანმა საქართველოში საგრძნობი პროგრესი შენიშნა. **"თუ მანამდე მხოლოდ სიტყვები იყო, ახლა კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ეს ვალდებულება 2011 წლისთვის უნდა შეასრულოს. წინა ხელისუფლებამ ბევრი დრო დაკარგა, ამ ხელისუფლებამ კი გაცდენილი დროის ანაზღაურება უნდა შეძლოს.**

**ეს რთული ამოცანაა, მაგრამ შესასრულებელი. საქართველომ ამ ადამიანთა სამშობლოში დაბრუნების იურიდიული საფუძველი უნდა შექმნას,"** - აღნიშნა ლორანმა.

რაც შეეხება რეგიონულ და ადგილობრივ უმცირესობათა ენების ქარტიასთან საქართველოს მიერთებას, რაც ასევე ევროსაბჭოს წინაშე აღებულ და შეუსრულებელ ვალდებულებათა შორისაა, ლორანი დარწმუნებულია, რომ საქართველო ამ საკითხსაც მალე გაართმევს თავს. **"ამ საკითხზე კონსტრუქციული დიალოგი გრძელდება,"** - აცხადებს იგი.

ვიზიტის ფარგლებში ევროსაბჭოს დელეგაცია ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელს, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდა.

ლორანი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრისას მან შეკითხვებზე "გულწრფელი და ღია" პასუხები მიიღო.

ამ ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი სასამართლო და პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე გაკეთდა. ლორანი აღნიშნავს, რომ ამ სფეროში პრობლემები მართლაც არის - **"განსაკუთრებით, სასამართლო და პენიტენციურ სისტემაში მომუშავე კადრების არასათანადო დონე,"** - აცხადებს ლორანი და მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ სისტემაში მომუშავეთათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება.

ლორანი მოხარულია, რომ საქართველოს პარლამენტმა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპულ კონვენციას რატიფიცირება მოახდინა. ასევე დადებითად შეფასდა ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინა GRECO-ს (ევროსაბჭოში არსებული ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) რეკომენდაცია და კორუფციასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

ევროსაბჭოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პროგრესი შეინიშნება რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხითაც. როგორც ჟან-ლუი ლორანი იხსენებს, ექვსი თვის წინ ამ კუთხით ვითარება გაცილებით უარესი იყო.

ევროსაბჭოს დელეგაციას შეუმჩნეველი არ დარჩა ისიც, რომ პარლამენტი დღეს ოპოზიციის ბოიკოტის რეჟიმში მუშაობს. ოპოზიციის ამ გადაწყვეტილების შეფასება ლორანმა არ ისურვა, რადგან ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ **"დემოკრატიულ საზოგადოებაში უპირატესობა დიალოგის პრინციპს ენიჭება და არა - ცარიელი სკამების."**

**"ადგილობრივი არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საქართველოსთვის და იმედი მაქვს, საქართველო ამ არჩევნებს ღირსეულად შეხვდება და ღირსეულად გაართმევს თავს დემოკრატიის გამოცდას. თუმცა, სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება დაკნინებულ იქნეს, თუ მასში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არ მიიღებენ მონაწილეობას და ეს ზოგადად საქართველოსთვის კარგი არ არის,"** - აცხადებს ლორანი.

ევროსაბჭოს დელეგაცია საქართველოს დღეს დატოვებს. როგორც აღმოჩნდა, თბილისში ყოფნისას ევროპელებმა ქართული ღვინოც დააგემოვნეს. ამასთან დაკავშირებით ჟან-ლუი ლორანმა ძველი ამბავიც გაიხსენა. **"მე თქვენს პრეზიდენტს ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როცა იგი სტუდენტის სტატუსით სტრასბურგში იმყოფებოდა. ჩვენ ხშირად ვკამათობდით, ფრანგული ღვინო სჯობდა თუ ქართული... პოზიციებს არც ერთი არ ვთმობდით. სხვათა შორის, მასთან ბოლო შეხვედრის დროს მე პირველმა დავიწყე ამ თემაზე საუბარი და ვაღიარე, რომ ქართული ღვინო მართლაც კარგი რამაა."**

# ევროპა კავკასიაში შემოდის

პირველი გვერდიდან

ეს გეგმა კი რეგიონში რუსეთის ინტერესებს მკვეთრად უპირისპირდება. როლანდ გეტცის აზრით, პრობლემას წარმოადგენს რუსეთის შეხედულება, რომ მას ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დარეგულირება დამოუკიდებლად შეუძლია, ევროპის ქვეყნები კი მას ამ მიმართულებით ერთობლივ ღონისძიებებს სთავაზობენ. ამგვარად, ევროპელები ეჭვქვეშ აყენებენ რუსეთის "ექსკლუზიურ" როლს არა მხოლოდ სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

**"რუსეთისათვის ამგვარი მიდგომის გაზიარება ნიშნავს საკუთარი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და მმართველობითი უსუსურობის აღიარებას,"** - აღნიშნავს სერგეი მარკედონოვი.

**"ევროპელების გეგმებზე მშვიდი რეაქცია უნდა გვქონდეს. უნდა შევყწვიტოთ ისტერიკა,"** - აცხადებს მარკედონოვი "24 საათთან" საუბარში, ევროკავშირის კავკასიურ პოლიტიკაზე რუსეთის შესაძლო რეაქციის კომენტირებისას.

მისი თქმით, რუსეთმა ევროპელებს **"პოლიტიკური რეალობა უნდა აუხსნას"**, რომ რუსეთს კავკასიაში ძლიერი პოზიციები აქვს. მაგალითად ის, რომ რუსეთის პოლიტიკის გავლენა დიდია სომხეთში, საკმაოდ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანში, აგრეთვე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსა და სამცხე-ჯავახეთში. **"უნდა ავუხსნათ მათ, რომ რუსულ პოლიტიკას კავკასიაში აქვს წარმატებები და "ახალი ამერიკის" აღმოჩენა საჭირო არ არის,"** - აცხადებს მარკედონოვი და აკონკრეტებს, რომ წარმატებებში ძირითადად აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების "შეიარაღებული ფაზის დასრულებას" გულისხმობს.

მართალია, კონფლიქტები კვლავაც არსებობს, მაგრამ, რუსი ექსპერტის აზრით, მათი დარეგულირება მხოლოდ რუსეთზე არ არის დამოკიდებული. **"კონსერვაცია თავისთავად არ არის უარყოფითი მოვლენა. მსოფლიოში ყველა კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებას წლები სჭირდება,"** - აცხადებს მარკედონოვი.

მისი აზრით, რუსეთი აუცილებლად უნდა ჩაერთოს კონფლიქტებთან დაკავშირებულ პროცესებში, რომლებიც ევროპის ეგიდით მიმდინარეობს. **"მაგალითად, რესტიტუციის შესახებ კანონის პროექტის განხილვაში საქართველოს სამართლებრივ მხარდაჭერას ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია უწევს. პროექტის მიხედვით შემუშავებულია სამმხრივი ფორმატი - საქართველო, ევროკავშირი, სამხრეთ ოსეთი. რატომ არ უნდა მიიღოს მინაწილეობა რუსეთმა იმ კანონის განხილვაში, რომელიც მისი მოქალაქეების ბედს ეხება?"** - კითხულობს მარკედონოვი.

გარდა ამისა, მისი აზრით, **"რუსეთმა უნდა შეძლოს საქართველოს სამშვიდობო გეგმის ოპონირება, რომელსაც უამრავი უარყოფითი მხარე აქვს"**.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადების კომენტირებისას, ქვეყნის დსთ-დან შესაძლო გასვლის შესახებ, სერგეი მარკედონოვი აცხადებს, რომ ერთიანი შეხედულება ამ საკითხზე საქათველოს ხელისუფლებაშიც არ არსებობს. **"კახა ბენდუქიძე, მაგალითად, მიუთითებს ზარალზე, რომელიც შეიძლება საქართველომ განიცადოს იგივე ვიზების საკითხში და ა. შ. ეს არ არის მხოლოდ რუსულ-ქართული ურთიერთობის საკითხი, ეს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობასაც ეხება. საქართველოს დსთ-დან გამოსვლა არ იქნება რაიმე მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი რუსთისათვის. შეიძლება ეს კოღოს ნაკბენს შევადაროთ. საქართველოსთვის კი ეს გველის ნაკბენი იქნება. საერთოდ, არ მგონია, საქართველოს ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს,"** - აცხადებს ექსპერტი.

მისი აზრით, ეკონომიკური სანქციების კამპანიას საქართველოს მიმართ უფრო შიდაპოლიტიკური დატვირთვა აქვს, ხელისუფლების "პიარს" ემსახურება და **"რეალურ პოლიტიკურ უკუგებას რუსეთს ვერ მოუტანს"**. თანაც, მისი თქმით, ქართული ღვინის აკრძალვამ დააზარალა თავად რუსეთი, მისი უამრავი მოქალაქე, ვინც ამ ბიზნესითაა დაკავებული.

**"მე არ ვთვლი ამას სწორ გადაწყვეტილებად. სააკაშვილის წინააღმდეგ მოქმედება სხვაგვარად არის საჭირო. ეკონომიკური სანქციები, ასევე, როგორც აპირებენ, ფულადი გადარიცხვების შესაძლო შეზღუდვა და ქართველების დეპორტაცია (რისიც მე პირადად არ მჯერა), მხოლოდ გააძლიერებს სააკაშვილს. მას ახალი საბაბი მიეცემა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები რუსეთს გადააბრალოს,"** - აცხადებს მარკედონოვი.

იგი რუსეთის ხელისუფლებას მოქმედების უფრო დახვეწილ რეცეპტს სთავაზობს: **"საქართველოში არსებობს უკმაყოფილება სააკაშვილის ხელისუფლებით. რუსეთმა უნდა იმუშაოს ოპოზიციის წარმომადგენლებთან, დააფინანსოს საგრანტო პროგრამები. მოკლედ, იმოქმედოს ისეთი მეთოდებით, რაც არ შელახავს საქართველოს მოქალაქეთა ღირსებას"**. მისი აზრით, **"სააკაშვილის ხელისუფლებასთან კვალიფიციური ოპონირებაა საჭირო"**, რაც, ექსპერტის თქმით, ამჟამად არ ხდება.

ევროპულ გამოწვევაზე რუსული პასუხის, აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის კონცეფციას სერგეი მარკედონოვი ასე აღიქვამს: **"90-ანი წლების დასაწყისში რუსეთი დსთ-ს ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა იყო. სწორედ ამ ფაქტორის წამოწევა არის საჭირო დღეს, იგივე ევროპელებთან ურთიერთობაში. ჩვენ უნდა დავანახოთ მათ, რომ გვაქვს დემოკრატია, ჩვენი სპეციფიკის გარკვეული გათვალისწინებით და შეგვიძლია დემოკრატია სხვასაც ვასწავლოთ. თუმცა, ამისთვის თავად რუსეთის გარკვეული მოდერნიზაცია არის საჭირო."**

რუსეთის დღევანდელი პოლიტიკისა და მისი საერთაშორისო რეპუტაციის გათვალისწინებით, საეჭვოა, ევროპელებმა, გასული საუკუნის 90 წლების მსგავსად, რუსული დემოკრატიის იწამონ. როგორც ჩანს, არც სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების "მოგვარებაში" რუსული პოლიტიკის "წარმატებები" ეჩვენებათ ევროპელებს წარმატებებად. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპის როლი საქართველოში კონფლიქტების მოგვარებაში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება, რუსეთი კი ამისთვის ხელის შეშლას ყველანაირად შეეცდება.

# 5 მაისი რუსეთში გლოვის დღედ გამოცხადდა

ქალაქ სოჭის მახლობლად მომხდარი ავიაკატასტროფის გამო, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბრძანებით, 5 მაისი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა.

სამოქალაქო თვითმფრინავის "A-320"-ის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს რუსეთის ფედერაცია დახმარებას გაუწევს. ამ მიზნით, პრემიერ მიხეილ ფრადკოვის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი ხელმძღვანელობს.

უკვე დაზუსტებულია შავ ზღვაში ჩავარდნილი თვითმფრინავის ადგილსამყოფელი. რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მონაცემებით, იგი 500-600 მეტრის სიღრმეზეა.

სპეციალისტების განცხადებით, ამ სიღრმეზე სამუშაოების ჩატარება მხოლოდ სპეციალურ აპარატურას - ბატისკაფებსა და რობოტებს შეუძლიათ.

ერევანი-სოჭის რეისის სამგზავრო ლაინერი სამშაბათს, გვიან ღამით, ადლერის აეროპორტიდან 6 კილომეტრის მოშორებით ჩამოვარდა.

თვითმფრინავში მყოფი 113-ვე ადამიანი დაიღუპა, მათ შორის წინასწარი ინფორმაციით, 23 რუსეთის და ერთი უკრაინის მოქალაქეა. დაღუპულებს შორის 5 ბავშვია.

კატასტროფის მიზეზები უცნობია. სავარაუდოდ, კატასტროფა უამინდობამ გამოიწვია. ტერაქტის ვერსიას რუსული მხარე ოფიციალურად გამორიცხავს.

*ინტერპრესნიუსი*

მოკლედ

## კალაძის გატაცებაში ექვმიტანილის ცოლი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილის, დავით ასათიანის ცოლი ირინა ლაფაჩი დააკავეს. დაკავების ოპერაცია გუშინ, საღამოს ექვსი საათისთვის, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელდა. ირინა ლაფაჩი თბილისში შვეიცარიიდან მოფრინავდა. სამართალდამცველთა წინასწარი ინფორმაციით, ირინა ლაფაჩს კრიმინალური პოლიცია ყაჩაღობისთვის ეძებდა.

რაც შეეხება დავით ასათიანს, რომელიც შვეიცარიაში დააკავეს, მისი ექსტრადიცია ჯერ არ განხორციელებულა. ამასთან დაკავშირებით, ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ლევან კალაძის საქმე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მიმდინარე წლის თებერვალში გახსნილად გამოაცხადეს. დაკავებული არიან დანაშაულში ეჭვმიტანილები - ლევან ცინცაძე, თემურ გაგნიძე, დავით ასათიანი და მერაბ ამისულაშვილი. გაგნიძე დააკავეს საფრანგეთში, ასათიანი შვეიცარიაში, ცინცაძე სანკტ-პეტერბურგში, ხოლო ამისულაშვილი საქართველო-სომხეთის საზღვარზე, სადახლოსთან. ირინა ლაფაჩის დაკავების შესახებ სამართალდამცველები ჯერჯერობით სხვა ინფორმაციებს არ ავრცელებენ. **24 საათი**

## პროკურატურა გირგვლიანის დედას იბარებს

სანდრო გირგვლიანის დედას ირინა ენუქიძეს თბილისის პროკურატურაში ხელმეორე დაკითხვაზე იბარებენ. სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატის განცხადებით, ირინა ენუქიძეს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილიდან დაუკავშირდნენ და ხელმეორე დაკითხვაზე მისვლა სთხოვეს. როგორც ირინა ენუქიძე აცხადებს, სასურველია, პროკურატურა დაინტერესდეს იმ პირებით, ვინც მართლა დასაკითხია. მისი თქმით, ის არ აპირებს მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის გახმაურებას.

ირინა ენუქიძემ განაცხადა, რომ მას "გაჩუმების სანაცვლოდ" თანხა შესთავაზეს. ამ განცხადებას გამოეხმაურა თბილისის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი. მან სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ამ განცხადებასთან დაკავშირებით ირინა ენუქიძე აუცილებლად დაიკითხება და თუკი დაზარალებული დაასახელებს იმ ადამიანს და დამტკიცდება, რომ მართლაც ჰქონდა ამგვარ ფაქტს ადგილი, დაისჯება ნებისმიერი პირი, დაწყებული ჩვეულებრივი მოქალაქით, დასრულებული უმაღლესი თანამდებობის პირით. **ინტერპრესნიუსი**

## შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის დელეგაცია მიიღო. დელეგაციას ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი ჟან-ლუი ლორანი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის მრჩეველი ინკერ აარნიო ლვოფი, ევროსაბჭოს საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროსაბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე კონსტანტინე კორკელია და იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი. შეხვედრაზე ისაუბრეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის შესახებ კანონის პროექტზე, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დახმარებითა და რეკომენდაციებით მოამზადა. მხარეებმა ისაუბრეს, აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე გადაეცა. ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ ტერიტორიებზე კონტროლის საშუალება არ გააჩნია და ამ ფონზე, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. **ინტერპრესნიუსი**

## ტრეფიკინგი სამეგრელოში

ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, საქართველო ტრეფიკინგის მიმღებ ქვეყანათა რიცხვს შეემატა. "ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენელის მაია გუბელაძის განცხადებით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში ტრეფიკინგის შემთხვევა გამოვლინდა - მსხვერპლნი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ ამ ფაქტთან დაკავშირებით ტრეფიკინგის მუხლით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. როგორც ტრეფიკინგის ერთ-ერთი მსხვერპლი აცხადებს, სოფელ ცაიშის მკვიდრმა ქეთევან სილაგავამ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შეთავაზების დაპირებით, საქართველოში მოსკოველი მარტოხელა მამაკაცები ჩამოიყვანა. სამი წლის განმავლობაში, რუსეთის მოქალაქეებს შავი და საკმაოდ მძიმე სამუშაოს შესრულება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უწევდათ და ქვეყანაში არალეგალურად, ვიზებისა და პასპორტების გარეშე იმყოფებოდნენ.

"დაზარალებულთა ჩვენებებზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა ის ფაქტიც, რომ ტრეფიკინგში ეჭვმიტანილმა ქალბატონმა ქეთევან სილაგავამ მოახერხა მოსკოვში ერთ-ერთი მსხვერპლის კუთვნილი ბინის 75 000 დოლარად გაყიდვაც. რამდენადაც ჩვენთვის ხდება ცნობილი, ეჭვმიტანილი ამჟამად მოსკოვში იმყოფება", - აცხადებენ ორგანიზაციაში.

მაია გუბელაძის ინფორმაციით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცველები კომენტარს არ აკეთებენ. "ჩვენთვის კი ცნობილი ხდება, რომ ფაქტის გამოვლენიდან დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში სამხარეო მთავარ სამმართველოში მყოფ რუსეთის მოქალაქეებს, პოლიციის სამმართველოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, რუსეთის საელჩოდან არავინ შეხმიანებია", - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

როგორც "ადამიანის უფლებათა ცენტრში" აღნიშნავენ, "ტრეფიკინგის ორი მსხვერპლიდან ერთ-ერთი - ვლადიმერი იმ ოჯახში დაბრუნდა, სადაც მას შრომით ექსპლუატაციას უწევდნენ და გამოძიებისათვის ადრე მიცემული ჩვენებისაგან განსხვავებით, ამჟამად აცხადებს, რომ ამ ოჯახში ნებაყოფლობით იმყოფებოდა. მეორე მსხვერპლი, ვიქტორი, რომლის თავშესაფარზეც შესაბამისმა ორგანოებმა იზრუნეს, მასზე განხორციელებულ შრომით ძალადობას არ უარყოფს და მოკლე კომენტარით იფარგლება: "მე არ მსურს მონობაში დაბრუნება", - აცხადებს იგი. **ინტერპრესნიუსი**

## ევროსაბჭოს დელეგაცია საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გაიმართა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი ჟან-ლუი ლორანი და ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის მრჩეველი ინკერ აარნიო ლვოფი, ევროსაბჭოს საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სტრასბურგში ზურაბ ჭიაბერაშვილი და ევროსაბჭოს სამმართველოს მეორე მდივანი ირმა მამუჩიშვილი. სტუმრები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა მიიღო. შეხვედრაზე საქართველოს მიერ ევროსაბჭოს რეზოლუციების შესრულებაზე ისაუბრეს. **ინტერპრესნიუსი**

## ფინანსური პოლიცია "ჭანდარს" ამოწმებს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველო ღვინის ქარხანა "ჭანდარს" ამოწმებს. ფინანსური პოლიციის განცხადებით, პოლიციამ ქარხნის დოკუმენტაციის და წარმოებული პროდუქციის შესწავლა დაიწყო. გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ ღვინის ქარხანა "ფალავანის" შემოწმება დაიწყო. ქარხნიდან ამოღებულია საბუღალტრო დოკუმენტაცია, ხოლო ალკოჰოლურ პროდუქციას ექსპერტიზა უტარდება, რაც მის თვისობრიობას დაადგენს. ორივე ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 204-ე მუხლებით დაიწყო, რაც "ფალსიფიკაციასა" და "საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

## ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის განცხადებით, კახეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მცხოვრები, ქურდობისა და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი 27 წლის თეიმურაზ ხატიაშვილი დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, თეიმურაზ ხატიაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ძმას, 21 წლის მიხეილ ხატიაშვილს. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას კახეთის შს სამმართველო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

## დააკავეს ნარკორეალიზატორები

შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს. სოდ-ის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-შეძენა-რეალიზაციის ფაქტზე 43 წლის რუსუდან ფეღოშვილი და 44 წლის ნუგზარ პაქსაძე დააკავეს. მათი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 35 პაკეტი, ე.წ. "ბაშად" დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ამოიღეს.

ეჭვმიტანილებმა დაკავების დროს სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს და გაქცევას შეეცადნენ. რამდენიმე წუთში მათ ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოახდინეს, რის შემდეგაც ფეღოშვილი და პაქსაძე დააკავეს.

მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძვრება, მათ შორის - ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო რეალიზაციისა და სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით. კანონით, ნარკორეალიზაცია 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტის თავმჯდომარის დავალება და არასამთავრობო სექტორის მკაცრი შეფასება

*გადაამეტეს თუ არა უფლებამოსილებას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სანაპიროზე კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისას, რომლის დროსაც ორი ეჭვმიტანილი ადგილზევე გარდაიცვალა, მესამე კი მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში იმყოფება? შესაძლებელი იყო თუ არა სამართალდამცველებს სპეცოპერაცია სისხლისღვრის გარეშე ჩაეტარებინათ? - ეს ის საკითხებია, რომლებიც, სავარუდოდ, კარგა ხნის მანძილზე მსჯელობის საგანი იქნება. ამ შეკითხვებზე დეტალური პასუხი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ცოტა ხანში მზად უნდა ჰქონდეს და ბიუროს მოახსენოს. ეს დავალება ლევან ბეჟაშვილს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მისცა.*

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებს სპეცოპერაციის დეტალების გარკვევა ჯერ არ დაუწყიათ. კომიტეტის სპეციალური კომისია ამ საკითხების შესწავლას მომავალი კვირიდან გეგმავს. მუშაობის პერიოდში კომისიის წევრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან მოუწევთ შეხვედრა და მათ სპეცოპერაციის ყველა დეტალის შესახებ სწორედ სპეცოპერაციის დამგეგმავი პოლიციის მაღალჩინოსნები ჩააბარებენ დეტალურ ანგარიშს.

ვიდრე კომიტეტის სპეციალური კომისია შესწავლილ და გამოკვლეულ მასალებს გამოაქვეყნებს, მომხდარს საკუთარ შეფასებას უკვე აძლევენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**"ამ სასტიკი ოპერაციით კიდევ ერთხელ დადასტურდა სამართალდამცველთა არაკვალიფიციურობა. დადასტურდა, რომ არსებობს პოლიციელთა დაუსჯელობის პრობლემა და, მთლიანობაში, დადასტურდა ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს",** - ასეთია არასამთავრობოთა კოალიციის ერთობლივი დასკვნა.

ლიკვიდირებულებისა და დაჭრილის ახლობლები და ოჯახის წევრები პოლიციას უნდობლობას უცხადებენ და სამართალდამცველთა მიერ ოპერატიულად გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მოკლული და დაჭრილი ეჭვმიტანილები კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ, კატეგორიულად უარყოფენ.

სპეცოპერაციის დროს დაჭრილი 20 წლის ბუბა ბუთურიძე, რომელსაც ცხრა ტყვია აქვს მოხვედრილი, თბილისის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაშია მოთავსებული და სასუნთქ აპარატზეა მიერთებული. ბადრაგის წევრები ბუთურიძის დედას და ახლობლებს დაჭრილის მონახულების საშუალებას არ აძლევენ.

**"ჩემი შვილი არანაირი კრიმინალური დაჯგუფების წევრი არ ყოფილა, ის სპეცოპერაციისას გარდაცვლილ ახალგაზრდებთან შემთხვევით მოხვდა,"** - აცხადებს დაჭრილის დედა.

ბუბა ბუთურიძის კრიმინალურ დაჯგუფებასთან კავშირს კატეგორიულად გამორიცხავენ მისი მეგობრებიც. ისინი აცხადებენ, რომ, დაჭრილის ოჯახის წევრების მსგავსად, სიმართლის ბოლომდე დამტკიცებას შეეცდებიან.

სააგენტო "ინტერპრესნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას გაუმართლებელსა და უკანონოს უწოდებს. მისი თქმით, შსს-ს მხრიდან, ეს არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ არაფორმალურად კვლავ შემოიღოს ქვეყანაში სიკვდილით დასჯა.



ანა დოლიძე კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას უკანონოს უწოდებს.

**"შსს ცდილობს სასამართლოს როლის შეთავსებას, ის თავადვე აცხადებს პირს ეჭვმიტანილად, ბრალდებულად, შემდეგ ასამართლებს და სიკვდილით სჯის კიდეც,"** - აცხადებს ანა დოლიძე. მისივე თქმით, მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაციის მიზეზი, ერთი მხრივ, სამართალდამცველების არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობაა, მეორე მხრივ კი, ის დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც ამ უწყებაში არსებობს. **"ამ ადამიანებმა რომ იცოდნენ, მათ ამგვარ საქციელს რა სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება, ასე არ მოიქცეოდნენ. როგორც ჩანს, პოლიციელებს სრული გარანტია აქვთ მიცემული, რომ ასეთი შემთხვევებისთვის არ დაისჯებიან. მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 2005 წელს მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ყველა დამნაშავე ადგილზე იქნება ლიკვიდირებული. აქედან გამომდინარე, ქვეშევრდომები ხელმძღვანელის დავალებას ასრულებენ, თანაც იციან, რომ მათ ქმედებას პასუხისმგებლობა არ მოჰყვება",** - ამბობს ანა დოლიძე. მისი აზრით, სანამ დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზა არ ჩატარდება, შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიმართლეში ეჭვი ყველას შეეპარება. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის თქმით, თუკი პოლიციას მართლაც ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ, მისი აღკვეთა შეიძლებოდა სხვაგან, სხვა დროს, ისე, რომ სპეცოპერაციას მსხვერპლი არ მოჰყოლოდა და გარშემომყოფებისთვის საფრთხე არ შეექმნა.

**"სანამ მოკლულთა დედები, ნათესავები არ ამოიღებენ ხმას და ბოლომდე არ მიჰყვებიან საკუთარი ახლობლების მკვლელობის ფაქტების გამოძიებას, სანამ საზოგადოება არ ამოიღებს ხმას, ხელისუფლება არ გახდება იძულებული, რაიმე მოიმოქმედოს. ჩვენ შეგვიძლია ასეთ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მივცეთ და, რაც მთავარია, მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს მივაწოდოთ. მაგალითად, დღეს გაერო-ს წამების კომიტეტში მიმდინარეობს საქართველოს ანგარიშის განხილვა, სადაც ნათქვამია, რომ შევარდნაძის რეჟიმის პერიოდთან შედარებით, ვითარება გაუმჯობესდა. საერთაშორისო ტრიბუნებიდან ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ვითარება არ შეცვლილა, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია შევარდნაძის რეჟიმთან შედარებით უკეთესი არ არის",** - აცხადებს ანა დოლიძე.

*24 საათი*

# რეგისტრაციის გარეშე დარჩენილი ახალშობილები

*სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. თუ დღემდე ამ სოფლისთვის პრობლემას აზერბაიჯანელი მესაზღვრეები წარმოადგენდნენ, ამჯერად მათ სხვა საფიქრალიც გაუჩნდათ. იმის გამო, რომ ერისიმედი ცენტრიდან მოშორებული სოფელია, ფეხმძიმე ქალებს მშობიარობა სახლში უწევთ, რის გამოც, მათ ბავშვებისთვის დაბადების მოწმობის აღება უძნელდებათ.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

სასაზღვრო სოფელი ერისიმედი რაიონის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებულია. როგორც ერისიმედელები ამბობენ, ხელისუფლება სოფელი მაშინ ახსენდება, როცა არჩევნები მოდის.

**"ერისიმედელები ისევ ქვის ხანაში ვართ დარჩენილები. ჩინოვნიკებს კი მაშინ ვახსენდებით, როცა ჩვენი ხმებით სვარძლების შენარჩუნებას ცდილობენ?!"** - კითხულობს ერისიმედელი ბეგლარ აბაშიძე.

ერისიმედი აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესაზღვრება, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზღვარი, ქართული მხარის გადაწყვეტილებით, იმ მიზეზით დაიკეტა, რომ აზერბაიჯანიდან კონტრაბანდა გადმოდიოდა, სოფელს სამედიცინო დახმარების პრობლემა შეექმნა. ექიმი, რომელიც 30 კილომეტრით დაშორებულ მეზობელ სოფელში ცხოვრობს, დაბალი ანაზღაურების გამო, მათთან აღარ მიდის. სწორედ აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობის მიზეზით, ქალებს მშობიარობა საკუთარ სახლში, ბებიაქალის დახმარებით უწევთ.

**"მაშინ რა გვიჭირდა, ექიმი ორ კილომეტრში იყო, ავადმყოფიც გადაგვყავდა, მშობიარეც და, თუ საჭიროება მოითხოვდა, ექიმიც მოგვყავდა. სხვათა შორის, აზერბაიჯანელი მეზობლები ძალიან გულისხმიერად გვეკიდებოდნენ. ახლა ვეღარც იქით გადავდივართ და ვართ ასე უპატრონოდ. სასწრაფო დახმარებას ხშირად ვერც ტელეფონით ვუკავშირდებით. თუ როგორმე გამოვიძახეთ, სიშორის გამო, დაგვიანებით მოდიან,"** - ამბობს ერისიმედელი დურმიშხან სურმანიძე, რომლსაც აღნიშნულმა პრობლემამ თავსატეხი გაუჩინა. მათ ახალი წლის ღამეს ბავშვი შეეძინათ და, როდესაც დაბადების მოწმობის აღება დააპირეს, მმაჩის ბიუროში შესაბამისი საბუთები მოსთხოვეს. არადა, თუ ბავშვი შინაურ პირობებში იბადება, სამშობიარო ვერ გასცემს დაბადების ცნობას, რის გარეშეც, არ გაიცემა დაბადების მოწმობაც.

ასეთ სიტუაციაში სურმანიძეებს სასამართლოს გზით მოუწევთ ბავშვის დაბადების იურიდიული ფაქტის დადგენა, თუმცა ამის პრეცედენტი ერისიმედში ჯერ არ ყოფილა.

**"მართალია, მეუღლე ორსულობისას წნორის პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე იყო აყვანილი, მაგრამ სახლში იმშობიარა. ამიტომ, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა არ მქონდა. არადა, სხვანაირად ბავშვის დაბადების მოწმობას არ მაძლევენ. ჩემი შვილის შემდეგ სოფელში კიდევ 5 ბავშვი გაჩნდა. მათაც ხომ ანალოგიური პრობლემა შეექმნებათ? იქნებ მოგვხედოს ვინმემ!"** - ჩივის სურმანიძე.

ანალოგიური პრობლემები აქვს დედოფლისწყაროს რაიონის რამდენიმე სოფელს. მართალია, იუსტიციის სამინისტრო მათ ექიმის პრობლემას ვერ მოუგვარებს, მაგრამ, როგორც აღნიშნულ უწყებაში აცახდებენ, იუსტიციის სამინისტრო და იუსტიციის საბჭო ერთობლივ პროექტს ამზადებენ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. თუმცა მანამდე, როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში აცხადებენ, ასეთ სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეებს დაბადების მოწმობის აღება სასამართლოს ძალით მოუწევთ.

**"მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს ფაქტი, სამედიცინო ცნობის გარეშე, სამოქალქო რეესტრიდან დაბადების მოწმობა გაცემულიყო. ამ ეტაპზე იუსტიციის საბჭო და სამინისტრო ერთობლივ პროგრამაზე მუშაობენ, რომელიც ამ პრობლემის დაძლევას ისახავს მიზნად. თუმცა, მანამდე ჩვენი უწყება ყველანაირ დახმარებას უწევს ოჯახებს, რომლებიც ასეთ მდგომარეობაში არაინ. ამ ეტაპზე ერთადერთი გამოსავალი მაინც სასამართლოა და თუ ჩვენგან რაიმე დახმარებაა საჭირო, მოსახლეობამ უნდა მოგვმართოს. ჩვენ მათ დავეხმარებით,"** - აცახდებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ნატო გაგინიძე, რომელიც იქვე აღნიშნავს, რომ პრობლემების მოგვარებაში რაიონის ხელმძღვანელობამაც უნდა იაქტიუროს, რადგან ეს სახელმწიფოს საერთო ინტერესია.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ქვითრის გამოსაგზავნი ყუთები მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 019 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გზავნილი აფხაზი ხალხისთვის

ზაზა ფარუაშვილი

"სტუდია რე"-მ და მამუკა ყუფარაძემ ისევ შეგვყვარა კინოს სახლში აფხაზეთის გულშემატკივარი ხალხი და წარმოგვიდგინა 25-წუთიანი ფილმი "ომგამოვლილი ღირსება". სამი პატარა ნაწილისაგან შემდგარი ფილმი კიდევ ერთხელ, უფრო სწორად, სამჯერ გვახსენებს, თუ რა დიდი სისულელე ჩავიდინეთ ქართველებმა და აფხაზებმა, როგორ ხელოვნურად დავეკარგეთ და როგორ ველარ ვპოულობთ ერთმანეთს ერთი მდინარის პირას მცხოვრებნი.

ფილმი მოგვითხრობს აფხაზი მებრძოლების მიერ დაჭრილი ქართველი მეომრის გადარჩენის მცდელობის ამბავს, რომელსაც არცთუ ისე ფარული სიამაყით ჰყვება შვილმკვდარი აფხაზი დედა.

მეორე ამბავს პაატა ზაქარეიშვილი გვიამბობს, რომელიც ენგურის ხიდზე ტყვეთა გაცვლის პირველ შემთხვევას იხსენებს. მას შემდეგ, რაც ტყვეები თავთავიანთ მხარეს გადასულან, აფხაზური მხრიდან სროლა ამტყდარა და ორი ქართველი დაჭრილა. ასეთი მუხანათობა ქართული დელეგაციისთვის იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ მათ თითქოს ველარაფერი გააკვირვებდა, მაგრამ... თავად გაოგნებული და აღშფოთებული, აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელი ქართული მხარისკენ გადმოსულა და უთქვამს: არ ვიცი, ეს პროვოკაცია ვინ ჩაიდინა, მაგრამ სანამ გამოძიება დამნაშავეებს დაადგენს, მზად ვარ, თქვენთან დავრჩეო. ეს მართალი კაცი თავგანწირვის ფასად ცდილობდა საკუთარი და მთელი აფხაზური მხარის ღირსების დაცვას. რაც ყველაზე მთავარია, მან ეს მოახერხა და ქართველების ნდობა ისევ დაიმსახურა.

მესამე ნაწილი ჩვენი საყვარელი მწერლის გურამ ოდიშარიას მონოლოგია. სიტყვა "ჩვენი" ამ შემთხვევაში მთელ საქართველოს მოიცავს და, პირველ რიგში, აფხაზეთს და აფხაზ ხალხს. ჰოდა, გურამ ოდიშარია გვეუბნება, რომ აფხაზეთიდან დევნილმა ქართველებმა სახლი სხვაგან ვერსად იპოვეს და მას შემდეგ სიტყვა "მოვედიც" ველარ უთქვამთ. თუმცა გურამ ოდიშარიასთვის იყო ერთი გამონაკლისი. აფხაზი მეგობრების მიწვევით მან მოინახულა მრავალი წლის მონატრებული სოხუმი, მამის საფლავი, და თქვა, მოვედიო.

გასაგები მიზეზების გამო, კინოჩვენებას აფხაზეთიდან არავინ დასწრებია. მაგრამ, ფაქტობრივად, ეს ფილმი არის კიდევ ერთი გზავნილი სწორედ აფხაზი ხალხისთვის, რომელიც იტყობინება, რომ ჩვენს ერთიანობას ალტერნატივა არ გააჩნია. ალტერნატივა იმდენად ხელოვნური და არაბუნებრივი იქნება, როგორც ანტიისტორიული ქართულ-აფხაზური ომი. მის შედეგებს დღემდე სიამოვნებით ითვლის კრემლი, რომელიც აფხაზ ერს გადაშენებით ემუქრება.

როგორი შეიძლება იყოს ეს ალტერნატივა? აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ბოლოდროინდელი უცვლელი პოზიცია მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია. ეს არის აფხაზეთის დამოუკიდებლობა და არაფერი ამაზე ნაკლები.




*კადრი ფილმიდან "ომგამოვლილი ღირსება".*

დავუშვათ, რომ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოთქვა აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის მზადყოფნა და მას მსოფლიოც დაეთანხმა. რა მოხდება ამ შემთხვევაში? - აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის დოკუმენტს ხელი მოეწერება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ვალდებულებას იკისრებს. ეს კი, პირველ რიგში, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ვალდებულებაა, ანუ აფხაზური მხარე ვალდებული იქნება, აფხაზეთში დააბრუნოს ქართველი დევნილები და უკლებლივ დაუბრუნოს მათ მიტოვებული ქონება. თავი დავანებოთ იმ პრობლემას, რომელსაც ქართველთა დაკავებული სახლების დაცლის მცდელობა გამოიწვევს და რომელსაც, სხვადასხვა ვარაუდით, შეიძლება სამოქალაქო ომიც მოჰყვეს. ვთქვათ, ეს პრობლემა, ასე თუ ისე, მოგვარდა. მოუგვარებელი რჩება აფხაზებისთვის მთავარი - უსაფრთხოების პრობლემა, რის გამოც მათ არ სურთ უმცირესობაში ყოფნა. მაგრამ ქართველთა დაბრუნების შემდეგ (თუნდაც გამოირიცხოს აფხაზებისთვის არასასურველ ქართველ მებრძოლთა დაბრუნება) აფხაზები მაინც უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

ვთქვათ, აფხაზეთში ჩამოასახლეს საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თურქეთში გადასახლებული მოჰაჯირები, რისი მასშტაბურობაც სერიოზულ ეჭვებს ბადებს, მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ, როგორც სადავო საკითხს. აფხაზები მაინც უმცირესობაში აღმოჩნდებიან, რადგან გამუსლიმანებული და უკვე სრულიად სხვა მენტალიტეტის ხალხი აფხაზებს ნათესაობას ველარ გაუწევს. ისევ ქართველები უფრო გაუგებენ ერთმანეთს, ვიდრე ისინი.

ესეც რომ არ იყოს, მოჰაჯირები დასანახავად ვერ იტანენ რუსებს, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემთხვევაში სრულ ქაოსს გამოიწვევდა. რა შუაშია რუსეთი? - დამოუკიდებლობის შემთხვევაში, რუსეთი აფხაზების ყველაზე მთავარი პრობლემა გახდება და კრემლის მესიჯი აფხაზებისთვის შემდეგნაირი იქნება: თქვენ ჩვენი რესურსებით და დახმარებით მოიგეთ ომი; თქვენ ჩვენს კისერზე ცხოვრობდით მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ვყიდულობდით თქვენს პროდუქციას და ჩვენ გიხდიდით პენსიას; და ეტყვის, Пора расплачиваться, друзья! რითი უნდა გადაუხადონ აფხაზებმა რუსეთს ვალი? - იმით, რომ გროშებად უნდა მიჰყიდონ მთელი აფხაზეთი, მით უმეტეს, რომ მათ, როგორც "საკუთარ მოქალაქეებს", ამის წინააღმდეგ ხმის ამოღების უფლებაც აღარ ექნებათ. შედეგად, ისედაც უმცირესობაში მოქცეული აფხაზი ერი რუსულ ექსპანსიას საბოლოოდ შეეწირება.

ამდენად, აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ფანტასტიკის სფეროს რომ არ ეკუთვნოდეს, პირველ რიგში, თავად აფხაზ ხალხს არათუ არ მოუხსნის უსაფრთხოების პრობლემას, არამედ განადგურების საფრთხის წინაშე დააყენებს და რამდენიმე წელიწადში მართლაც აღგვის მას პირისაგან მიწისა. ერთადერთი გამოსავალი საქართველოსთან ერთიანობაა და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს აფხაზებისთვისაც სრულიად მისაღები გახდეს. წელიწადნახევრის წინათ, "თქვენმა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა ერთ-ერთი დევნილი ქართველის, ზაურ კვარაცხელიას საკუთარი კონცეფცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ბატონი ზაური საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობს. მისი აზრით, უნდა შეიქმნას ახალი ქართულ-აფხაზური სახელმწიფო (ასეთი სახელით), რომელშიც ქართველი და აფხაზი ხალხი თანაბარუფლებიანობის საფუძველზე იცხოვრებს. დეტალებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ქვეყნის ამგვარი მოწყობა აფხაზების დამოუკიდებლობის ამბიციასაც დააკმაყოფილებდა და საქართველოს ერთიანობასაც უზრუნველყოფდა. ცხადია, რუსეთი აქაც ხელს შეუშლიდა აფხაზების ნებას, მაგრამ ამ საფრთხეს ერთობლივი ძალებით ნამდვილად მოვერეოდით. იქნებ, ღირდეს დაფიქრება.

## "საქართველოსთან ურთიერთობების თემას ვერ გავექცევით"

*გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ შემოკლებულ ინტერვიუს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრთან ალექსანდრე ანქვაბთან.*

**- რა გაკეთდა ბოლო ერთი წლის მანძლზე აფხაზეთში სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად?**

- სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ სიავე და აგრესიულობა აღარ შეიმჩნევა. სახელისუფლებო შტოები მუშაობენ არა ურთიერთგამომრიცხავად, არამედ მხარს უჭერენ ერთმანეთს.

**- რა პრობლემებს დაასახელებდით უპირველესად?**

- პრობლემები საკმაოზე მეტია. საჭიროა სახსრები გზების მშენებლობისთვის, განათლების სისტემისთვის, თავდაცვისათვის, ჯანდაცვისათვის - სერიოზული დაბანდებები ყველგან აუცილებელია. შემოსავლები კი შეზღუდულია, ვინაიდან აფხაზეთში სერიოზული წარმოება არ არსებობს. ცუდი მდგომარეობაა სოფლადაც. ახლა ვცდილობთ ჩაის მრეწველობის აღორძინებას. რაც შეეხება ციტრუსებს, მისი შესაძლებლობები გასულ მძიმე წლებში ბოლომდე ამოვწურეთ, მაგრამ მხოლოდ ამით ბიუჯეტს ვერ შეავსებ. ტექნიკის შეძენასაც სერიოზული თანხა სჭირდება, რისი საშუალებაც არ გვაქვს.

**- ფინანსური შიმშილობის ფონზე, როგორ ირჩევთ პრიორიტეტებს?**

- პრიორიტეტების გამოყოფა რთული არაა. პირველ რიგში, ეს არის სოფლის მოსახლეობის დახმარება, ვინაიდან სოფელში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 60 პროცენტი. მეორე რიგში, საჭიროა ადგილობრივი წარმოების აღორძინება. როდემდე შეიძლება ყველა საჭირო პროდუქტის შემოტანა, მათ შორის, პირველი მოხმარების? მწვავედ დგას კავშირგაბმულობის მოდერნიზაციის საკითხიც და მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტორებთან.

რუსული ფონდების დახმარებით ვცდილობთ, შევაკეთოთ საავტომობილო გზა ფსოუდან სოხუმამდე. ამას დიდი დაბანდებები სჭირდება. პრობლემები გვაქვს ტრანსპორტთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა ხანისაა და რომლის განახლებასაც ასევე დიდი თანხა სჭირდება.

ცალკე თემაა ჯანდაცვა. საავადმყოფოები სავალალო მდგომარეობაშია. არ არის აპარატურა. ასე რომ არ იყოს, ჩვენი მოქალაქეები მძიმე მდგომარეობაში არ იქნებოდნენ. იგივე მდგომარეობაა განათლების სისტემაშიც.

**- რამდენია აფხაზეთში ექიმის საშუალო ხელფასი?**

- ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი დაფინანსება აქვს მშენებლებს - თვეში 2200-2300 რუბლი. ექიმების ხელფასი 1500-1700 რუბლს არ სცილდება. აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ხელფასი 2250 რუბლია. რა თქმა უნდა, ხალხს უჭირს, ვინაიდან საარსებო მინიმუმი მშენებლების ყველაზე მაღალ ხელფასს უტოლდება.

**- გამოდის "ბიუჯეტნიკები" სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან.**

- თუ ხელფასით ვიმსჯელებთ, სამწუხაროდ, ასეა. მაგრამ ბევრს ძალიან ეხმარება სოფელი. ასევე, საკურორტო სეზონი, რისი ნათელი მაგალითიც გასული წელია. წელს, ვფიქრობ, დამსვენებელი უფრო მეტი იქნება.

**- აფხაზეთის პრობლემა უმუშევრობაა, რაც შობს კრიმინალს. რა კეთდება ამ მხრივ?**

- ბრძოლა მაშინაა ეფექტური, როცა კრიმინალს მწყობრი სამართალდამცავი სისტემა უპირისპირდება. ასეთი სისტემა კი აფხაზეთში, ჯერჯერობით, არ არის. მაგრამ ამის მიუხედავად, კრიმინალების თარეშს ადგილი მაინც არ აქვს და, ამ მხრივ, ტურისტებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ.

მძიმე მდგომარეობაა გალის რაიონში, სადაც კრიმინალური ჯგუფები საპირისპირო მხრიდან შემოდიან და ადვილად პოულობენ საერთო ენას ჩვენს დამნაშავეთა სამყაროსთან. მაგრამ ბოლო ორი თვის განმავლობაში გალის რაიონში ეფექტურად მოქმედებს შსს-ს სპეციალური ჯგუფი. მთლიანობაში, ხმაურიანი დანაშაულის ყოველი ფაქტი კონტროლზეა აყვანილი.

**- საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთის ხელისუფლების მთავარი მიზანი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა?**

- ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო. აი, ჩვენი მიზანი, რასაც არასოდეს უარვყოფთ. აუღიარებელ რესპუბლიკებთან დაკავშირებით დასავლეთს, შეიძლება, საკუთარი აზრი გააჩნდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი აზრი. ამის უფლება ხომ ჩვენთვის არავის წაურთმევია? საქმი ის კი არაა, მიიღებს თუ არა კოსოვო დამოუკიდებლობას, საქმე ჩვენს არჩევანშია. მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ჩვენ "კოსოვოს პრეცედენტს" მიგვაბან. კოსოვოს თემა საერთოდ არ არსებობდა მაშინ, როცა აფხაზი ხალხი არჩევანს აკეთებდა.

სხვა საქმეა, როგორ მოქმედებს მსოფლიოზე ეს სტანდარტი. ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს ორმაგი, სამმაგი სტანდარტი ძლიერთა სასარგებლოდ. ერთმანეთს



*ალექსანდრე ანქვაბი.*

რომ შეადარო ჩვენი და საქართველოს ბიუჯეტი, შეადარო დასავლეთის დახმარება საქართველოსთვის და რუსული ფონდების დახმარება ჩვენთვის, საქმე ჩვენს სასარგებლოდ არ იქნება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, ნორმალურად ვიცხოვროთ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის პრობლემებს სერიოზულად და გონივრულად მიუდგებიან.

**- რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობის თემა კვლავ აქტუალურია?**

- მაშინ, როცა დსთ-ს ეგიდით სანქციები დაგვიწესეს (რაც დღემდე არ არის მოხსნილი), მხარში ამოგვიდგა კრასნოდარის მხარე და როსტოვის ოლქი. ბოლო წლებში კი ჩვენი ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება. ჩვენი სურვილი, რუსეთთან მჭიდრო მეგობრობისა, ცხადზე უცხადესია. ჩვენ მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ 26 ათასი ჩვენი პენსიონერი რუსულ პენსიას იღებს. მოქმედებს რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული წესი.

რაც შეეხება ასოცირებულ თუ სხვა ურთიერთობებს, ამ თემას განხილვა სჭირდება. კომპეტენტური ხალხი ამბობს, რომ ასეთი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ ორ აღიარებულ სახელმწიფოს შორის. მაგრამ ჩვენი სწრაფვა კონტაქტებისკენ, რუსულ ეკონომიკაში ინტეგრაციისკენ, კანონმდებლობის უნიფიკაციისკენ აბსოლუტურად ბუნებრივია. მომავალში ჩვენი და რუსეთის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდება.

**- საქართველოსთან ურთიერთობების თემას ვერ გავექცევით. ამასწინათ სააკაშვილმა განაცხადა: "ჩვენი მატარებელი სოხუმში მიდის". საით მიდის ის სინამდვილეში?**

- აფხაზეთის კურსი უცვლელია. ჩვენ მხარს ვუჭერთ კარგ ურთიერთობებს, მშვიდობას, მოლაპარაკებებს, მაგრამ არასოდეს დავეთანხმებით იმას, რომ ჩვენ სადღაც ძალით შეგვათრიონ. ჩვენ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას. ამასთან დაკავშირებით თბილისის საომარი რიტორიკა უადგილოა. თუმცა ამ ბოლო დროს სამხედრო რიტორიკამ ცოტათი იკლო. დიახ, ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ვინმე მატარებლით ჩამოვა იმ მიზნით, რათა აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი გახდეს.

**- სამხედრო რიტორიკის კლება რითი აიხსნება?**

- მკითხაობა არ მინდა. შეიძლება, დასავლეთელმა პარტნიორებმა უკარნახეს, რომ ასე ურთიერთობების პრობლემები და საკითხები ვერ მოგვარდება. ეს იწვევს გაღიზიანებას არა მარტო ჩვენთან. საჭიროა ნორმალური დიალოგი და იქნება ნორმალური ურთიერთობები. ხომ შეიძლება ნორმალური ცხოვრება ერთმანეთის გვერდიგვერდ?

**- მაგრამ საქართველოში ფიქრობენ, როგორ შეიყვანონ გალის რაიონში საერთაშორისო პოლიცია, რის შემდეგაც გალი საქართველოს წრეში მოექცევა.**

- ჩვენ ვერავინ ვერაფერს ჩამოგვაჭრის. ეს ყველაფერი ფუჭი ოცნებაა. ოცნებას ვერავის დავუშლით. რაც შეეხება იმას, თუ როგორ კონტროლდება გალის რაიონი, ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მოპირდაპირე მხრიდან ტერორისტული ჯგუფები რომ არ შემოდიოდნენ. თუ ისინი გაართულებენ ვითარებას, ჩვენ ადეკვატურად ვუპასუხებთ. ჩვენ ურყევი აზრი გვაქვს, რომ რუსული სამშვიდობო ძალები საქმეს ნორმალურად აკეთებენ. მათი შეცვლის საჭიროება არ არსებობს.

**- აფხაზეთი თავის ტერიტორიაზე უცხო სამხედრო კონტინგენტს ვერ მიიღებს?**

- ჩვენ ვიცავთ ჩვენს პოზიციას, რომ აქ არავითარი შერეული ძალა არ იმოქმედებს. წარმოვიდგინოთ, რომ რუსი სამშვიდობოები გავიდნენ. რა გამოვა ამით? - არაფერი. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თავად დავიკავებთ სამშვიდობოების ადგილს. ასეთ შემთხვევაში ხელებიც უფრო გაგვეხსნება და უფრო ეფექტურად ვიმოქმედებთ ბანდიტების, ტერორისტების და კრიმინალების წინააღმდეგ. ამბობენ, რომ სამშვიდობო ძალები მოვლენ უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და ა.შ. მათ გარეშეც კარგად ვიქნებით.

**- ამჟამად აფხაზეთში საცხოვრებელი ფონდის ნაციონალიზაციის საკითხი განიხილება. საქართველოში კი დევნილებს აძლევენ სერტიფიკატებს, რითიც აფხაზეთში მიტოვებულ ქონებაზე მათ უფლებას ადასტურებენ. გაგვაცანით აფხაზეთის მთავრობის თვალსაზრისი ამასთან დაკავშირებით?**

- მე საქართველოს უფლებებს კომენტარს არ გავუკეთებ. ჩვენ საქართველოს მხრიდან ვითხოვთ ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. თანხა ძალიან დიდია. კი, ბატონო, აგვინაზღაურონ ზარალი და ჩვენ გადავიხდით ქონების კომპენსაციას. სერგეი შამბა საუბრობდა 13 მილიარდ დოლარზე - ასეთია ჩვენთვის მოყენებული ზარალის ფასი.

**- საქართველო ცდილობს, დევნილები აფხაზეთის ყველა რაიონში დაბრუნდნენ.**

- ჩვენი პოზიცია ურყევია. საუბარია დევნილების დაბრუნებაზე გალში და მორჩა. სხვა რაიონებთან დაკავშირებით შეთანხმება არ არსებობს და არც იქნება. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გამოვიდა, მაგრამ პასუხისმგებლობა დევნილთა ბედზე საქართველომ უნდა იკისროს. ჩვენ აქედან არავინ გაგვიყრია. არიან დამნაშავეები და პასუხიც მათ აგონ.

**- თქვენი ცხოვრების მთავარი ამოცანა რა არის?**

- ხალხი კარგად ცხოვრობდეს.

### გადარჩენილი ფოტოები

ფოტო გადაღებულია 2001 წელს სოხუმში (გულრიფშში). მარცხნივ და მარჯვნივ დგანან აფხაზი ქალბატონები, რომლებიც თავიანთ ძმასთან ერთად ამჟამად ცხოვრობენ **მარინა გოგიას** (ფოტოზე მარცხნიდან მეორე) სახლში. უკან მოჩანს სახლის ხედი.



როგორ აღმოჩნდა, ქალბატონი **მარინა გოგია** 8 წლის შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქში, ქუჩაზე და როგორ მოინახულა ამდენი ხნის უნახავი საკუთარი კარ-მიდამო? - ეს ისტორია ძალიან საინტერესო, სულისშემძვრელი და გულისამაჩუყებელია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აფხაზებს და ქართველებს შუამავალი არ სჭირდებათ.

#### ფოტოს ისტორია

**აი, რა გვიამბო ქალბატონმა მარინა გოგიამ:**

"1993 წელს, ომის დროს წამოვედით მშობლიური ქალაქიდან და დავტოვეთ საკუთარი სახლი გულრიფშში. მხოლოდ 8 წლის შემდეგ - 2001 წელს ერთხელ კიდევ ვნახე საკუთარი სახლ-კარი. ტყვარჩელში ნათესავები მყავს, რომლებიც დღესაც იქ ცხოვრობენ. ერთ-ერთი ნათესავის დაკრძალვაზე ვიყავი ჩასული და ჩემმა ახლობელმა მითხრა, "თუ გინდა, შენს სახლს გაჩვენებო." ახლა იქ მისი ტყვარჩელელი მეზობლები ცხოვრობენ - ორი და და ერთი ძმა. წავედით მანქანით. გულრიფშში მანქანა ჩემი სახლის წინ რომ გაჩერდა, ჩემმა ნათესავმა გიამ გამაფრთხილა, შენ ჯერ ნუ გადმოხვალ, მე დავუძახებ, ეზოში ავი ძაღლი ჰყავთო. მაგრამ ნაცნობი ქუჩა, ამდენი ხნის მონატრებული საკუთარი სახლ-კარი რომ დავინახე, ყველაფერი გადამეკეტა, ინსტიქტურად გადმოვედი მანქანიდან, ჭიშკარზე გაკრულ გაფრთხილებას "ეზოში ავი ძაღლია" ყურადღება არ მივაქციე და ეზოში შევედი. გია უკან მომდევს და მიძახის "მარინა, დაბრუნდი". ამ დროს, მართლაც, გამოვარდა უზარმაზარი ბომბორა ძაღლი - რაღაც უცნაური ჯიშის, ძაღლის და მგლის ნაჯვარი, ნამდვილი "людоед", როგორც უწოდებენ, და ჩემსკენ გამოიქცა. ჩემი ნათესავი გია შიშისგან უკან გაბრუნდა და მეც მეძახდა, რომ გავქცეულიყავი, მაგრამ გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა და ადგილზე გავშეშდი (ამ ძაღლს, როგორც მერე მითხრეს, რამდენიმე კაცი ჰყავდა დაგლეჯილი). უეცრად სასწაული მოხდა: ძაღლი მომიახლოვდა, შეჩერდა, ფეხებთან დამიწვა და ყნოსვა დამიწყო. მე ხელი გადავუსვი და მოვეფერე, ძაღლმა ჩემი ნათესავებიც უპრობლემოდ შემოუშვა. კლასელი მყავს კინოლოგი. რომ დავბრუნდი, მას ვუამბე ეს ამბავი და მითხრა, რომ თურმე ძაღლები დაახლოებით 12 წლის განმავლობაში გრძნობენ სახლ-კარის ძველი პატრონის სუნს, რომელიც მათ არასდროს უნახავთ. ასე გვიცნო იმ ძაღლმაც, შინაურად ჩაგვთვალა.

რაც შეეხება აფხაზ ქალბატონებს, რომლებიც დაგვხვდნენ, მათ თავიდან არ იცოდნენ, მე ვინ ვიყავი, ჩემი თანმხლებნი ისე მიიღეს, როგორც მეზობლები. როდესაც გიამ უთხრა, ვინც ვიყავი, ერთ-ერთმა მათგანმა ტირილი დაიწყო და თქვა: "Представляю, что у нее на душе творится". გაგვიმასპინძლდნენ, შემომთავაზეს, რომ ერთი კვირით სახლიდან წავალთ და დაგითმობთ, თუ დარჩენა გინდათო, მაგრამ მე იქ მარტოს რა მინდა, სანამ ჩვენები არ დაბრუნდებიან. თუმცა კარგ ფაქტად მიმაჩნია: აფხაზებმა იციან, რომ ქართველების სახლები, იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, ნებისმიერ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, პატრონებს დაუბრუნდებათ. ამაზე აფხაზეთის ტელევიზიითაც აკეთებენ იქაური იურისტები განცხადებას.

როდესაც ჩემი სახლის ახლანდელმა მცხოვრებლებმა გამოგვაცილეს, მითხრეს: "თუ ჩამოსვლას დააპირებთ, დაგვიკავშირდით და დაგეხმარებითო". ისიც მითხრეს, "ჩათვალეთ, რომ თქვენს სახლში თქვენი ძმა ცხოვრობსო." თუმცა, მას შემდეგ აღარ ვყოფილვარ - ისე განვიცადე, რომ კიდევ ჩასვლაზე აღარც მიფიქრია.

სხვათა შორის, ტყვარჩელში გასვენებაში ბევრი აფხაზი ნაცნობი და ახლობელი ვნახე. ერთ-ერთმა მათგანმა, მამაჩემის მეგობარმა მითხრა: "Нам, абхазам и грузинам, деточка, нельзя друг без друга". იქიდან რომ დავბრუნდი, მთელი თვე აფორიაქებული ვიყავი და ადგილს ვერ ვპოულობდი. საერთოდ, ზღვის ხალხისთვის ძნელია ზღვის გარეშე ცხოვრება. ზღვას ვერაფერი შეავსებს.

პროექტის მხარდამჭერი


# პირველი ქართული როკ-კანტატა. ასრულებს 130 მუსიკოსი

"სინათლის წელიწადის" ახალი პროექტი - ქართული ფორუმების მთავარი თემა

ია ვეკუა

"ეს იქნება აბსოლუტური სიახლე ქართველი მსმენელისთვის. რას იტყვით, მგონი, რაღაც სასიკეთოდ ამოძრავდა:)", "ნამდვილად არ მეგონა, თუ საქართველოში რაღაც ეგეთის გაკეთება შეიძლებოდა", "რა წინ მიდის ჩვენი თაობა, მართლა კაია!", "wow!" - ეს ფრაზები თბილისის ფორუმებზე რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. ფორუმის წევრები იმ მუსიკალურ მოვლენას განიხილავენ, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე 15 მაისს გათამაშდება - ჯგუფი "სინათლის წელიწადი" გრანდიოზულ პროექტს "თაობა XII" წარმოადგენს.

უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ პროექტი უკანასკნელი დროის სენსაციად იქცევა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის როკ-ისტორიაში პირველი როკ-კანტატას წარმოადგენს. მუსიკის ავტორი "სინათლის წელიწადის" ლიდერი გიგი გეგელაშვილია, თანაავტორი - ამავე ჯგუფის წევრი დათო ყეინაშვილი. პროექტში ცხადია ჯგუფის მთელი შემადგენლობაა ჩართული, თუმცა ყველაზე საინტერესო ისაა, რაც "სინათლის" წელიწადის შემდეგ იწყება.

ჯგუფი ამ პროექტზე გასული წლის ნოემბრიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მონაწილეთა შემადგენლობა გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა და დღეისთვის მასში დაახლოებით 130 მომღერალი და მუსიკოსი მონაწილეობს. ამასთან, ისინი სრულიად განსხვავებულ მუსიკალურ მიმდინარეობასა და სტილს წარმოადგენენ.

პირველ რიგში, ესაა "სინათლის წელიწადი" - გიგი გეგელაშვილი და კომპანია, რომელიც ქართულ როკ-სცენაზე დაახლოებით ორი წლის წინ შემოიჭრა, რვა სოლო კონცერტის ჩატარება მოასწრო და სამ ადგილობრივ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ჯგუფს გამოშვებული არქვს ერთი Live ალბომი. უკანასკნელი კონცერტი "სინათლის წელიწადმა" შარშან აპრილში ჩაატარა. ვისაც კლუბ "ნოა ნოაშ" ჩატარებული ეს კონცერტი ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რამდენად გაიზარდა ჯგუფი პირველად გამოჩენის შემდეგ. აღნიშნულ კონცერტს ერთწლიანი პაუზა მოჰყვა, თუმცა, როგორც გაირკვა, პაუზა ჯგუფისთვის შემოქმედებითი "ბრეინ შტორმის" ფონზე მიმდინარეობდა - ამ გონებრივი ქარიშხლის შედეგი კი 15 მაისს გველოდება.



გიგი გეგელაშვილი სცენაზე.

ამ დღეს "სინათლის წელიწადთან" დაახლოებული ჟანრის კიდევ ერთ წარმომადგენელს ვიხილავთ. თბილისელი როკის მოყვარულებისთვის კარგად ცნობილი ჯგუფ "რემას" გიტარისტი კობა მანჯგალაძე პროექტის როკწარმომადგენლობას ასრულებს და გზას "ესტრადნიკებს" უთმობს.

ნინი შერმადინი, სოფო ხალვაში, ვლად არამოვი და ემ-კეი - როგორც ხედავთ, გიგი გეგელაშვილი არ ღალატობს საკუთარ თავს და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თანამედროვე ქართული მუსიკის ყველაზე ქარიზმატული და ძნელად პროგნოზირებადი წარმომადგენელია. იგი არც ესტრადის მუსკოსებისადმი არსებულ არც თუ დამაიმედებელ შეხედულებას შეუშინდა და საკუთარ ექსპერიმენტს ამ ოთხეულის შემოერთებით მეტი ინტრიგა შეჰმატა. თავის მხრივ, ოთხეულის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ გეგელაშვილის პროექტში მონაწილეობა მათთვისაც ერთგვარი გამოწვევაა (ესე იგი, თავადაც კარგად მოეხსენებათ, რა შარშიც არიან). სხვათა შორის, "უსახო" ემ-კეი იმასაც შეგვპირდა, რომ ამ პროექტით მას მსმენელი პიანისტის, ანუ სერიოზული მუსიკოსის ამპლუაშიც გაიცნობს (ესეც ხომ ერთგვარი სიურპრიზია).

საესტრადო-"იუმორინულ"-ნიღბიანი ოთხეულის გვერდით კი კიდევ ერთი ჟანრის წარმომადგენლებს ვიხილავთ - ეს არის სიმფონიური ორკესტრი (45-კაციანი შემადგენლობით), რომელსაც კონსერვატორიის მაგისტრი დირიჟორი კობა მერმანიშვილი ხელმძღვანელობს. ორკესტრის წევრები კონსერვატორიისა და მუსიკალური ათწლედის სტუდენტები არიან, ხოლო მათი გაერთიანება "სინათლის წელიწადის" მევიოლინე ლენა მეჩითოვას დამსახურებაა.

პროექტის მომღერალ ნაწილს კიდევ 80-კაციანი ჯგუფი ემატება, რომელშიც ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა კაპელა და ენისა და კულტურის უნივერსიტეტის ქალთა გუნდია გაერთიანებული.

პროგრამა ერთნაწილიანია. როგორც გიგი გეგელაშვილი აცხადებს: "თავიდან ორნაწილიანი კონცერტის ჩატარებას ვაპირებდით, თუმცა საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ მთელი პროგრამა ერთი ამოსუნთქვით, ერთი ემოციით ჩაგვეტარებინა. ვფიქრობ, ეს ჩანაფიქრი უფრო გაამართლებს".

პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორია კომპანია "ფორტუნა 97".

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"-ის ნომინანტები

| | | | |
|---|---|---|---|
| **საუკეთესო პროზაული კრებული** | | | |
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ვანო ჩხიკვაძე | **ზამთრის წიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი** | ლიტერა |
| **საუკეთესო რომანი** | | | |
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჟიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ზაზა ბურჭულაძე | **ხსნადი კაფკა** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 4 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| **საუკეთესო პოეტური კრებული** | | | |
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **ნრე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი წერილებიდან** | საარი |
| **საუკეთესო დებიუტი** | | | |
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | დათო ქარდავა | **ნოეს მტრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დევდარიანი | **მრავალჯერადი გული** | სტამბა "ფორმა" |
| **საუკეთესო თარგმანი** | | | |
| 1 | მარი ლუიზე კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ლვინეფაძე |
| 2 | ამელი ნოტომი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლევან რამიშვილი |
| **საუკეთესო პიესა** | | | |
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |
| 2 | ლაშა თაბუკაშვილი | **ასტეროიდზე აღარ წვიმს** | ჟურნ. "XX საუკუნე" |
| **საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა** | | | |
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აგი აბაშიძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა ბერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |

# ძველი თბილისი



მზევინარ ხუციშვილი

უკვე რამდენიმე დღეა ქართველი საზოგადოება პოლონელი მხატვრის ბორის რომანოვსკის გამოფენას ელის. გუშინ, სამ მაისს მისი ნაუშევრები "ქარვასლას " საგამოფენო დარბაზში წარმოადგინეს, რომლის ორგანიზატორები საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი და საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო არიან. გამოფენის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ჰენრიეტა იუსტინსკაიამაც. თვითონ იდეა კი ეკუთვნის "ქარვასლას" საგამოფენო დარბაზის კურატორს ქალბატონ ლიკა მამაცაშვილს.

გამოფენა პოლონეთის ელჩმა იაცეკ მულტანოვსკიმ გახსნა, რომელმაც აღნიშნა: "ბორის რომანოვსკის ცხოვრება იმ ეპოქის ანარეკლი იყო, რომელშიც თავად ცხოვრობდა, და კიდევ ზედმიწევნით ჰგავდა იმ ქალაქისას, სადაც იმ დროისათვის უკვე ნათლობამიღებული მხატვარი დასახლდა. თბილისურ კოლორიტზე ბევრი რამ სმენოდა ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისგან, რომელთან ერთადაც კიევში მუშაობდა და ისიც თავის მუზის საძიებლად საქართველოში ჩამოვიდა. თუ როგორია მისი თბილისი, ეს თავად მისი ნამუშევრებიდან ჩანს... აქ არის ყველაფერი, რაც აღმოაჩინა და შეიყვარა, რაც აღაფრთოვანებდა, რასაც დასცინოდა და აშარჟებდა... და მართლაც, ჩვენ ყველანი, უცხოელები, ვინც თქვენს ქვეყანაში დიდი თუ მცირე დროით ჩამოვდივართ, ამ ქალაქის კუთხეებში "საკუთარი თბილისის" აღმოჩენას ვცდილობთ... "

ქალბატონმა ლიკა მამაცაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გამოფენის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო, განსაკუთრებით კი, პოლონეთის ელჩს საქართველოში ბატონ იაცეკ მულტანოვსკისა და ქალბატონ კინგა ნეტმანს, რომელნიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ სამუშაოს ეწევიან პოლონურ-ქართული კულტურული ურთიერთობის წარმოჩენისა და განვითარებისათვის. ამავე დროს შეახსენა ქართველ საზოგადოებას, რომ გამოფენილი კოლექცია თბილისის ისტორიის მუზეუმსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ექსპოზიციაა.

გამოფენაზე ბატონი ივლიანე ხაინდრავაც მობრძანდა, მაგრამ მას ძალზედ საპატიო მიზეზი ჰქონდა, რადგან მისი მეუღლე ილენა რომანოვსკაია სწორედ, რომ ბორის რომანოვსკის შვილიშვილი ბრძანდება.

**- ქალბატონო ილენა, რას ნიშნავს დღევანდელი დღე თქვენთვის?**

- ძალიან ვნერვიულობ და თან აღფრთოვანებული ვარ, გული მწყდება, რომ ჩემი ოჯახის წევრები აქ არ არიან. მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს ყველაფერი არსებობდა, ვიცოდი მხოლოდ გადმოცემით და დღევანდელი დღე ჩემთვის დიდი დღესასწაულია.

გამოფენაზე საზოგადოებას დაურიგდათ კატალოგები, რომელიც უშუალოდ პოლონეთის საელჩოს დაფინანსებით და ხელმძღვანელობით გამოიცა. კატალოგში გადმოცემულია ბორის რომანოვსკის ბიოგრაფია და მისი ნამუშევრები.

გამოფენა 23 მაისამდე გაგრძელდება.

# ბოიკოტი "და ვინჩის კოდს"

არქიეპისკოპოსმა ანჯელო ამატომ, რომელიც ვატიკანის ადმინისტრაციაში საეკლესიო დოგმების დადგენისა და დაცვის მხრივ მეორე პირია, წიგნს, რომლის მიხედვითაც "და ვინჩის კოდია" გადაღებული, "ანტიქრისტიანული ტყუილი" უწოდა. რომში, კათოლიკურ კონფერენციაზე, ამატომ განაცხადა, რომ ფილმი სავსეა სიცრუით, ქრისტეს შეურაცხყოფით, ისტორიული და თეოლოგიური შეცდომებით, სახარებისა და ეკლესიის განქიქებით. სოციოლოგთა მონაცემებით, დენ ბრაუნის რომანი, რომლის მიხედვითაც ქრისტესა და მარიამ მაგდალინელს შვილი ჰყავდათ, გამოკითხულთა 43 პროცენტს მთლიანად ან სანახევროდ აქვს წაკითხული, 43 პროცენტი ეკრანიზაციის ნახვას გეგმავს. გამოკითხულთა 91 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ წიგნის წაკითხვაში ან მის მიხედვით გადაღებული ფილმის ნახვაში ცუდი არაფერია. 73 პროცენტი ირწმუნება, რომ "და ვინჩის კოდის" წაკითხვამ მათ რწმენაზე ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოახდინა.

*ჯი-ეიჩ-ენი*



რეცენზია

# ნალექიანი ყინული

## ზაზა ბურჭულაძის "ხსნადი კაფკა"

ლევან ბერძენიშვილი




ხსნადი კაფკა უაღრესად ორიგინალური და მოულოდნელი სინტაგმაა. მისი შორეული ნათესავი "მინერალური ჯაზიც"[1] მოულოდნელი იყო, მაგრამ სათაურის სწორად გასაგებად მთელი წიგნი უნდა წაგეკითხა (ცუდი არაფერი მოხდებოდა, წიგნი ძალიან კარგი იყო). "ხსნადი კაფკა" კი წაკითხვამდეც აღძრავს ფიქრებს. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მძიმე და თავის თავში ჩაკეტილი კაფკა საერთოდ არ "იხსნება" მხოლოდ ამქვეყნიერი ყოფიერებისთვის მომზადებულ ცივ გონებაში და მდუღარე ინტელექტშიც კი ცუდად და "ნალექიანად" იხსნება. "სხნადი კაფკა" კარგად გააზრებული ოქსიმორონია, რომლითაც ავტორი გვაფრთხილებს, რომ მის ნაწარმოებს სპეციალური მოპყრობა ანუ მეტად წვრილად დაფქვა სჭირდება, რომ არ დაგვრჩეს მნიშვნელოვანი ნალექი ანუ შინაარსის მატარებელი გაუხსნელი და აუხსნელი ნაწილები. მოკლედ, რასაც უშუალოდ კითხულობ, არ დაიჯერო და, რასაც სტრიქონებს შორის კითხულობ, კარგად წაიკითხეო. ყოველი შემთხვევისთვის ვიღაცამ (ავტორმა? დიზაინერმა? შემთხვევამ?) გარეკანის უკანა მხარეს სათვალე დაახატა.

კაფკას ხსენებით პრინციპულად არამოკრძალებული და "უშიშარი"[2] ავტორი (ვითომ თავისდაუნებურად?) ხაზს უსვამს, რომ მისი ნაწერი კვლავაც ინტელექტუალური ხასიათისა და, როგორც ყოველთვის, მაღალი ხარისხისაა; "ხსნადი" კი აშკარად მიუთითებს, რომ ეს ნაწერი არა მხოლოდ სრულყოფილია, არამედ ასევე იოლად აღსაქმელია, კარგი წასაკითხია, სწრაფად წაკითხვადია და სწრაფადვე წასაკითხია (არ გაცივდეს!). სათაურში კონოტაციურად მოაზრებული ყავა კი სათქმელის ძალიან მუქ ფერზე მიგვანიშნებს (შავი ანუ ყავისფერი იუმორის ფენომენი). უფრო მოკლედ რომ ვთქვა, სათაურში ზაზა ბურჭულაძე გვეუბნება, [ქართველი] კაფკა ვარ, [ქართულ ცასავით] ღრმა ვარ[3], მაგრამ [კაფკასავით] მოკრძალებულად ცხოვრებას, ადრეულ სიკვდილს და ასი წლის შემდეგ აღიარებას დიდხანს სიცოცხლე და ახლავე, ამ ახალგაზრდობაშივე აღიარება მირჩევნიაო. თანაცო, ამბობს ეს "კომერციული" და ამიტომაც იმ ენებზე იოლად სათარგმნელი სათაური, რა ენებზე მოლაპარაკენიც დილაობით თითო კოვზ ყავას მდუღარე წყალს ასხამენ და წამში მიღებულ სასმელს შესაშური სიჩქარით ეტანებიან, ეს აღიარება მეკუთვნის კიდეცო. სათაური გლობალისტურია, კარგ, ძვირიან რეკლამასავით უდანაკარგოდ თარგმნადია[4] და, შესაბამისად, პოტენციურად სუროგატული[5], მულტიკულტურული და თანამედროვეა.

ე.წ. "თურქული ყავა" (საქართველო თურქეთის უშუალო მეზობელთაგან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ ტერმინს ხმარობს, ბერძნები მას "ბერძნულს"[6] უწოდებენ, სხვები - შავს ან თუნდაც "არაბულს") გულისხმობს მოდუღებისა და მიღების საკმაოდ რთულ და დეტალურად გაწერად რიტუალს; "ესპრესო" გულისხმობს სპეციალურ, როგორც წესი, ძვირადღირებულ მანქანას, ნარჩენებიან ტექნოლოგიას და დიდ ყავისსმისშემდგომ აქტიობას (რეცხვა, წმენდა და ა.შ.); არაფერს ვიტყვი კაპუჩინოზე - მომხმარებლისთვის ყავის ყველა ამ სახეობას სჭირდება გარკვეული დრო და გარკვეული ცოდნა და მხოლოდ ხსნადი ყავა არის ინიცირებულებისა და ნეოფიტებისთვის თანაბრად საყვარელი სასმელი, ის ყველას ერთნაირი გამოსდის და მას ყველა ერთნაირად (სწრაფად) სვამს. ზაზა ბურჭულაძეს სურს დაწეროს წიგნი, რომელსაც ბევრი მკითხველი ეყოლება და ყველა ერთნაირად გაიგებს (ანუ ყველას მოეჩვენება, რომ გაიგო). ეს მსუბუქი მინიშნება ნიველირებულ მკითხველზე არის კიდევ ერთი ინტენციური გამაღიზიანებელი, რომელიც ამ ისედაც ულამაზეს წიგნს, ნამდვილ პოლიგრაფიულ შედევრს, ამ გარეკანზე ვითომ უშნო გამჭვირვალე კაციან (ფორმა შინაარსთან ჰარმონიაში არ არისო!) და უკან სათვალიან (ყურადღებით წაიკითხეო, ზედაპირულად არ გადაიკითხოო!) პირობითად კვადრატულ წიგნს (ლეიაუტი, უკაცრავად, დიზაინი: ნიკა მაჩაიძე) წადა გადა- გაკითხებს.

"ხსნადი კაფკა" მაინც არ არის ნესკაფეს ან მისი საუკეთესო კონკურენტების დონის ხსნადობის ანუ ინსტანტურობის შემცველი - მას ნალექი მაინც რჩება, ესაა მისი ხაზგასმული და ფერადოვანი სკარბეზულობა. დიდ ქართულ ლიტერატურაში (სპეციფიკურ მოლიტერატურო ტექსტებს არ ვგულისხმობ) თითო გვერდზე უხამსი სიტყვის აღმოჩენის პროცენტულობის თვალსაზრისით ეს ჩემპიონი წიგნია. მართალია, ყველაფერ ამას დიდი წითელი ხაზი ესმება, მაგრამ, ამავე დროს, ლიტერატურული პერსონაჟის უხამსი ლექსიკა ზუსტად იმდენია, რამდენიც ზეპირ მეტყველებაში ცოცხალი ლიტერატურული პროტოტიპისა შეიძლება ყოფილიყო. ცბიერება ანუ "ფოკუზი" კი ისაა, რომ საკუთარ თავთან დარჩენისას ადამიანის ფიქრებში შეფასებითი "ცუდი" სიტყვები საერთოდ არ არის. სკარბეზულობა მხოლოდ სოციალური და მაგიური (მაგალითად გამანაყოფიერებელი) დანიშნულებისაა და მას არა მხოლოდ მეორე, არამედ მესამე პირიც სჭირდება; მაგრამ ვინ თქვა, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ფიქრები მესამეს (მაგალითად, მკითხველს) არ გულისხმობს?

უკვე სათაურიდან ვიცით, რომ ავტორის ღირებულებათა სისტემაში "სიჩქარე" ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა, თითქმის "სიცივის" ტოლფასი. მაგრამ, როგორც ნათქვამია, "ავტორს ვუყვარვართ მკითხველნი, ავტორ არ გვახსოვს მკითხველთა" - დიდი ავტორი ზაზა ბ. არ გვენდობა! ეშინია, რომ ვერ გავუგებთ, ვერ მივუხვდებით, რომ მართლა ძალიან ეჩქარება. ამ შიშით სარომანე მანძილი ქართულისთვის უჩვეულო ე.წ. "ვრცელი მოთხრობის" (პოვესტის) სივრცემდე დაიყვანა. აქაოდა, ძალიან, აი, ძაალიან მეჩქარებაო. ზ.ბ.-მ ლიტერატურასავით ძველ ლიტერატურულ ხერხს - "მეტაფორის რეალიზაციას" მიმართა - ხშირ-ხშირად წიგნის მეორე პირი ზაზა, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორი ზაზაა, მაგრამ არცაა, ჭამს მთხრობელის (რომელიც ქალია, მაგრამ მაინც ავტორი ზაზაა) წამწამებს. ავტორი გვაგრძნობინებს, არ შეცდებით, თუ ჩათვლით, რომ წამწამი დროის ჩქამიერობის, წამიერობის სიმბოლოა, ხოლო წამწამის ჭამა იგივე ხსნადი ყავის სმააო. ზაზამ პირველივე გვერდებზე შეჭამა პირველი წამწამი. თვალებში არავის ვუყურებო და მუდმივად თვალებში უყურებს მთხრობელს, თვალების მიდამოებში წამწამებს პოულობს და შესაშური მუდმივობით ჭამს. ქართულ ლიტერატურაში წამწამისმჭამელი გმირი არ ყოფილა, მაგრამ პერსონაჟ ზაზას წინარებურჭულაძისეული ანუ ბურჭულაძემდელი ლიტერატურული კოლეგები დროს ასევე გემრიელად ახრამუნებდნენ (შესაძლოა, პერსონაჟ ზაზას გაკვირვებოდა ფსევდოაქტიურ ლუარსაბ თათქარიძესთან თავისი მსგავსება რომ აღმოეჩინა[7]). ავტორის უნდობლობა კი განუზომელია! ვერ მიხვდებიანო და სპეციალური თავი შეთხზა, დაარქვა "წამი". მერე ხაზი გაუსვა "წამი სიმართლისა".[8]

და მაინც რა თქვა ამ სიმართლის წამმა, რომლისთვის შემზადებას მიეძღვნა ზუსტად ასგვერდიანი[9] წიგნის 87 პროცენტი? უპირველეს ყოვლისა, როგორც ჭეშმარიტ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ და მეტად დროულ ანუ მეტადროოულ წიგნს შეეფერება, ამ პატარა წამში ჩატეულია **მრავალი** პირდაპირი თუ ირიბი ციტატა პრუსტიდან, გალაკტიონიდან, მამარდაშვილიდან, სახარებიდან, გოეთედან და **ერთი** კურსივით გამოყოფილი აზრი მთხრობელისა: "სხვამ შეიძლება უკეთესი განმარტება მომცეს, მაგრამ, ჩემი ფიქრით, **ეს წამი, არაუმეტეს ორი კაცისთვის არსებობს** (ბოლდი ჩემია - ზ.ბ.)". ლიტერატურული თამაში აქ გარკვეულ სიმაღლეს აღწევს - წამის შესახებ ლაპარაკობს პირველი პირი, მთხრობელი ქალი ანუ მთხრობელ ქალად ქცეული ავტორი, იგი მიანიშნებს **მეორე** პირზე ანუ მეორე პირად ქცეულ ავტორ-ზაზაზე, ხოლო კურსივს თავის თავს უკეთებს ზ.ბ.-დ ქცეული ავტორი. წამი, ძალიან ცოტა დრო, ძალიან ბევრი წამ(წამ)თმმუსვრელი ზაზა. ესე იგი, ორი ადამიანისთვის ბოლოს და ბოლოს დგება არა სიყვარულის, არამედ სიმართლის ყინულოვანი წამი. ამაზე უფრო დიდი სიახლოვე არ არსებობსო, ავტორი გვეუბნება, შეიძლებაო, "ჩახუტებულნი სინათლის წლებით იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი". ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეტყვით, უკეთუ არ გაიყინა, დარჩება ერთი.

ფანტასტიკის სფეროდან: ზაზა მოხუცს ქვას კეფაში ურტყამს, მთხრობელი ქალი რაგბისტივით მხრით ეჯახება, მერე ზაზას თავის "ვიქტორინოქსს" აწვდის და გმირები ბერიკაცის წინადაცვეთის რიტუალს განახორციელებენ (ვაკის პარკში, ტენისის კორტებთან!) აუცილებელი შედარება - ბონი და კლაიდი.

ეს ცბიერი წიგნი ხაზგასმით უზრდელობს, სასქესო ორგანოების სახელებისა და ამ სახელთაგან წარმოქმნილი ლექსიკური მრავალფეროვნებისა და ექსკრემენტების სახელების შემაშფოთებელი სიხშირით ბრავირებს, ქართულანბანური რუსიციზმებითა და უცხოანბანური ანგლიციზმებით და მერმე ინგლისურში ნებსით დაშვებული საბავშვო შეცდომებით თავს იწონებს, სიტყვათა ხშირი ფსევდოთამაშით (მაგალითად, Twin Pix Trip; Twin Pix - ტვინის პიქსელები), ძალიან ბევრი ზაზათი, ვუდი ალენითა და სო/საროკინით, მორისეისა და მორისონის ტრივიალური დაპირისპირებით, დროითი ყოვნით, ჩამოწერილი შუმახერით და ბარიკელოთი (და არა ალონსოთი) და კიდევ ბევრი განზრახული ბარიერით თავს არ აკითხებს (სინამდვილეში - აკითხებს) რესპექტაბელურ მკითხველს, სიკვდილს ანუ სიცივეს ანუ ყინულს აპოლოგეტობს (ყინული ჩემი keyword - არისო), მაგრამ ბოლოს მაინც "მარცხდება" "ძველი და ბანალური" ჰუმანიზმის წინაშე. აზრი მარტივია, როგორც ფორმულა-1 და ფორმულა-2: $E=mc^2$ (რა თქმა უნდა, ორივე ფორმულისთვის მოიძებნა ადგილი წიგნში) და ეს მარტივი აზრი ასეთია: ადამიანები ერთმანეთს პოულობენ დროში, სივრცესა და ერთი სიხშირის მაგნიტურ ტალღაში და ეს სიმართლის წამი არის გარინდებული ყინულის წამი, კოშკურიდან აუზში ჩამხტარ მოცურავეზე მოქმედი ამომგდები ძალის წამი[10]; ადამიანები მილიონ წელიწადში ერთხელ პოულობენ ერთმანეთს; მაგრამ ამ საბრალო არსებებს არ შეუძლიათ ერთმანეთის ყინულის ატანა, მათ არ შეუძლიათ სითბოს გარეშე, ხოლო სითბოში დიადი და დიდებული ყინული ლღვება და თბილი გაუცხოება ისადგურებს. კამიუს მარადიულ კითხვას მარტოობასა თუ ერთად ყოფნაზე, solitaire თუ solidaire, ბურჭულაძე უპასუხებს solitaire; ეს, რა თქმა უნდა, ნარცისის (ზ.ბ. მუდმივად ხაზს უსვამს, როგორ მოსწონს ზაზა) მარტოობაა, მაგრამ ეს მეტიცაა, ეს ჩვენი მხსნელი მარტოობაა, იმათთვის მიძღვნილი მარტოობაა, რომელთაც ყინულში ყოფნა არ შეგვიძლია, ანუ ეს ქრისტეს მარტოობაა. სწორედ ამიტომ წიგნის ბოლო, მეასე გვერდზე ჩნდება "fishburger რომელშიც კატლეტი კი არა ჟივოი თევზი დევს და კუდს აქნევს". ქრისტესთან ერთად იხსნება უსასრულობის კარი - წიგნის ბოლო პოლიგრაფიული ნიშანი არის "უ" (ზარმაცებისთვის, ბევრი "უ" სიტყვაში კუკურრუკუკუუუ), მოკლედ, წერტილი არ არის.

■ ■ ■

თავის დროზე, დიადი აღმოჩენების ეპოქაში, ეგვიპტეში შეგეძლო გეყიდა ყველი ან ხალვა და მათ ქაღალდის ნაკლებობის გამო არაბი გამყიდველი საფოს- ან მენანდრესტექსტიან პაპირუსში გაგიხვევდა. ვინც როგორ უნდა უყურებდეს ამ ავტორებს, განსაკუთრებით პირველს, ყველას ესმის, რომ საფოს პაპირუსი თავისი "პოიკილოთრონით"[11] ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე ყველაზე უფრო გემრიელი ხალვა. ზაზა ბურჭულაძემ "ხსნად კაფკაში" იხმარა უკუღმა შეხვევის ტექნიკა, როდესაც ხალვა უფრო ძვირფასია, ვიდრე პაპირუსი. ბურჭულაძის პაპირუსში სიტყვათა სიხშირის ლექსიკონს ამაყად ლიდერობს "მ" ასოზე დაწყებული, ქალთა საერთო აღიარებით, ყველაზე ოდიოზური ქართული სიტყვა, ხოლო ამ "ცუდ" ტექსტში გახვეულია დიდი და კეთილი აზრი. ავტორს შეეშინდა, ვერ გამიგებენო და აკრძალულ ხერხსაც კი მიმართა, როდესაც თითქმის მეტონიმიად ქცეული მთავარი მეტაფორა, თევზი-ქრისტეს მეტაფორა დახარჯა. ფორმულა-3 მარტივია: ამ სკარბეზულ ტექსტში ისეა შეხვეული ზნეობა, როგორც მაკდონალდსის მკვდარ ფიშბურგერში ცოცხალი ღმერთი.

1. ერთმა დიდმა ქართველმა პოეტმა ქალმა მითხრა, "მინერალური ჯაზი" ძალიან მომეწონა და ეს "ხსნადი კაფკა" არ მომწონსო. "მინერალური ჯაზის" ნაწილში გამიხარდა, არ ველოდი ამ აღიარებას, "ხსნად კაფკას" რაც შეეხება, ეს წიგნი თავის დასამკვიდრებლად კიდევ იბრძოლებს.
2. უშიშარი ეწოდება ავტორს, თუკი იგი თავის პერსონაჟს, რომელსაც, სხვათა შორის, მისი სახელი ჰქვია, მისი პროფესია აქვს და მისი ფოტოსურათითაა გამოხატული ძალიან საინტერესო მიღმურ-რკინისჩარჩოიანი რაკურსით, ჩააცმევს მაისურს წარწერით "FUCK ME" (ეჰ, როგორ მინდა აქვე "ეპატაჟის" განმარტება ჩამოვაყალიბო, მაგრამ პოლიტიკურად არაკორექტული იქნებოდა!). რა თქმა უნდა, არავის უნდა შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ მთელი ამ ეპატაჟური გალიმატიით ავტორიც და მისი პერსონაჟიც საკუთარ მამაკაცურ პოტენციალს (ამ სიტყვას რომ მრავლობითი ჰქონოდა, მე ვიტყოდი, პოტენციალებს) უსვამენ ხაზს (მე ვიტყოდი, ხაზებს-მეთქი).
3. ზემოთ (პირველ შენიშვნაში) ნახსენები დიდი ქართველი პოეტი ქალი ამ არც ისე ფარულ ციტატაში ნაგულისხმები ანა კალანდაძე არ არის - ჩემთვის უცნობია ანა კალანდაძის დამოკიდებულება "მინერალურ ჯაზთან" და, მით უმეტეს, "ხსნად კაფკასთან".
4. დიდი დანაკარგით თარგმნილი რეკლამის შესანიშნავი მაგალითია ბრიტიშ პეტროლეუმის საქართველოში ხშირად ტირაჟირებული ბანერული შედევრი (ნეტა, რამდენი გადაიხადეს და რომელ ვალუტაში?): "კითხვა: რა სარგებლობა მოაქვს ნავთობსადენს? პასუხი: გაცილებით მეტი."
5. ხსნადი ყავა შეიძლება იყოს უკოფეინოც.
6. "ელინიკო".
7. ლუარსაბი ოპერაში არ დადიოდა, მაგრამ "ხსნადი კაფკას" წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ უნდა ევლო. ოპერაშიც, კლუბ "ბერლინშიც" და ოთო ყულენტთანაც.
8. რა თქმა უნდა, ზაზა ბ-მ მოახერხა და მთხრობელი ქალი მკითხველს შეაყვარა. ამდენ ცუდ სიტყვას ფიქრობს და მაინც მოწიწებით უყურებ და უსმენ. წყალი არ გაუვა, მთხრობელი საყვარელი ქალია. არასაყვარელი ქალი იტყოდა (საკუთარ ფიქრებში!) "ჭეშმარიტების" წამიაო ("მამენტ ისტინი"), მაგრამ საყვარელი, მუდმივად [illegible] ქალი (მეტნი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო [illegible] სიმბოლოა) ამბობს, წამი სიმართლისაო. ავტორი პირდაპირ თითქმის არსად მიუთითებს კოქტოზე, მაგრამ [illegible] ვგრძნობ, რომ [illegible] ქალი-სიკვდილის მშვენიერი სახე ჩვენს მთხრობელს ახლოს ენათესავება.
9. ზუსტად ასგვერდიანი კი არა, მეასე გვერდიც ზუსტად ბოლომდე შევსებულია. წიგნი გვაგრძნობინებს, დასრულებული და სრულყოფილი ვარო. არადა, წერტილი არ [illegible] ზაზამ [illegible] ავტორა, რომელმაც თავის 46-ე გვერდის შემდეგ [illegible] სურათზე სათავეს მოიხსნა და გარეკანის უკანა გვერდზე მოათავსა).
10. შესანიშნავი წყალქვეშა ფოტო ზემოქმედის მშვენიერი ილუსტრაცია.
11. "პოიკილოთრონ ათანატ აფროდიტა" - "ჭრელტახტიანი უკვდავო აფროდიტე" პლატონის მიერ მათი მუზად აღიარებული საფოს ერთ-ერთი შედევრის, "ჰიმნი აფროდიტეს" დასაწყისი სტრიქონი.

პაოლო კოელიოს სვეტი



## ფილოსოფოსი, რომელიც ცხოველებს ესაუბრებოდა

ეზოპეს ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. იციან მხოლოდ ის, რომ ეზოპე ცხოვრობდა ჩვ.წ.აღ-მდე მეექვსე საუკუნეში და იყო მონა კაცისა, სახელად ჟადმონი. დემეტრიუსის მიერ ჩვ.წ.აღ-მდე 300 წელს შეკრებილი ეზოპეს იგავები ადამიანის ქცევის შესახებ კომპლექსურ და ამომწურავ შეხედულებებს გვთავაზობს.

ჩვენი დროის ბოლო ათწლეულის ყველაზე ტრავმული მოვლენა - ერაყის ომი სწორედ ეზოპეს ერთ იგავს მახსენებს მგლისა და ცხვრის შესახებ: როცა ბუშმა გადაწყვიტა, რომ ერაყში ყოველ მიზეზგარეშე უნდა შეჭრილიყო, ამისთვის ყველანაირი ხერხი გამოიყენა: მასობრივი განადგურების იარაღი, ბირთვული იარაღის პროგრამა, "ალ-ქაიდასთან" კავშირი... მიუხედავად იმისა, რომ ჰანს ბლიქსმა (UNMOVIC) და მოჰამედ ელბარადეიმ (IAEA) გაეროს უსაფრთხოების საბჭოს დაძაბულ სხდომაზე განაცხადეს, რომ მსგავსი ბრალდებების არსებობისთვის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობდა, ბუშმა ზურგი აქცია გაეროს და რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, მაინც განახორციელა - ერაყში მაინც შეიჭრა. ახლაც კი, როცა მასობრივი განადგურების იარაღის აღმოსაჩენად ძებნა უშედეგოდ დასრულდა, ბუშმა ახალი არგუმენტი გამოიგონა: "ჰუსეინი ცდილობდა ასეთი იარაღის დამზადებას". და ერაყში შეჭრის თემაც ასე და ამგვარად დაიხურა.

ეზოპესთან კი ასეა: მგელი უყურებს ცხვარს და უნდა რომ იპოვოს რამე მიზეზი, რის გამოც შეჭამს მას. ჯერ გადაწყვეტს, წყლის დაბინძურებაში დაადანაშაულოს, ცხვარი კი უხსნის: "მე როგორ გიმღვრევ, მგელო, წყალს, შენ ხომ ჩემზე ზევით დგახარ".

"შარშან შენ ჩემს მშობლებს დაესხი თავს", - უკან არ იხევს მგელი, ცხვარი კი გაოცებული პასუხობს, რომ შარშან დაბადებულიც არ იყო.

რა თქმა უნდა, სადამ ჰუსეინი არავითარ შემთხვევაში არ ჰგავს უმწეო ცხვარს ეზოპეს იგავიდან, მაგრამ მასთან მეტაფორად ეს ამბავი მაინც გამოდგება: თუ ვიღაცას ბოროტების ჩადენა ჩაფიქრებული აქვს, მიზნის გასამართლებლად ყოველთვის მოახერხებს არგუმენტის პოვნას.

ახლა კი ვნახოთ, როგორ იქცევიან ცხოველები და შევადაროთ ადამიანების ქცევებს:

1) არასდროს სთხოვო დახმარება მათ, ვინც, როგორც წესი, ზიანს გაყენებს: მგელი კლდიდან გადავარდა და ეკლიან ბუჩქს მოსჭიდა თათი, თავი რომ შეეკავებინა. უცებ იგრძნო, რომ ეკალმა ხორცი გაუჭრა და ჭრილობიდან სისხლი წამოუვიდა. მგელმა ბუჩქს შესჩივლა: "მე შენ დახმარება გთხოვე, შენ კი მატკინე". ბუჩქმა მიუგო: "ეგ შენი ბრალია. არ იცი, რომ ყველას ვკაწრავ, ვინც კი მომიახლოვდება?"

2) თუ ვერ მიიღებ იმას, რაც გინდა, ნუ დააბრალებ სხვებს: მელა შიმშილით კვდებოდა და ამ დროს მწიფე ყურძენი დაინახა. ყურძენი მაღლა ეკიდა, მელა ვერ წვდებოდა, ხტუნავდა, მაგრამ ამაოდ. როცა მიხვდა, რომ შანსი არ ჰქონდა, თავი ასე დაიმშვიდა: "ეჰ, ალბათ, ყურძენი მკვახე იყო".

3) ის, რაც იდეალურია დღეს, ხვალ შეიძლება უმნიშვნელო გახდეს: ორი ბაყაყი წყურვილით კვდებოდა. ამ დროს გუბურა დაინახეს. ერთმა უთხრა მეორეს: "ძვირფასო დაო, ჩვენ გვწყურია იმიტომ, რომ მიწა გახმა. ეს გუბურაც დაშრება, როგორც კი წყალს დავლევთ და მერე როგორ ამოვძვრეთ ორმოდან?" ამიტომ გადაწყვიტეს, წყურვილის გრძნობა დაეძლიათ და წყალი არ დაელიათ.

4) მიღწეულმა გამარჯვებებმა არ დაგაკარგინოს თავი. ყოველთვის იცოდე, სად არის შენი ზღვარი: კოღომ უთხრა ლომს: "ვიცი, ჩემზე ძლიერი ხარ, მაგრამ მე შემიძლია გაგაგიჟო". თქვა და დაიწყო: მთელი დღის განმავლობაში არ მოშორდა, ცხვირზე ეჯდა და კბენდა, თავის გრძელ ნესტარს დაუზარლად არჭობდა. ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ლომს სიცოცხლე გაუმწარა, გამარჯვებული ამაყად აფრინდა და გადაწყვიტა, მთელი ქვეყნისთვის ეცნობებინა, რომ მსოფლიოში უძლიერესი ცხოველი დაამარცხა. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. აფრინდა, ობობას ქსელში გაება და მოკვდა.

5) ჯობს, საფრთხის თავი აარიდო, თუ ატყობ, რომ ვერაფერს გააწყობ: ლომი ფერმაში შევიდა. ფერმერმა მაშინვე გადარაზა ჭიშკარი. გამწარებულმა ლომმა ცხვრების ფარა დაანიავა, დახოცა ძროხები და სახლში შეჭრას ლამობდა. ამასობაში ფერმერი მეზობლებთან იყო წასული, რომ თოფი ეთხოვა და ლომი მოეკლა. უკან დაბრუნდა და ნახა, რომ მისი ოჯახი განსაცდელში იყო. სხვა გზა არ ჰქონდა: ჭიშკარი უნდა გაეღო და ლომი გაეშვა. სწორედ მაშინ გაიგო, როგორ წუწუნებდა მისი ცოლი: "რატომ უნდა მოუშვა შენთან ასე ახლოს საფრთხე, თუ მისი დამარცხება არ შეგიძლია".

6) ამაო ბრძოლები მხოლოდ მაყურებლის გასართობად ხდება: ლომი და ტახი ერთდროულად მიადგნენ ტბის ნაპირს და დაიწყეს ჩხუბი - პირველი ვინ დალევდა წყალს. ის იყო, [illegible] ცას ორი ყორანი [illegible] ცხვირზე [illegible] და მიხვდნენ, [illegible] ლეშით [illegible] ".



# ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი და საქართველო

დიმიტრი შველიძე
შოთა შველიძე

1951 წლის ოქტომბერში კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე უინსტონ ჩერჩილმა ე. წ. "სამი სფეროს" კონცეფცია ჩამოაყალიბა. იგი გულისხმობდა ახალი მსოფლიოს მოდელს, რომელიც სამი გეოპოლიტიკური რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდა: ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მტკიცე კავშირი წარმატებით დაუპირისპირდებოდა სხვა ნებისმიერ დაჯგუფებას პლანეტაზე, მის თუ მათ ექსპანსიონისტურ ქმედებას.

"როცა ადამიანთა სასურველ ცვლილებათა შუქზე მომავალს გულმოდგინედ ვჭვრეტ - ცოტა არ იყოს სენტიმენტალობაშეპარული ტონით განმარტავდა ჩერჩილი, - რეალურად ვგრძნობ სამი დიდი სფეროს არსებობას თავისუფალ ხალხთა და დემოკრატიის სინამდვილეში. პირველი სფერო ჩვენთვის ბუნებრივია არის ბრიტანეთის იმპერია და თანამეგობრობა, ყველა თავისი კომპონენტით. შემდეგია ამერიკაზე გასწორებული ანგლო-საქსური სამყარო, რომელიც ამერიკას ბაძავს და რომელშიც ჩვენ კანადა და ბრიტანეთის სხვა დომინიონები ესოდენ დიდ როლს ვასრულებთ. და ბოლოს ეს არის გაერთიანებული ევროპა.

ეს სამი მაგიური წრე თანაარსებობს და თუ ისინი შედუღაბებულნი არიან, დედამიწაზე არ მოიპოვება ისეთი ძალა ან გაერთიანება, რომელსაც შეეძლება დაამარცხოს ან სერიოზული გამოწვევა გაუბედოს მათ."

ისტორიამ დაადასტურა ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერის წინასწარმეტყველება. დღეს ჩერჩილის "სამსფეროვანი" მოდელი პოლიტიკური რეალობაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვადასხვა სტრუქტურებში ინტეგრირებული ევროპა ერთიან სივრცეს წარმოადგენს ."სამი სფეროს" ერთიანობის სამხედრო-პოლიტიკური საფუძველი კი შეიქმნა - ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სახით.

## ცოტაოდენი ისტორია

ნატო-ს შექმნა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოფილ ანტიფაშისტურ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ განაპირობა. ნაცისტურ გერმანიასთან გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირი უჩვეულოდ გაძლიერებული გამოვიდა. მან თავის გავლენას დაუქვემდებარა აღმოსავლეთ ევროპა, ჩინეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთ კორეა, ჩრდილოეთ ვიეტნამი... შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების ბანაკი. შესაძლებელი გახდა ლენინ-ტროცკის დროინდელი კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური გეგმების განხორციელება "მსოფლიო რევოლუციის" შესახებ. საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ სოციალ-იმპერიალიზმის სახე მიიღო და დასავლეთ ევროპა და აშშ მდგრადი სამხედრო კავშირის შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა.

1945 წლის 5 მარტს ამერიკაში მყოფმა უინსტონ ჩერჩილმა ქალაქ ფულტონში წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში, შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჰარი ტრუმენს საბჭოთა საფრთხის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ მოუწოდა სამხედრო თანამშრომლობისაკენ. საბჭოთა ექსპანსიის შეკავების პოლიტიკა ორივე სახელმწიფოს პოლიტიკის წამყვან დოქტრინად იქცა.

პირველი ქვეყნები, რომლებშიც ნატო-ში გაერთიანებულმა ძველმა მოკავშირეებმა საბჭოთა საფრთხე ალკვეთეს, საბერძნეთი და თურქეთი იყვნენ. საბერძნეთს ჩრდილოეთიდან სამოქალაქო ომის პროვოცირების ხელშეწყობა ემუქრებოდა, ხოლო თურქეთს საბჭოთა კავშირი ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა და ბოსფორის სრუტეში სამხედრო-საზღვაო ბაზების აშენების უფლებას აიძულებდა. აშშ-ს კონგრესმა 400 000 მილიონი დოლარი გამოყო ორივე ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო დახმარებისათვის.

ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხე ომისშემდგომ ევროპაში გამეფებული ეკონომიკური ნგრევა, უმუშევრობა და დეპრესია გახლდათ, რაც შეიძლება საბჭოთა კავშირის მიერ მართულ ევროპულ კომუნისტურ პარტიებს გამოეყენებინათ და ხელისუფლების სათავეში მოსულიყვნენ. 1948 წლის დასაწყისში ამერიკის კონგრესმა 17 მილიარდი დოლარი გამოყო ევროპის ქვეყნების ეკონომიკური აღორძინებისათვის.

მიუხედავად შეკავების პოლიტიკის ამ და სხვა გამოვლინებებისა, ეპიზოდური ურთიერთდახმარებები არ იყო საკმარისი საბჭოთა საფრთხის გასანეიტრალებლად. საჭირო იყო მდგრადი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც საბჭოთა მხარის შესაბამისი სამხედრო პოტენციალი ექნებოდა. მსგავსი პრეტენზია არ გაჩნდა 1948 წელს შექმნილ ე. წ. დასავლეთის კავშირს, რომელშიც შედიოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი (1955 წელს ბლოკს მიემატნენ იტალია და გერმანია, სახელწოდებაც ოდნავ შეიცვალა - დასავლეთ ევროპის კავშირი).

და აი, 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში აშშ-მ და თერთმეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა საფუძველი ჩაუყარეს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას.

ახალი ალიანსი ზუსტად იმგვარი აღმოჩნდა, როგორსაც წევრი სახელმწიფოები ესწრაფოდნენ. მომდევნო 42 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ნატო-მ უზრუნველყო საბჭოთა ექსპანსიის გაუვრცელებლობა დასავლურ სივრცეში. როგორც ვაშინგტონის ხელშეკრულების პრეამბულაშია აღნიშნული, ალიანსის მხარეებმა "დაიცვეს თავიანთი ხალხების თავისუფლება, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, პირადი თავისუფლება და კანონის უზენაესობა." მათ შეინარჩუნეს "ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში სტაბილურობა და კეთილდღეობა," უზრუნველყვეს "კოლექტიური თავდაცვა და მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება."

მეტიც უნდა ითქვას, ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის ქვეყნებმა შეძლეს მიეღწიათ მსოფლიოს ისტორიაში არნახული სტაბილურობისა და კეთილდღეობის დონისათვის. ომისშემდგომ პერიოდში ამ სივრცეში არ მომხდარა არც ერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული სამხედრო ხასიათის კონფლიქტი თუ ვითარების გამწვავება. რა თქმა უნდა, ალიანსის წევრ-მხარეებს ვგულისხმობთ.

სხვა ვითარება იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებში. ეს ორგანიზაცია 1955 წელს საბჭოთა დიქტატის ზეწოლით შეიქმნა. ზოგიერთი წევრი-სახელმწიფოს ცდა - თავი დაეღწიათ საბჭოთა გავლენისაგან (უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი), მარცხით და სისხლიანი ანგარიშსწორებით დასრულდა. 1991 წელს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაც დაიშალა და მისი შემკოწინებელი საბჭოთა კავშირიც. ამასთან ერთად დასრულდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ისტორიის პირველი პერიოდი. ახალშექმნილი საერთაშორისო რეალობა ახალსავე ამოცანებს უსახავდა ორგანიზაციას.

## ალიანსი ახალი ამოცანების წინაშე

მას შემდეგ, რაც ცივი ომის ეპოქა წარსულს ჩაბარდა, აქტუალური გახდა დისკურსი - არის და იქნება თუ არა საჭირო ალიანსის არსებობა, საბჭოთა საფრთხის მოსპობის პირობებში; რა უნდა იყოს ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობის მიზნები. მომდევნო მოვლენებმა ცხადყვეს, რომ საკითხის ამგვარი დასმა გაუმართლებელი გახლდათ. პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოიქმნა ათეულობით დამოუკიდებელი სახელმწიფო. პროცესი მტკივნეული აღმოჩნდა. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას მოჰყვა კონფლიქტების წყება. ევროპულ სივრცეს დესტაბილიზაციის საშიშროება შეექმნა. რეგიონული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი გახდა ნატო-ს საქმიანობის ახალი ფორმების შემუშავება. გამოიკვეთა ახალი მიზნებიც, როგორიც იყო ევროპის ზოგიერთ რეგიონში კრიზისების მოგვარება, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის გამიზნული სამხედრო ოპერაციების განხორციელება.

ასე მომწიფდა ნატო-ს ტრანსფორმაციის აუცილებლობა. პროცესი ორი ძირითადი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო. პირველი - სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მშვიდობიანი თუ სამხედრო ძალისხმევა და მეორე - ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის გაფართოება ევროპული სახელმწიფოების ალიანსის რიგებში მიღების გზით.

იმისათვის, რომ მოღვაწეობის აღნიშნული ორი მიზანდასახულება განხორციელებულიყო, ალიანსი კვლავ ხელმძღვანელობდა ვაშინგტონის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული 14 ფუნდამენტური მუხლით, რომლებიც უნივერსალური აღმოჩნდა, როგორც გასული ასწლეულის 90-იან წლებში შექმნილი ვითარებისათვის, ისე XX საუკუნის დამდეგის უახლესი გამოწვევებისათვის საპასუხოდ.

## გამოწვევები და პასუხები

როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად ალიანსში თორმეტი წევრი-დამფუძნებელი ქვეყანა გაერთიანდა: აშშ, კანადა, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, პორტუგალია. ვაშინგტონის ხელშეკრულების მეათე მუხლის თანახმად მხარეებს შეეძლოთ მოეწვიათ, და სჯობს აწმყო დროით დავაფიქსიროთ - შეუძლიათ ალიანსში მოიწვიონ და მიიღონ სხვა სახელმწიფოები. საამისოდ უმთავრესი პირობებია, რომ ჯერ ერთი - მოწვეული უნდა იყოს "ევროპული სახელმწიფო" და მეორეც - ის, ვინც "ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში." რა თქმა უნდა მთავარი მთლიანად ხელშეკრულების პირობების აღიარებაა და სხვა რიგი დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც შემდგომში გაითვალისწინეს ალიანსის წევრმა-ქვეყნებმა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ნატო-ს გაფართოება, მისი ფუნქციონირების პირველ პერიოდშიც მიმდინარეობდა: 1952 წელს ორგანიზაციის წევრები გახდნენ საბერძნეთი და თურქეთი; 1955 წელს გერმანია; 1982 წ. - ესპანეთი. სოციალისტური ბლოკის დაშლის შემდეგ ნატო-სკენ განსაკუთრებული მონდომებით დაიძრნენ საბჭოთა დიქტატისაგან განთავისუფლებული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ერთი მხრივ ისინი ესწრაფოდნენ ევროპულ გარემოში დაბრუნებას, რომელსაც ძალით მოსწყვიტეს; მეორე მხრივ მათ სურდათ ალიანსის ფარქვეშ დამოუკიდებლობის გარანტია და თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა. 1999 წელს ნატო-ში სამი ექსსოციალისტური ქვეყანა შევიდა - უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი, სწორედ ისინი, ვინც ყველაზე მეტი სისხლი და ენერგია გაიღო თავისუფლებისათვის.

უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი გაფართოება 2002 წლის ნოემბერში პრაღის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად განხორციელდა, როცა ნატო-ში 7 ახალი ქვეყანა აღმოჩნდა: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. მაშინ მჭევრმეტყველურად აღნიშნავდნენ: როცა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა სამიტის მონაწილეებს ნატო-ს ახალი მიწვეული სახელმწიფოების სია გააცნო, მაგიდაზე ვაცლავ ჰაველის მიერ ნაჩუქარი პატარა ჩაქუჩი დაარტყა და ამით უკანასკნელი ლურსმანი ჩაარჭო იალტის კონფერენციის კუბოშიო. მართლაც. 1945 წლის თებერვალში, დიდმა სამეულმა, ერთი მხრივ რუზველტისა და ჩერჩილის, მეორე მხრივ სტალინის მოლაპარაკებების შედეგად, მომავალი ევროპა ორად გაყო. შემდგომში ჩერჩილი შენიშნავდა: "შჩეცინიდან ბალტიის ზღვაში ტრიესტამდე ადრიატიკაში, კონტინენტზე რკინის ფარდა ჩამოეშვა."

1991 წლიდან იწყება ნატო-ს ძირეული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელმაც დროთა განმავლობაში სულ უფრო უნივერსალური ხასიათი მიიღო და დღესაც გრძელდება. განვლილი პერიოდის მანძილზე ალიანსმა განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო.

პირველი ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება გახლდათ ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შექმნა. იმავე წელს ალიანსის რომის ნოემბრის სამიტზე მიიღეს "ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია", რომელმაც შეცვალა 1967 წლის "ჰარმელის კონცეფცია."

მეორე ეტაპზე, 1994 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ბილ კლინტონის ინიციატივით შეიქმნა პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის." პროგრამაში პარტნიორობის სტატუსით გაერთიანდა ათეულობით ქვეყანა. მათ ალიანსი ეხმარებოდა თავიანთი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში. პარტნიორ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში და საქმიანობის სხვა სფეროებში: სამხედრო სწავლებები; სემინარები; სასწავლო კურსები და ა. შ.

პირველად პარტნიორმა ქვეყნებმა მონაწილეობა მიიღეს ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში - ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, შემდეგში - კოსოვოში. ამავდროულად ნატო პარტნიორულ ურთიერთობას ამყარებდა მსოფლიოს სხვა რაიონებთანაც და შესაბამისად ქმნიდა რეგიონულ ორგანიზაციებს. ერთ-ერთი ამათგანი გახლდათ - ხმელთაშუაზღვისპირეთის დიალოგი (1995წ),. მასში გაერთიანებულნი არიან: ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი, ალჟირი. ნატო-მ ორმხრივი ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან - ნატო-რუსეთის ერთობლივი მუდმივი საბჭოს ფარგლებში. ამჟამად მას რუსეთ-ნატოს საბჭო ეწოდება.

ტრანსფორმაციის მესამე ეტაპზე ჩრდილო-ატლანტიკურ თანამშრომლობის საბჭოს 1997 წლიდან ეწოდა - ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. ცვლილება არ იყო ფორმალური. ის რეალურ სურათს ასახავდა, რადგან ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთობებს გამოხატავდა და მათ შორის თანამშრომლობის ორგანოს წარმოადგენდა. ურთიერთობების ფორმატი კიდევ უფრო გაფართოვდა: რეგიონული პრობლემები; კონტროლი შეიარაღების ცალკეულ სახეობებზე; სამხედრო-ეკონომიკური საკითხები; მეცნიერების, გარემოს დაცვის სფერო...

1998 წელს შეიქმნა სტიქიურ უბედურებებსა და კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი. მან მონაწილეობა მიიღო გაეროს-თან ერთად კოსოვოდან ალბანეთში ლტოლვილებისათვის დამხმარე ღონისძიებებში; ჰუმანიტარული დახმარება გაუწია დასავლეთ უკრაინაში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას და სხვ.

უკვე 1990-იანი წლების მიწურულის ამ ღონისძიებებიდანვე ცხადი გახდა, რომ ნატო გასცდა თავისი საქმიანობის ტრადიციულ ჩარჩოებს და სულ უფრო ინტენსიურად ატარებდა მსხვილმასშტაბიან სამშვიდობო-ჰუმანიტარულ ოპერაციებს.

მიუხედავად ამისა, არანაკლებ ემსახურებოდა მშვიდობას და სტაბილურობის აღდგენას თუ შენარჩუნებას, ალიანსის სამხედრო აქციები. 1995 წელს ნატო-ს მიერ განხორციელებულმა საჰაერო ოპერაციებმა ბოსნიელ სერბთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, აიძულა მათი ხელმძღვანელობა, დათმობაზე წასულიყო და დათანხმებოდა დეიტონის შეთანხმების პირობებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. მას შემდეგ, რაც წარმატებით დაასრულა სტაბილურობის აღდგენის ამოცანა, ნატო-მ სამშვიდობო მისია ევროკავშირს გადააბარა.

როგორც ცნობილია, კიდევ უფრო მასშტაბური გახლდათ სამხედრო ჩარევა იუგოსლავიის მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისადმი დაუმორჩილებლობის გამო. 1999 წელს ალიანსმა ძლიერი საჰაერო კამპანია დაიწყო ბელგრადის წინააღმდეგ და ორთვენახევრიანი შეტევის შემდეგ აიძულა იუგოსლავია, მიეღო გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1244 რეზოლუციის სამშვიდობო პირობები. ნატო-ს სამხედრო ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი მშვიდობის შენარჩუნება მაკედონიაშიც.

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: რომ არა ზემოაღნიშნული სამხედრო ჩარევები, ოპერაციები თუ სხვა იძულებითი აქციები, ზემოაღნიშნული და ჩვენს მიერ აღუნიშნავი სხვა არაერთი რეგიონული კონფლიქტი დღესაც მოუგვარებელი ცეცხლის ზონა იქნებოდა და ქაოსს გამოიწვევდა მსოფლიოს არაერთ რეგიონში.

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის არსებობა კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ. სწორედ ამ დროს პირველად ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ, როცა ნატო-ს სხვა წევრმა-სახელმწიფოებმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს აშშ-ს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. მას შემდეგ, განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, ალიანსის საქმიანობა აღნიშნული პრიორიტეტის ნიშნით წარიმართა.

ამავდროულად მიმდინარეობდა ნატო-ს ტრანსფორმაციის პროცესის გაღრმავება ალტერნატიული მიმართულებებითაც. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ალიანსის გაერთიანებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ჯეიმს დ. ჯონსს, რომელმაც თავისებურად შეაჯამა ორგანიზაციის საქმიანობა უახლეს ეტაპზე. მისი განმარტებით, ნატო-ს მთავარი დანიშნულებაა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მომდინარე სხვადასხვა საფრთხეების აღკვეთა. ამჟამად, ალიანსის სხვადასხვა რაოდენობის კონტინგენტები სამხედრო-სამშვიდობო მისიებს ახორციელებენ ავღანეთში, ერაყში, სუდანში და სხვა ევროპის გარეთა რეგიონებში. პრაღის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უკვე ძირითადად შექმნილია ე. წ. ნატო-ს რეაგირების ძალები, რომლის მიზანია მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში შესაბამისი სახის მოქმედება. 25 000-კაციანი სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და სპეციალური კონტინგენტი შვიდი სახის მისიას უნდა მოემსახუროს - შეიარაღებული დესანტის გადასხმიდან ჰუმანიტარულ დახმარებამდე. "სრული მზადყოფნის" კონდიციამდე მისასვლელად, რაც წლის ბოლომდე - რიგის სამიტამდე უნდა მოხდეს, კონტინგენტმა ზაფხულში სწავლება აფრიკაში, კაბო-ვერდეში უნდა გაიაროს და ა. შ.

მოქმედების გეოგრაფიული არეალი და შესაძლებლობები შთამბეჭდავია.

## ნატო - საქართველოს გადაწყვეტილება და პერსპექტივა

ჯერ კიდევ 2002 წელს, ალიანსის პრაღის სამიტის ახლო ხანებში, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გამოთქვა პროგნოზი, რომ ხორვატიის, მაკედონიისა და ალბანეთის შემდეგ ნატო-ს წევრები უნდა გამხდარიყვნენ უკრაინა და საქართველო და შესაძლოა აზერბაიჯანიც. ახლა ამგვარ შესაძლებლობაზე უფრო ინტენსიურად ლაპარაკობენ.

როგორც ცნობილია, საქართველოს საქმიანი ურთიერთობები ალიანსთან 1994 წლიდან იწყება, როცა ჩვენი ქვეყანა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის წევრი გახდა. 1998 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ ორგანიზებულ ან მის მიერ მხარდაჭერილ აქციებში. 2001-2002 წლებში ქვეყანამ "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ეგიდით 242 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, კოსოვოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში და სხვ.

მესამე წელია საქართველო ჩართულია ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამაში და შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ პირობებს ახორციელებს. მიუხედავად სასიკეთო სიგნალებისა ამ გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, მისი საბოლოო შეფასება ნატოელებისაგან მომავლის საქმეა. მხოლოდ ამის შემდეგაა ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპი - ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმაში ჩართვა, რაც წევრად მოწვევის წინა პირობაა.

ერთი სიტყვით, წინ უმძიმესი და რთული გზაა გასავლელი, რომელსაც ხელშემწყობი გარემოებებიც ბევრი ახლავს და ხელშემშლელიც.

ზოგიერთი არასასურველი ხელშემშლელი გარემოება აღვნიშნოთ.

***რუსეთის ფაქტორი.*** კარგადაა ცნობილი, თუ რა მტკივნეულად ხვდება ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას და ისიც კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მისი გაღიზიანება სულ უფრო მზარდი იქნება. ბოლო ხანებში რუსეთის დიპლომატია იმაზეც ალაპარაკდა, რომ ნატო-ს უკრაინა-საქართველოს ტერიტორიაზე გაფართოება გამოიწვევს "სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძვრას, რომელიც რუსეთის ინტერესებს ეხება და სამხედრო პოტენციალების შეცვლისა და სამხედრო-სამრეწველო კავშირების სისტემების რეორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვა." სხვა ამბავია, რამდენად გაუწევს ალიანსი ანგარიშს რუსეთის ამგვარ "კანონიერ" პრეტენზიას ან მსგავს პრეტენზიებს.

იგივე უნდა ითქვას რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე, რომელიც, სხვა ხელშეკრულებების შესრულების შემთხვევაში, აღარ ჩაითვლება ხელშემშლელ ფაქტორად.

***შიდა კონფლიქტების მოუგვარებლობის ფაქტორი.*** საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის N1.7. პუნქტში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ "საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, გადაჭრას ეს პრობლემები მშვიდობიანი გზებით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად." თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტს თან ახლავს შემამსუბუქებელი ქვეპუნქტებიც. ისინი ქართულ მხარეს არა იმდენად კონფლიქტების მოგვარებას ავალდებულებენ, რაც შეუძლებელი იქნებოდა, არამედ მოგვარების პოლიტიკის "გაგრძელებას". ეს გარემოება კი იმედს იძლევა, რომ კონფლიქტების მოუგვარებლობა არ იქნება გადაულახავი ზღვარი ალიანსში გაწევრიანების გზაზე.

რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ნატო-ს ფუნდამენტურ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული სხვა მოთხოვნების შესრულება. საილუსტრაციოდ, ნატო-სთან საქართველოს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის პუნქტების სათაურებიც კმარა: "დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კორუფციასთან ბრძოლა"; ან კიდევ: "ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკის პრიორიტეტები." უკანასკნელში ვკითხულობთ: "გეგმაზომიერი ეკონომიკური განვითარების, ისევე როგორც ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მიმართულებით წინსვლის უზრუნველყოფა." ვაშინგტონის ხელშეკრულების მეორე მუხლიც მოგვიწოდებს "სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობების შექმნას."

კარგადაა ცნობილი აღნიშნულ სფეროებში საქართველოს რა პრობლემები აქვს. ნატო-ს დღევანდელ წევრ-სახელმწიფოებთან შედარებით საქართველო მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით თუ უმუშევრობის დონით აშკარა ლიდერია. პერსპექტიულ წევრობის კანდიდატთა შორის ამ მაჩვენებლებით, მხოლოდ ალბანეთს თუ გავუსწორდებით. ჩვენში იმედი აქვთ, რომ ალიანსის მესვეურები ამ და არა მარტო ამ ხელშემშლელ გარემოებებზე თვალს დახუჭავენ. ვისურვოთ, რომ ასე იქნება და ჩვენი სავალალო მდგომარეობის გამოსწორება ნატო-ში წევრობის პერსპექტივას დავუკავშიროთ.

***მხედველობაშია მისაღები ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკმაოდ რთული პროცედურაც.*** ნატო-ში გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა - ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო. ყველა მის წევრს აქვს თანასწორი უფლებები, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის გარეშე, კონსენსუსის - საერთო თანხმობის მიღწევის გზით. ეს გარემოება იმიტომაა გასათვალისწინებელი, რომ მიუხედავად სტრატეგიულ საკითხებში ურთიერთთანხმობისა, ნატო-ს დასავლეთევროპელ და ამერიკელ წევრ სახელმწიფოებს შორის არცთუ იშვიათია ტაქტიკურ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა. დასაშვებია, რომ გერმანიისა თუ საფრანგეთისათვის უფრო ანგარიშგასაწევი აღმოჩნდეს რუსეთთან კეთილგანწყობის შენარჩუნება, ვიდრე რომელიმე პრობლემატური პატარა ქვეყნის მიღება ალიანსში. სწორედ ამიტომ უსვამდა ხაზს თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა ევროპელებთან ქართული დიპლომატიის განსაკუთრებული ინტენსიურობით მუშაობის საჭიროებას.

საქართველოს ანდამატივით იზიდავს ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი: "მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, განხილული იქნება თავდასხმად ყველა მათგანზე. აქედან გამომდინარე, თუ ასეთ შეიარაღებულ თავდასხმას ექნება ადგილი, ყოველი მათგანი... დახმარებას გაუწევს მხარეს ან მხარეებს, რომელზედაც განხორციელდება თავდასხმა, დაუყოვნებლივ, ინდივიდუალურად და სხვა მხარეებთან შეთანხმებით, ისეთი ქმედებების განხორციელებით, რომლებიც აუცილებლად ჩაითვლება - მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებით, რათა მოხდეს უსაფრთხოების აღდგენა და შენარჩუნება ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში."

აღნიშნული მუხლის განუხრელი ერთგულება და შესრულება მთავარი თავდამცავი ფარი აღმოჩნდა დასავლეთ ევროპისათვის. იგივე ფუნქციას ასრულებს იგი აღმოსავლეთ ევროპელებისათვის. ასევე, საქართველოსათვის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრობა უპირველესად - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენობის გარანტია, ქართველი ხალხისათვის - დემოკრატიისა და კეთილდღეობის აშენების შესაძლებლობა, ქართველი საზოგადოებისათვის - კულტურული აღორძინება-განვითარებისა და ევროპულ სივრცეში დაბრუნების პერსპექტივაა.



დედა ციალა, მამა იური, ძმა ჯაბა, რძალი ანი, ძმის შვილი მარიამი, ბიძები, მამიდები, დეიდები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**ზურაბ იურის ძე ვაზაგაშვილი**

**პანაშვიდი 4 და 5 მაისს 16 საათზე.**
**მისამართი: ქ. თბილისი, ამბროლაურის ქ. 116, კორპ. 11, ბინა 24.**
**დაკრძალვა: 7 მაისს 14 საათზე.**
**კასპის რაიონი, სოფ. ყარაფილა.**

**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**

TV5MONDE

**4 მაისი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დეკორაციის მეორე მხარე. ნადირობა აფრიკაში. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.35** ჟულის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. დოკ.ფილმი. **12.15** ერტა'ალე - მთა, რომელიც ბოლავს. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** სასახლის ბაღი. სერიალი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** არტ-რეპორტაჟი. **20.30** მადმუაზელ ელსი. მხ ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2001. **23.00** მთელი სიჩქარით. მხ ფილმი. რეჟისორი გაელ მორელი. 1996. **04.40** არტ-რეპორტაჟი.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## "ბოინგი" მიმწოდებელ კომპანიას ყიდულობს



## "აქვამედი" სამხრეთ ესპანეთს წყურვილს მოუკლავს



## სუდანი ყველაზე წარუმატებელი სახელმწიფოა, საქართველო კი მესამოცე ადგილზეა

B3

## საუკეთესო კორპორაციული ქვეყნის ორიენტირები

B4

# საბანკო ბაზარზე "თიბისი ბანკი" ლიდერობს

### 17 ბანკი კი ლიკვიდაციის პროცესშია

ნინო ნატროშვილი

*საქართველოს საბანკო სისტემაში რეფორმების გატარებაზე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში აქტიურად საუბრობენ. ამის მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, ჩვენს ქვეყანაში საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და კარგად განვითარებული სფეროა.*

**ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის პირველ კვარტალშიც გრძელდება კომერციული ბანკების რეზერვების ზრდა. არასაბანკო ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა წლის განმავლობაში 11,1 პროცენტით გაიზარდა, რამაც ეროვნულ ვალუტაში არსებული სახსრების 17,3-პროცენტიანი ზრდა განაპირობა**

**ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საქართველოს კომერციული ბანკების აქტივ-პასივების სტრუქტურა**

2006 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით

(ლარებში)

| N | ბანკების დასახელება | აქტივები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანი აქტივები | მათ შორის | | | | | | | | |
| | | | ნაღდი ფულადი სახსრები | ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | წმინდა სესხები | მისაღები პროცენტები და დივიდენდები | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | სხვა წმინდა აქტივები |
| 1 | იბერია | 309790 | 34 | 0 | 0 | 0 | 224408 | 0 | 0 | 0 | 85348 |
| 2 | ივერთბანკი | 473768 | 5 | 1394 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 417739 | 54630 |
| 3 | სიგმაბანკი | 934 | 0 | 934 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 | ელდორადო | 312 | 312 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო - სავაჭრო ბანკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | ოლიმპი | 139564 | 85 | 202 | 0 | 0 | 39277 | 0 | 0 | 0 | 100000 |
| 7 | ტრანსკავკასია | 161575 | 60 | 0 | 0 | 0 | 585 | 0 | 0 | 160930 | 0 |
| 8 | თბილინტერბანკი | 2707093 | 32 | 8 | 0 | 0 | 2676881 | 0 | 30172 | 0 | 0 |
| 9 | შავი ზღვის აუქციონის ბანკი | 2429536 | 79 | 95614 | 0 | 0 | 365281 | 0 | 589170 | 592405 | 786987 |
| 10 | თბილკომბანკი | 10080780 | 626 | 8774 | 0 | 0 | 9914460 | 0 | 19714 | 0 | 137206 |
| 11 | თბილკრედიტ ბანკი | 4977935 | 13469 | 34755 | 0 | 0 | 4494238 | 1781 | 18670 | 85499 | 329523 |
| 12 | ლიბერტი | 617956 | 319 | 611558 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6079 | 0 |
| 13 | ქართული კაპიტალი | 3829955 | 77 | 709 | 0 | 0 | 31176 | 0 | 0 | 2615 | 3795378 |
| 14 | საქართველოს საზღვაო ბანკი | 30291384 | 27273 | 1497392 | 0 | 966221 | 20711904 | 2001092 | 320725 | 3053611 | 1713166 |
| 15 | გამაბანკი | 117472 | 332 | 81232 | 0 | 0 | 8570 | 2277 | 400 | 8341 | 16320 |
| 16 | საქართველოს საფოსტო ბანკი | 6696638 | 3530 | 162455 | 0 | 0 | 1502461 | 22006 | 238136 | 3193231 | 1574819 |
| 17 | ქართული ბანკი | 6665549 | 493 | 6497008 | 0 | 0 | 7843 | 0 | 0 | 125365 | 34840 |

B2

# 500 მეწარმე ბაზრიდან დაუსაბუთებლად განდევნის გამო ჩივის

### საქართველოში თავისუფალ კონკურენციაზე 12-კაციანი სააგენტო ზრუნავს

*რა მეთოდებით ხდება ბაზარზე ახალი მოთამაშის გამოჩენა და მათი დამკვიდრება, ძლიერი მოთამაშის განდევნა, ან კიდევ კომპანიის გადასვლა მონოპოლისტურ მდგომარეობაში, ხშირად უცნობი რჩება. საზოგადოება პოლიტიკოსებისგან იგებს იმ კომპანიების საქმიანობის შესახებ, რომლებშიც თანამდებობის პირების საკუთარი ინტერესები აქვთ. განვითარებულ ბაზრებზე მეწარმე სუბიექტების თანაბარუფლებიან საქმიანობას, ძირითადად, კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებული ე.წ კონკურენტული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობა აწესრიგებს. ეს საკითხი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია რადგან, მისი სათანადოდ გადაწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელი ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებას მიიღებს, ბაზარი კი - კეთილსინდისიერ და ძლიერ მოთამაშეს. გასული წლის ივნისში საქართველოში ამოქმედდა კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", რომლის ადმინისტრირებისთვისაც იგივე დასახელების სააგენტო შეიქმნა. დღემდე სააგენტოს, საკუთარი უფლებების შელახვის გამო, განცხადებით 500-მდე მეწარმემ მიმართა.*

- **ამერიკული მოდელი ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგია. იგი თავიდანვე კონტროლს აწესებს პროცესზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე.**
- **ევროპული მოდელი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ.**
- **ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, კონკურენტული კანონმდებლობის განვითარება მიმდინარეობს როგორც ამ ორი მოდელის დაახლოებისა და უნიფიცირების, ასევე მათ შორის განსხვავებათა წაშლის გზით.**

B2

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3774 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0095 |
| 1 არაბული დირჰამი | AED | 0,4942 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8150 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8443 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1698 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3069 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3157 |
| 1 ევრო | EUR | 2,2878 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4623 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3490 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3722 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1597 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3240 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1987 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2449 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4044 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6319 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,2353 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,5916 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3983 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2943 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5925 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6098 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0666 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1495 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4073 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5647 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4875 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6300 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8687 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2155 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1460 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4438 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2460 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4636 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0806 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2266 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2341 |




# ჯორჯ ბუში "ეკონომიურ" ავტომობილებს ითხოვს

ამერიკის შეერთებული სტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ავტომობილების ეკონომიურობის სტანდარტებს გაამკაცრებს. ადგილობრივი ნორმების შსაბამისად, დღევანდელი მონაცემებით, მსუბუქი ვტომობილები, 100 კილომეტრზე დაახლოებით 13,8 ლიტრ საწვავს მოიხმარენ. პრეზიდენტის ინიციატივის ძალაში შესვლის შემდეგ კი მოხმარებული საწვავის რაოდენობა 12,5 ლიტრამდე შემცირდება. ბუშის ეს მოთხოვნა ავტომწარმოებლებისთვის არცთუ ისე სახარბიელო იქნება. 2011 წლისთვის დიდმა ამერიკულმა ავტომობილებმა 100 კოლომეტრზე 15,7 ლიტრ საწვავზე მეტი არ უნდა მოიხმარონ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საწვავის გაძვირებამ ამერიკულ ავტომობილებზე მოთხოვნილების დაცემა გამოიწვია. იაპონელ ავტომწარმოებლებს კი ძალიან გაუმართლათ. მაგალითად, გასულ აპრილს, კომპანია GeneralMotors-მა წარმოება 7%-ით შეამცირა, კომპანია Ford-მა 3%-ით და Chrysler-მა კი 4%-ით. ამ ფონზე კი იაპონიური კომპანია Toyota-ს წარმოება შეერთებულ შტატებში დაახლოებით 9%-ით გაიზარდა.

ექსპერტები იაპონური ავტომობილების ასეთ პოპულარულობას, მათ კომპაქტუროობასა და ეკონომიურობას უკავშირებენ. მომხმარებლები საწვავის ეკონომიის თვალსაზრისით იაპონურ ჰიბრიდულ ავტომობილებს ამჯობინებენ.

GM Yukon, Chevrolet Tahoe და Cadilac Escalade კი ის ამერიკული ავტომობილებია, რომლებიც ბაზარზე დღესაც კი ინარჩუნებენ დიდ პოპულარობას. ანალიტიკოსების თქმით, საწვავის ღირებულების კიდევ გაზრდა, ამ კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე სერიოზულად იმოქმედებს.



# 500 მეწარმე ბაზრიდან დაუსაბუთებლად განდევნის გამო ჩივის

პირველი გვერდიდან

"24 საათთან" საუბარში კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოს უფროსი გიორგი წერეთელი ამბობს, რომ "მეწარმეთა საჩივრები, ძირითადად, საბაზრო ქსელში დაუსაბუთებლად მათი დაუშვებლობის ფაქტებს შეეხება. სააგენტო სისტემატურად ახორციელებს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს მიკუთვნებულ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალიზს და შედეგებს სათანადო ორგანოებს აწვდის. რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს მიეკუთვნება შიდა საქალაქო ტრანსპორტი და წყალკანალები, და ის სფეროები, სადაც არსებობს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები. ამ ბოლო პერიოდში გაანალიზდა სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რომლის შედეგები სააგენტომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიაწოდა. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს ადგილობრივი მმართველობის ორგაონების მხრიდან შემოსული დადგენილებების ექსპერტიზა შიდა ტრანსპორტის დოტაციის საკითხებთან დაკავშირებით."

სააგენტო 12-კაციანი აპარატით მუშაობს და მას რეგიონული რგოლები არ აქვს. ამ ეტაპზე მთავრობაში მიიჩნევენ, რომ რეგიონული რგოლები არც არის საჭირო. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისთვის ბარიერების მოხსნა წარმოადგენს (მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და, საკუთრების ფორმის მიუხედავად). გარდა ამისა, სააგენტო ვალდებულია, გამოავლინოს და აღკვეთოს ალმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან მიღებული ნებისმიერი, კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილება. ასეთებია ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიმართ დაწესებული ნებისმიერი საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები; ასევე ნებისმიერი ფორმით სამეწარმეო საქმიანობის შეფერხება ან წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების რგოლების შექმნა; კონკრეტული ეკონომიკური აგენტისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მიმნიჭებელი გადაწყვეტილების მიღება, და ა. შ.

სიახლეს წარმოადგენს ის, რომ სააგენტოს კომპეტენციად, "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონის თანახმად, განისაზღვრა სახელმწიფო დახმარებებისა და ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივი პროგრამების გაცემის პროცედურის შეთანხმება. ამისთვის აუცილებელია, გამოიცეს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, როგორც სახელმწიფო დახმარებების, ასევე ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივი პროგრამების შეთანხმების ზოგად წესთან დაკავშირებით. დღეისათვის სააგენტოს მიერ მომზადებულია მსგავსი ნორმატიული აქტის პროექტები, რომლებიც "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით გადის შეთანხმების პროცედურას ალმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ინსტიტუტებში.

აბსულუტურად განსხვავებული მდგომარეობაა განვითარებული ქვეყნებში. ჩვეულებრივ, განასხვავებენ კონკურენტული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს. ამერიკული მოდელი ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგია. იგი თავიდანვე კონტროლს აწესებს პროცესზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად, ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია, ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში.

ევროპული მოდელი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ. ამ მოდელში ნორმებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ცალკე კანონი არეგულირებს. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

ცალკეულ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის მოდელი, კონკურენტული კანონმდებლობის განვითარება მიმდინარეობს როგორც ამ ორი მოდელის დაახლოებისა და უნიფიცირების, ასევე მათ შორის განსხვავებათა წაშლის გზით. საფრანგეთში კონკურენტული კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხს აგებს ეკონომიკის სამინისტროს გენერალური დირექცია, რომელიც ასევე ზედამხედველობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას, გაყიდვის მეთოდებს, რეკლამის რეგულირებასა და შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებას. ამ დირექციის პერსონალი 4000 კაცს აღემატება, გააჩნია 22 რეგიონული ოფისი და 101 დირექცია ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების შესაბამისად; აქვს 8 ლაბორატორია და თითოეული მათგანი ატარებს ექსპერტიზას.

დიდ ბრიტანეთში კონკურენტული კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალიტეტები). კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისი კი პასუხისმგებელია სამომხმარებლო პოლიტიკის შემუშავებასა და მის ხელშეწყობაზე. ამასთან, იგი არ ახორციელებს კონტროლის ფუნქციას. ქვეყანაში არსებობს ვაჭრობისა და სტანდარტების მაკონტროლებელი 126 ორგანო, სადაც მუშაობს 1500-მდე სპეციალისტი.

ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დგება კონკურენტული წესების, კონკურენტული პოლიტიკის ერთიანი ნორმებისა და მიდგომების შექმნის აუცილებლობის საკითხი. კონკურენციის კანონის გატარების ეფექტურობა დამოკიდებულია სპეციალურად ამ მიზნებისათვის შექმნილ კონკურენციის სააგენტოებზე. აღნიშნული სააგენტოები არეგულირენ კონკურენციის ხარისხს, ბაზრების ზომებს, საბაზრო კონცენტრაციის დონეს, ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის პირობებს, პოტენციური მიმწოდებლის დანახარჯებსა და ეფექტურობას. ამიტომ, კონკურენციის სააგენტოები ხშირად მოქმედებენ როგორც "კონკურენციის ადვოკატები". ამ უკანასკნელთა საქმიანობა ასევე მოიცავს საზოგადოებისადმი ექსპერტული დასკვნებისა და კომენტარების მიწოდებას ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებებზე.

პარლამენტის ანალიტიკური ცენტრის ექსპერტების განმარტებით, კონკურენციის სააგენტოების საქმიანობის ძირითად ფუნქციას ტარიფების დამტკიცება და ლიცენზიების გაცემა წარმოადგენს, მიზანი მწარმოებელთა, ინვესტორთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მონოპოლიურ მომსახურებასა და საქონელზე ეფექტური ფასწარმოქმნის უზრუნველყოფაა. ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ კონკურენტული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების ორგანოები შეიძლება შეიქმნას როგორც: 1. **სპეციალური ვიწრო დარგობრივი ორგანო**. თითოეულ კონკრეტულ დარგში, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგეტიკა, წყალი, საგზაო მეურნეობა და ა.შ. იქმნება ცალკე მარეგულირებელი ორგანო. ამის მაგალითს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და არგენტინა. 2. **დარგობრივი ორგანო** - ინფრასტრუქტურის სფეროს თითოეულ მსხვილ დარგს. მაგალითად, ენერგეტიკას და ტრანსპორტს, თავისი მარეგულირებელი ორგანო ჰყავს. ენერგეტიკის სფეროში ასეთი მაგალითი გვხვდება აშშ-ში, კოლუმბიაში, უნგრეთსა და მექსიკაში. ტრანსპორტის შემთხვევაში ასეთი მოდელი ჩამოყალიბებულია კანადაში. 3. **დარგთაშორისი ორგანო**. ინფრასტრუქტურის სფეროს ყველა ან ეკონომიკის რამდენიმე ძირითად დარგს ერთი დარგთაშორისი ორგანო არეგულირებს. ამის მაგალითია აშშ-ს ცალკეული შტატების, კანადის, ავსტრალიის კონკურენტული სააგენტოები. ასეთი სისტემა ვითარდება ბრაზილიაში, მუშაობს კოსტა-რიკასა და იამაიკაში. ამავე გზას ადგანან პარაგვაი და ელ სალვადორი.

# საბანკო ბაზარზე "თიბისი ბანკი" ლიდერობს

**საქართველოს კომერციული ბანკების აქტივ-პასივების სტრუქტურა**

2006 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით

(ლარებში)

| N | ბანკების დასახელება | მთლიანი აქტივები | აქტივები, მათ შორის: ნაღდი ფულადი სახსრები | ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | წმინდა სესხები | მისაღები პროცენტები და დივიდენდები | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | სხვა წმინდა აქტივები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | 13180396 | 810930 | 5099828 | 0 | 742851 | 4808512 | 18610 | 63498 | 1496143 | 140024 |
| 2 | ეკბ „კავკასიის განვითარების ბანკის" თბილისის ფილიალი | 8905761 | 55216 | 5565276 | 0 | 0 | 2851418 | 16514 | 0 | 405197 | 12140 |
| 3 | სს „ბანკი ქართუ" | 245107978 | 9719215 | 31580939 | 0 | 0 | 182252003 | 1398731 | 1319336 | 17776408 | 1061346 |
| 4 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 95217333 | 17110485 | 18438938 | 0 | 1051285 | 29391356 | 1498032 | 1928200 | 12097806 | 13701231 |
| 5 | სსკბ „საქართველოს ბანკი" | 606016414 | 37171323 | 88839678 | 0 | 5038755 | 360565386 | 3704432 | 9868834 | 38112033 | 62715973 |
| 6 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 409674877 | 13017590 | 47215674 | 0 | 1584628 | 308860925 | 12698710 | 305496 | 22527512 | 3464342 |
| 7 | სს „პირველი კომერციული ბანკი" | 17460659 | 807157 | 585240 | 0 | 0 | 13541231 | 321503 | 42502 | 1842885 | 320141 |
| 8 | სს „შუგრეფიმპექსბანკი" | 10259780 | 162222 | 192673 | 0 | 0 | 5713287 | 461880 | 0 | 2517254 | 1212464 |
| 9 | სს „ინვესტბანკი" | 20710859 | 1585256 | 5368515 | 0 | 0 | 12669673 | 184028 | 0 | 796482 | 106905 |
| 10 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 235463200 | 26700313 | 39066630 | 0 | 990819 | 137862617 | 3046154 | 4488656 | 19580326 | 3727685 |
| 11 | სსკბ „თბილბიზნესბანკი" | 10147944 | 875394 | 1276310 | 0 | 0 | 5203694 | 317574 | 40200 | 2142162 | 292610 |
| 12 | სს „ბანკი თეთრი" | 9334628 | 283977 | 1778360 | 0 | 0 | 6283416 | 45825 | 0 | 905356 | 37694 |
| 13 | სს „თიბისი ბანკი" | 701160454 | 30199558 | 152310497 | 0 | 3328881 | 434162684 | 4526937 | 3045762 | 37103848 | 36482287 |
| 14 | თურქეთის სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ემლაქის ფილიალი | 10897570 | 905637 | 7340763 | 0 | 2400235 | 0 | 0 | 0 | 240850 | 10085 |
| 15 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 34110457 | 3087912 | 5059843 | 0 | 0 | 20845406 | 341577 | 300288 | 1481392 | 2994040 |
| 16 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 361703518 | 17920990 | 51835141 | 0 | 0 | 267436150 | 2535026 | 126011 | 15084655 | 6765545 |
| 17 | სს „ინტელექტბანკი" | 14601373 | 2534583 | 4310864 | 0 | 0 | 3179934 | 375359 | 1271170 | 1693752 | 1235711 |
| 18 | სს „სტანდარტ ბანკი" | 37645718 | 1014200 | 8245209 | 0 | 0 | 26288709 | 318493 | 2538 | 1113543 | 663026 |
| 19 | სსკბ „ბაზისბანკი" | 49872570 | 6799535 | 5462148 | 0 | 0 | 33125049 | 142959 | 55407 | 4045358 | 242114 |
| | სულ | 2891471489 | 170761493 | 479572526 | 0 | 15137454 | 1855041450 | 31952344 | 22857898 | 180962962 | 135185362 |

**საქართველოს კომერციული ბანკების აქტივ-პასივების სტრუქტურა**

2006 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით

(ლარებში)

| N | ბანკების დასახელება | პასივები: მთლიანი ვალდებულებები | მათ შორის: ბანკების დეპოზიტები | არასაბანკო დეპოზიტები | გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | ნასესხები სახსრები | სხვა ვალდებულებები | სააქციო კაპიტალი | მათ შორის: განაღდებული საწესდებო კაპიტალი | კაპიტალური რეზერვები | გაუნაწილებელი მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | 3632467 | 0 | 1729645 | 5547 | 1827000 | 70275 | 9547929 | 10108700 | 79677 | -640448 |
| 2 | ეკბ „კავკასიის განვითარების ბანკის" თბილისის ფილიალი | 935526 | 555218 | 375802 | 0 | 0 | 4506 | 7970235 | 0 | 7923716 | 46519 |
| 3 | სს „ბანკი ქართუ" | 161184492 | 311752 | 66730675 | 403137 | 92263500 | 1475428 | 83923486 | 54716000 | 3715782 | 25491704 |
| 4 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 81758572 | 2270776 | 64011921 | 208039 | 8221500 | 7046336 | 13458761 | 10000000 | 822134 | 2636627 |
| 5 | სსკბ „საქართველოს ბანკი" | 506837690 | 3049390 | 320684285 | 4871112 | 129153357 | 49079546 | 99178724 | 15464558 | 43513925 | 40200241 |
| 6 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 368943789 | 157322063 | 138485595 | 9332142 | 54960004 | 8843985 | 40731088 | 35163895 | 364844 | 5202349 |
| 7 | სს „პირველი კომერციული ბანკი" | 3009963 | 15 | 2516950 | 17195 | 150000 | 325803 | 14450696 | 11992071 | 399384 | 2059241 |
| 8 | სს „შუგრეფიმპექსბანკი" | 1378292 | 0 | 1359354 | 3519 | 0 | 15419 | 8881488 | 7941480 | 250685 | 689323 |
| 9 | სს „ინვესტბანკი" | 12885416 | 913723 | 7254530 | 10271 | 0 | 4706892 | 7825443 | 7920000 | 91275 | -185832 |
| 10 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 200235348 | 3736673 | 179350815 | 2395182 | 10870650 | 3882028 | 35227852 | 7000000 | 4748829 | 23479023 |
| 11 | სსკბ „თბილბიზნესბანკი" | 2377206 | 230 | 2253350 | 33113 | 0 | 90513 | 7770738 | 7361850 | 102019 | 306869 |
| 12 | სს „ბანკი თეთრი" | 1040096 | 0 | 962650 | 1837 | 0 | 75609 | 8294532 | 5950000 | 406293 | 1938239 |
| 13 | სს „თიბისი ბანკი" | 603391172 | 6497590 | 441035107 | 7045951 | 116839766 | 31972758 | 97769282 | 5384700 | 14718413 | 77666169 |
| 14 | თურქეთის სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ემლაქის ფილიალი | 2865474 | 1568 | 2601004 | 0 | 0 | 262902 | 8032096 | 0 | 7280247 | 751849 |
| 15 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 27858605 | 369198 | 13702020 | 46964 | 13337100 | 403323 | 6251853 | 6914400 | 575338 | -1237885 |
| 16 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 316233521 | 17906148 | 157977083 | 3987696 | 125185609 | 11176985 | 45469997 | 35328990 | 1896009 | 8244998 |
| 17 | სს „ინტელექტბანკი" | 34811284 | 137426 | 6735304 | 197360 | 708276 | 27032918 | -2020991 | 5000000 | 1263018 | -26472929 |
| 18 | სს „სტანდარტ ბანკი" | 29881690 | 3039450 | 12620216 | 132995 | 13917210 | 171819 | 7764028 | 6900000 | 0 | 864028 |
| 19 | სსკბ „ბაზისბანკი" | 38636286 | 797201 | 35645371 | 256613 | 1365400 | 571701 | 11236284 | 5025000 | 3996146 | 2215138 |
| | სულ | 2397896889 | 196908421 | 1456031677 | 28948673 | 568799372 | 147208746 | 493574600 | 238171644 | 92147734 | 163255223 |

**წმინდა აქტივების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | წმინდა აქტივები (ათას ლარებში) | სააქციო კაპიტალი (ათას ლარებში) | სესხები/წმინდა აქტივებთან (%) | ფასიანი ქაღალდები/წმინდა აქტივებთან (%) | მოსახლეობის ანაბრები/მთლიან ვალდებულებებთან (%) | სამთავრობო სექტორის დეპოზიტები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | საბალანსო მიმდინარე მოგება (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 701160 | 97769 | 61.9 | 0.5 | 33.9 | 0.1 | 4439 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 606016 | 99179 | 59.5 | 0.8 | 24.6 | 0.9 | 4685 |
| 3 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 409675 | 40731 | 75.4 | 0.4 | 16.9 | 1.2 | 1867 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 361704 | 45470 | 73.9 | 0.0 | 31.4 | 0.0 | 1104 |
| 5 | სს „ბანკი ქართუ" | 245108 | 83923 | 74.4 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 3632 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 235463 | 35228 | 58.6 | 0.4 | 29.6 | 4.5 | 2720 |
| 7 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 95217 | 13459 | 30.9 | 1.1 | 5.9 | 18.7 | 73 |
| 8 | სსკბ „ბაზისბანკი" | 49873 | 11236 | 66.4 | 0.0 | 19.7 | 10.3 | 288 |
| 9 | სს „სტანდარტ ბანკი" | 37646 | 7764 | 69.8 | 0.0 | 8.3 | 0.1 | 426 |
| 10 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 34110 | 6252 | 61.1 | 0.00 | 8.4 | 0.0 | 233 |
| | სულ საბანკო სექტორი | 2891471 | 493575 | 64.2 | 0.5 | 24.4 | 1.6 | 21959 |

**მოგების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | წმინდა მიმდინარე მოგება (ათას ლარებში) | გაუნაწილებელი მოგება (ათას ლარებში) | წმინდა მიმდინარე მოგება/წმინდა აქტივებთან (%) | წმინდა მიმდინარე მოგება/წმინდა სესხებთან (%) | წმინდა მიმდინარე მოგება/სააქციო კაპიტალთან (%) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „საქართველოს ბანკი" | 4053 | 40200 | 0.7 | 1.1 | 4.1 |
| 2 | სს „თიბისი ბანკი" | 3238 | 77666 | 0.5 | 0.8 | 3.3 |
| 3 | სს „ბანკი ქართუ" | 3023 | 25492 | 1.2 | 1.7 | 3.6 |
| 4 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 2176 | 23479 | 0.9 | 1.6 | 6.2 |
| 5 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 1867 | 5202 | 0.5 | 0.6 | 4.6 |
| 6 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | 908 | -640 | 6.9 | 18.9 | 9.5 |
| 7 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 883 | 8245 | 0.2 | 0.3 | 1.9 |
| 8 | სს „პირველი კომერციული ბანკი" | 641 | 2059 | 3.7 | 4.7 | 4.4 |
| 9 | სს „შუგრეფიმპექსბანკი" | 567 | 689 | 5.5 | 9.9 | 6.4 |
| 10 | სს „სტანდარტ ბანკი" | 406 | 864 | 1.1 | 1.5 | 5.2 |
| | სულ საბანკო სექტორი | 18617 | 163255 | 0.6 | 1.0 | 3.8 |

**კლიენტების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | არასაბანკო დეპოზიტები სულ (ათას ლარებში) | ნაშთები მიმდინარე ანგარიშებზე (ათას ლარებში) | მიმდინარე ანგარიშები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | მოსახლეობის ანაბრები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები/ მიმდინარე ანგარიშებთან (%) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 441035 | 185007 | 0.3 | 33.9 | 32.1 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 320684 | 166071 | 0.3 | 24.6 | 4.6 |
| 3 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 179351 | 82943 | 0.4 | 29.6 | 28.7 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 157977 | 50066 | 0.2 | 31.4 | 51.7 |
| 5 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 138486 | 69684 | 0.2 | 16.9 | 33.8 |
| 6 | სს „ბანკი ქართუ" | 66731 | 58227 | 0.4 | 5.1 | 31.2 |
| 7 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 64012 | 43091 | 0.5 | 5.9 | 35.2 |
| 8 | სსკბ „ბაზისბანკი" | 35645 | 22310 | 0.6 | 19.7 | 9.2 |
| 9 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 13702 | 11351 | 0.4 | 8.4 | 13.7 |
| 10 | სს „სტანდარტ ბანკი" | 12620 | 7439 | 0.3 | 8.3 | 85.0 |
| | სულ საბანკო სექტორი | 1456032 | 711458 | 0.3 | 24.4 | 29.4 |

**მოსახლეობის ანაბრების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | მოსახლეობის ანაბრები სულ (ათას ლარებში) | ანაბრები უცხოურ ვალუტაში (%) | ანაბრები/ მთლიან ვალდებულებებთან (%) | სავალდებულო რეზერვები სებ-ში/ ანაბრებთან (%) | ხვედრითი წილი საბანკო სექტორის ანაბრების მთლიან მოცულობაში (%) | ხვედრითი წილი უცხოურ ვალუტაში ანაბრების მთლიან მოცულობაში (%) | ხვედრითი წილი ეროვნულ ვალუტაში ანაბრების მთლიან მოცულობაში (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 204585 | 97.5 | 33.9 | 21.6 | 35.0 | 35.8 | 19.0 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 124706 | 95.7 | 24.6 | 26.8 | 21.4 | 21.4 | 20.2 |
| 3 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 99338 | 90.8 | 31.4 | 18.2 | 17.0 | 16.2 | 34.3 |
| 4 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 62153 | 92.6 | 16.9 | 22.9 | 10.6 | 10.3 | 17.2 |
| 5 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 59299 | 97.0 | 29.6 | 22.3 | 10.2 | 10.3 | 6.8 |
| 6 | სს „ბანკი ქართუ" | 8278 | 99.5 | 5.1 | 68.9 | 1.4 | 1.5 | 0.2 |
| 7 | სს კბ „ბაზისბანკი" | 7605 | 96.7 | 19.7 | 42.0 | 1.3 | 1.3 | 1.0 |
| 8 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 4846 | 94.5 | 5.9 | 31.3 | 0.8 | 0.8 | 1.0 |
| 9 | სს „ინტელექტბანკი" | 4310 | 98.7 | 12.4 | 20.0 | 0.7 | 0.8 | 0.2 |
| 10 | სს „სტანდარტ ბანკი" | 2490 | 99.5 | 8.3 | 72.6 | 0.4 | 0.4 | 0.1 |
| | სულ საბანკო სექტორი | 584133 | 95.5 | 24.4 | 23.9 | 100.0 | 100.0 | 100.0 |

**გაცემული კრედიტების მოცულობის მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | კრედიტების მოცულობა სულ (ათას ლარებში) | კრედიტების მოცულობა/ წმინდა აქტივებთან (%) | სესხები კერძო სექტორისათვის /წმინდა აქტივებთან (%) | ბანკთაშორისი სესხები/წმინდა აქტივებთან (%) | სესხები სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის/ წმინდა აქტივებთან (%) | სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები/კრედიტების მოცულობასთან (%) | სასესხო კაპიტალის თვითღირებულება (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 448922 | 64.0 | 63.3 | 0.7 | 0.0 | 3.3 | 3.0 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 395315 | 65.2 | 63.6 | 1.6 | 0.0 | 8.8 | 4.5 |
| 3 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 320264 | 78.2 | 77.0 | 1.2 | 0.0 | 3.6 | 3.6 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 276983 | 76.6 | 75.2 | 1.4 | 0.0 | 3.5 | 4.3 |
| 5 | სს „ბანკი ქართუ" | 186599 | 76.1 | 76.1 | 0.0 | 0.0 | 2.3 | 2.8 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 145813 | 61.9 | 61.9 | 0.0 | 0.03 | 5.5 | 3.4 |
| 7 | სსკბ „ბაზისბანკი" | 34543 | 69.3 | 69.3 | 0.0 | 0.0 | 4.1 | 4.8 |
| 8 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 31517 | 33.1 | 31.0 | 2.1 | 0.0 | 6.7 | 10.1 |
| 9 | სს „სტანდარტ ბანკი" | 26874 | 71.4 | 71.1 | 0.3 | 0.0 | 2.2 | 3.1 |
| 10 | სს „ბტა სილქ როუდ ბანკი" | 21514 | 63.1 | 61.5 | 1.6 | 0.0 | 3.1 | 8.1 |
| | სულ საბანკო სექტორი | 1948496 | 67.4 | 66.3 | 1.1 | 0.00 | 4.8 | 3.9 |

**ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების მიხედვით**

| | ბანკების დასახელება | დაბანდება ფასიან ქაღალდებში სულ (ათას ლარებში) | დაბანდება ფასიან ქაღალდებში/ წმინდა აქტივებთან (%) | ფასიანი ქაღალდები, შეძენილი ინვესტირებისათვის/მთლიან ფასიან ქაღალდებთან (%) | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის/მთლიან ფასიან ქაღალდებთან (%) | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან საპროცენტო შემოსავლებში (%) | სადილინგო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება-ზარალის ხვედრითი წილი მთლიან არასაპროცენტო შემოსავლებში (%) | ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები/ მთლიან ხარჯებთან (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს კბ „საქართველოს ბანკი" | 5039 | 0.8 | 100.0 | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.1 |
| 2 | სს „თიბისი ბანკი" | 3329 | 0.5 | 100.0 | 0.0 | 1.6 | 0.0 | 1.6 |
| 3 | თურქეთის სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ფილიალი | 2400 | 22.0 | 100.0 | 0.0 | 72.2 | 0.0 | 57.2 |
| 4 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 1585 | 0.4 | 100.0 | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.1 |
| 5 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 1051 | 1.1 | 100.0 | 0.0 | 4.8 | 0.0 | 0.6 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 991 | 0.4 | 100.0 | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.6 |
| 7 | სს „კასკად ბანკი - საქართველო" | 743 | 5.6 | 100.0 | 0.0 | 0.3 | 6.4 | -6.3 |
| | სულ საბანკო სექტორი | 15137 | 0.5 | 100.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.8 |

პირველი გვერდიდან

დღეს საქართველოს საბანკო სექტორი ცხრამეტი ბანკითაა წარმოდგენილი. ამ ფონზე საბანკო ბაზარზე უკვე მყარად ჩამოყალიბდა რამდენიმე სერიოზული ჯგუფი. მსხვილი ბანკების ჯგუფი 10 ბანკის შემადგენლობით, სადაც თითოეული ბანკის წილად საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 5 პროცენტზე მეტი მოდის. ეს ჯგუფი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 87 პროცენტს ფლობს. საშუალო ბანკების ჯგუფს სამი ბანკი წარმოადგენს, რომელთაგან თითოეული - საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 1 პროცენტიდან 5 პროცენტამდე აქტივების მფლობელია. წვრილი ბანკების ჯგუფი შედგება 6 ბანკისაგან და თითოეული მათგანის აქტივები 1 პროცენტზე ნაკლებს მოიცავს (რაც მთლიანი საბანკო აქტივების 6 პროცენტამდეა).

საბანკო სექტორში წმინდა აქტივების მიხედვით, მსხვილი ბანკების ათეულში სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ბანკის წმინდა აქტივებმა 701 160 ათასი ლარი შეადგინა. წმინდა აქტივების მიხედვით, მეორე და მესამე ადგილს სს "საქართველოს ბანკი" და სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" ინაწილებენ. მათი წმინდა აქტივების მოცულობამ, შესაბამისად, 606 016 ათასი ლარი და 409 675 ათასი ლარი შეადგინა.

2006 წლის დასაწყისიდან კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებით) 343.2 მილიონი ლარით, ანუ 13,5 პროცენტით გაიზარდა და 2 მილიარდ 891.5 მილიონი ლარი შეადგინა. სავალუტო აქტივების წილი ბანკების მთლიან წმინდა აქტივებში წლის დასაწყისთან შედარებით (66,2 პროცენტი) არ შეცვლილა. სავალუტო პასივების წილი მთლიან პასივებში 71.2 პროცენტიდან 67.3 პროცენტამდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში საბანკო ვალდებულებების წილი მთლიან ვალდებულებებში 81.6 პროცენტიდან 79,9 პროცენტამდე შემცირდა.

მოგების მიხედვით, საბანკო სექტორში სს "საქართველოს ბანკი" ლიდერობს. მიმდინარე წლის აპრილში ბანკის წმინდა მიმდინარე მოგებამ 4053 ათასი ლარი, ხოლო განაწილებულმა მოგებამ 40200 ათასი ლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა სს "თიბისი ბანკი" 3238 ათასლარიანი მიმდინარე და 77666 ათასლარიანი გაუნაწილებელი მოგებით. მესამე ადგილზეა სს "ბანკი ქართუ", რომლის მიმდინარე მოგებამ 3023 ათასი ლარი და გაუნაწილებელმა მოგებამ 25492 ათასი ლარი შეადგინა.

ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის პირველი კვარტალი საბანკო სექტორმა მოგებით დაასრულა. ეროვნულ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებზე ზარალმა 10,4 მილიონი ლარი შეადგინა, მაგრამ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგება 29 მილიონ ლარს უდრიდა. აქედან გამომდინარე, საბანკო სექტორის მთლიანმა წმინდა მოგებამ 18,6 მილიონი ლარი შეადგინა.

კლიენტების ანგარიშების ნაშთების მიხედვით, სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. 2006 წლის მდგომარეობით, არასაბანკო დეპოზიტებმა 441 035 ათასი ლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშებზე ნაშთებმა კი - 185 007 ათასი ლარი. მოსახლეობის ანაბრების შეფარდება მთლიან ვალდებულებებთან 33,9 პროცენტია, ხოლო საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები მიმდინარე ანგარიშებთან - 32,1 პროცენტი. ამ პარამეტრებით მეორე ადგილზეა სს "საქართველოს ბანკი", ხოლო მესამე პოზიციაზე - სს "ბანკი რესპუბლიკა".

ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის პირველ კვარტალშიც გრძელდება კომერციული ბანკების რეზერვების ზრდა. არასაბანკო ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა წლის განმავლობაში 11,1 პროცენტით გაიზარდა, რამაც ეროვნულ ვალუტაში არსებული სახსრების 17,3-პროცენტიანი ზრდა განაპირობა. ამავე დროს, უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების მაჩვენებელმა განიცადა ზრდა, რომელმაც ნომინალური მონაცემით 6,4 პროცენტი შეადგინა (8,5 პროცენტი ლარის ეკვივალენტში) მაშინ, როდესაც წლის დასაწყისიდან ლარის გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ 0,38 პროცენტის ტოლი იყო.

მოსახლეობის ანაბრების მიხედვით, საბანკო სექტორში სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. 2006 წლის აპრილის მდგომარეობით, მოსახლეობის ანაბრებმა ეროვნულ ვალუტაში 204 585 ათასი ლარი შეადგინა. ბანკში განთავსებული ანაბრების 97,5 პროცენტი უცხოურ ვალუტაზე მოდის. ანაბრების მიხედვით, მეორე ადგილზეა სს "საქართველოს ბანკი", მესამეზე კი - სს "პროკრედიტ ბანკი". ამ ბანკებშიც 95 პროცენტს უცხოურ ვალუტაში განთავსებული ანაბრები შეადგენს.

საგულისხმოა, რომ მთლიან საბანკო სექტორში ფიზიკური პირების დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 13,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6,8 პროცენტით.

გაცემული კრედიტების მოცულობის მიხედვითაც სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. მეორე ადგილზეა სს "საქართველოს ბანკი", მესამე და მეოთხე ადგილებს კი სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" და სს "პროკრედიტ ბანკი" ინაწილებენ.

2006 წლის პირველ კვარტალში, გაცემული კრედიტების მოცულობის მიხედვით, ხვედრითი წილი საბანკო აქტივებში 64,2 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი 64,7 პროცენტი იყო. წმინდა სესხების ზრდამ 12,5 პროცენტი შეადგინა. შესაძლო დანაკარგების რეზერვი 14,3 პროცენტით გაიზარდა, ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება კი - 11,9 პროცენტით, და 1917.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო აღნიშნული კრედიტების ხვედრითი წილი მთლიან საბანკო აქტივებში 66,3 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობამ მთლიანი სესხების 74,4 პროცენტი შეადგინა. ბანკთაშორისი კრედიტების წილი (მთლიან საბანკო აქტივებში) 3 თვის განმავლობაში 0,7 პროცენტიდან 1,1 პროცენტამდე გაიზარდა.

ფასიან ქაღალდებში ინვესტირების მიხედვით, სს "საქართველოს ბანკი" ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილებს კი სს "თიბისი ბანკი" და თურქეთის სს "ზირიათ ბანკის" თბილისის ფილიალები ინაწილებენ. საგულისხმოა, რომ კომერციულ ბანკებს ნაკლებად იზიდავდა ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციები. ამიტომ ამ კატეგორიის აქტივების მთლიანი მოცულობა ბანკების მთლიან აქტივებში არის ძალიან დაბალი. თუმცა, თუ ბოლო დროს განვითარებულ ტენდენციას დავაკვირდებით, ბანკების მოთხოვნა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიმართ სტაბილურად იზრდებოდა. ეს ტენდენცია შეჩერდა 2005 წელს, იმის გამო, რომ ფინანსთა სამინისტრომ ფასიანი ქაღალდების გამოშვება შეწყვიტა.

ამ ეტაპზე ლიკვიდაციის პროცესშია 17 ბანკი: "იბერია", "ივერთბანკი", "სიგმაბანკი", "ელდორადო", "საინვესტიციო სავაჭრო ბანკი", "ოლიმპი", "ტრანსკავკასია", "თბილინტერბანკი", "შავი ზღვის აუქციონის ბანკი", "თბილკომბანკი", "თბილკრედიტბანკი", "ლიბერტი", "ქართული კაპიტალი", "საქართველოს საზღვაო ბანკი", "გამაბანკი", "ქართული ბანკი". აღნიშნული ბანკების ლიკვიდაცია სალიცენზიო პირობების დარღვევამ განაპირობა.

# საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ხელშეკრულება გაფორმდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე დღეს ბრიუსელში საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის "საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ" ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. ამ შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის "საჰაერო მიმოსვლის შესახებ" შეთანხმებები შესაბამისობაში მოვა ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან. კერძოდ, ევროგაერთიანების წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში, მეორე წევრი ქვეყნის მიერ დაფუძნებული საჰაერო გადამზიდველი უკვე შეუზღუდავად დაიშვება საქართველოს ავიასივრცეში და მათი ლიცენზირება ევროგაერთიანების კანონების მიხედვით მოხდება. "ეს გადაწყვეტილება საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს საავიაციო სფეროს განვითარებისა და ფრენების სიხშირის გაზრდისთვის," - აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული შეთანხმება არ იმოქმედებს საქართველოს საჰაერო გადამზიდველების მიმოსვლის ბალანსზე და უფლებებზე - ის წარმოადგენს "საჰაერო მიმოსვლის შესახებ" ორმხრივი ხელშეკრულებების დამატებას და მათში არსებული სხვა დებულებები შესწორებებსა და ცვლილებებს არ საჭიროებს.

ევროგაერთიანების მხრიდან შეთანხმებას ხელს მოაწერს ევროკომისარი ტრანსპორტის დარგში ჟაკ ბარო. "ქართული ბრენდების ლისტინგის "BrandGe" პრეზენტაცია 1 ივნისს გაიმართება საერთაშორისო პროექტის "ქართული ბრენდების ლისტინგის "BrandGe" პრეზენტაცია 1 ივნისს თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება. ახალი პროექტის შესახებ, 16 მაისს ონ-ლაინ კონფერენცია დაიწყება. პროექტს ახორციელებს ბაზრის შეფასებისა და ანალიზის ქართული სააგენტო და V-RATIO ბიზნეს-კონსალტინგი. პროექტის მიზანია ბრენდების ღირებულების დადგენა, ასევე მათი მართვის პრაქტიკის სრულყოფა. ბრენდის ღირებულების განსაზღვრისთვის, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და მომხმარებლის გამოკითხვის შედეგები გამოიყენება. შეფასება, პირველად მსოფლიოში, ღია მეთოდით განხორციელდება, რაც იმას გულისხმობს, რომ მონაწილეს ყველა გათვლის დამოუკიდებლად გადამოწმების შესაძლებლობა ექნება.

როგორც პროექტის ორგანიზატორები მიიჩნევენ, მისი შედეგი ხელს შეუწყობს ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლებას. კერძოდ, კომპანიების მფლობელებიცა და პოტენციური ინვესტორებიც უკეთ გაერკვევიან მოსალოდნელ ეკონომიკურ მოგებასა და ბრენდის რეალურ ღირებულებაში.

ბრენდის ლისტინგში, ანუ ნუსხაში შეყვანა მომხმარებლის საერთო დამოკიდებულების ინდიკატორი იქნება, ასევე კომპანიის საბაზრო ღირებულების გაზრდის, ლიკვიდურობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების წინაპირობას შექმნის. ეს საერთაშორისო პროექტი მოიცავს რუსეთს, უკრაინას, ყაზახეთს, ასევე ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ამ ეტაპზე პროექტის პოლონეთში, ჩინეთსა და ესპანეთში გავრცელებაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს.

## ბოლივია ინვესტორების დამშვიდებას შეეცდება

დღეს ბოლივიის მთავრობა ქვეყნის ენერგეტიკის ნაციონალიზაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არგენტინასთან, ბრაზილიასთან და ვენესუელასთან მოლაპარაკებებს გამართავს, რომლის მიზანი უცხოელ ინვესტორებთან საერთო ენის გამონახვა იქნება. თუმცა, კონსენსუსის მიღწევა ალბათ მას შემდეგ განსაკუთრებით გაჭირდება, რაც ცნობილი გახდა, რომ ბოლივიის არმიამ ქვეყნის უმსხვილესი ნავთობისა და გაზის საბადოები დაიკავა. ბოლივიის პრეზიდენტის ევო მორალესის მიერ გაზისა და ნავთობის ინფრასტრუქტურის ქვეყნის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გამოცემულ დეკრეტს ბრაზილიის და ესპანეთის მთავრობათა და ამ ქვეყნების წარმომადგენელი კომპანიების აღშფოთება მოჰყვა.

ამ დოკუმენტის მიხედვით, კერძო ენერგეტიკულმა კომპანიებმა საკონტროლო პაკეტები სახელმწიფოს უნდა მიყიდონ და კონტრაქტების გადახედვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართონ. ამასთან, ბოლივიის ნავთობისა და გაზის ნედლეულის გადამუშავების უფლებაზე გადასახადი 50-დან 82 პროცენტამდე გაიზარდა. ბოლივიის ენერგეტიკული სიმდიდრის, რომელიც ვენესუელას შემდეგ სამხრეთ ამერიკაში სიდიდით მეორეა, ბედ-იღბალმა ქვეყანაში არაერთხელ გამოიწვია პროტესტი, რასაც წინა ორი პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა.

მორალესის მიერ 1 მაისს ხელმოწერილი დეკრეტი მის წინასაარჩევნო პროგრამას შეესაბამება, რომლის მიხედვითაც იგი ბოლივიელებს ნავთობისა და გაზის მოპოვებიდან შემოსავლის გაზრდას და ცხოვრების დონის ამაღლებას დაჰპირდა. მორალესის ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის დედაქალაქ ლა პასში საზეიმო მსვლელობები მოჰყვა. პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ ენერგეტიკული სიმდიდრის ნაციონალიზაცია მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რასაც შახტების, ტყის და მიწის სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნება მოჰყვება.

## ევროპამ გაზპრომის დისკრიმანაცია გადაიფიქრა

ევროკავშირი მზადაა რუსული კონცერნი გაზპრომი ევროპულ კომპანიათა სიაში შეიყვანოს. ასე, რომ, გაზპრომი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღების საკითხებში გარკვეულ როლს ითამაშებს. ევროკავშირის ენერგეტიკის საკითხების კომისარი და ავსტრიის ეკონომიკის მინისტრი, რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ღია წერილში აცხადებენ, რომ ევროპა გაზპრომთან მიმართებაში ყოველგვარ დისკრიმანაციას გამორიცხავს. წერილში ასევე ნათქვამია, რომ ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობა ბრიუსელისთვისაც ასევე მომგებიანია. წერილის ავტორები აღიარებენ, რომ რუსეთი და კონცერნი გაზპრომი ყოველთვის იყო და იქნება ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიმწოდებელი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო კომპანია. ევროკომისიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გაზპრომი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ბუნებრივი აირის მიწოდების მონოპოლიურ უფლებას ფლობს. სხვა დანარჩენი რუსული კომპანიები თუ კერძო მწარმოებლები ევროკავშირის გაზმომარაგებას ვერ უზრუნველყოფენ. “ეს საკმაოდ არსებითი ფაქტორია, რომელსაც ჩვენ ნებისმიერი ობიექტური ანალიზის დროს გავითვალისწინებთ,”-აცხადებენ ევროკავშირის წარმომადგენლები.

ევროკავშირის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თანახმად, მონოპოლისტები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ჯანსაღ კონკურენციას და არ დაარღვიონ მომხმარებელთა უფლებები პროდუქტის არჩევისას. ევროპა კი რუსეთის მხრიდან ბუნებრივი აირის წარმოების გაზრდას მოითხოვს. ასე რომ, წერილი ორივე მხრეს თანაბარ ვალდებულებებს აკისრებს. გაზპრომის წარმომადგენლებს ეშინიათ, რომ ევროპის ქვეყნები, თავიანთი ენერგეტიკის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რუსულ კონცერნს აქტივების შესყიდვის საშუალებას არ მისცემენ. ევროკავშირის წარმომადგენლების თქმით, ევროპაში მრავალი ენერგოკომპანია მოღვაწეობს, რაც გაზპრომს არანაირ პრობლემას არ შეუქმნის.

“ჩვენ ზუსტად ისეთივე ურთიერთობა გვექნება გაზპრომთან, როგორიც სხვა დანარჩენ კომპანიებთან .გაზპრომისადმი წაყენებული მოთხოვნები არავითარ შემთხვევაში არ იქნება განსხვავებული. ისინი ევროკავშირის მიერ მიღებული კანონების შესაბამისი იქნება.” - ნათქვამია ღია წერილში. ევროპა გასულ ზამთარში ბუნებრივი აირის დიდ კრიზისს განიცდიდა. ახლა კი მას სტაბილურობის გარანტიები ესაჭიროება. ამ პრობლემის მოგვარებას კი ევროკავშირი, როგორც ჩანს რუსული გაზპრომის დახმარებით აპირებს.

# “აკვამედი” სამხრეთ ესპანეთს წყურვილს მოუკლავს



ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირეთი, საფრანგეთის საზღვრიდან მოყოლებული, გიბრალტარის სრუტემდე, მეტწილად მშრალი, უწყლო ტერიტორიაა. ამ ტერიტორიაზე ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სახლობს და ამ ტერიტორიაზევე მოდის ესპანეთის ტურიზმის დიდი ნაწილი - ყოველწლიურად ამ ტერიტორიას 50 მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. იმავდროულად, ეს არის მზიანი მიწები, სადაც ხილის და ბოსტნეულის დიდი მოსავალი მოდის. მაგრამ ყველაფერ ამას მტკნარი წყალი სჭირდება, წყალი, რომელიც ამ მიწებზე ოქროდ ფასობს და დიდ დეფიციტს წარმოადგენს.

ამ დიდი პრობლემის გადასაჭრელად, სახელმწიფომ ჩამოაყალიბა კომპანია “აკვამედი”, რომლის მთავარი მიზანი ესპანეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონებისთვის მტკნარი წყლის მოპოვება და მიწოდებაა. კონსერვატორი მთავრობის დროს, “აკვამედის” სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მდინარე ებროს სარწყავად და სასმელად გამოყენებას. სოციალისტების მოსვლის შემდეგ კი გეგმა რადიკალურად შეიცვალა. “აკვამედის” ახალი გეგმა ითვალისწინებს ზღვის წყლის გამოხდას და ჩამდინარე წყლების რეცირკულაციას.

გეგმის განსახორციელებლად “აკვამედს” აქვს ოთხი წელი და სამი მილიარდევროიანი ბიუჯეტი. მთავარი ამოცანაა წლიურად 85 ათასი ტონა მტკნარი წყლის მოპოვება და გვალვიანი რეგიონებისთვის მიწოდება. ამასთან, პროგრამა უკვე 2009 წლისთვის უნდა ამუშავდეს. წინა პროექტი ებროდან დაახლოებით 100 ათასი ტონა მტკნარი წყლის გადამუშავებას ითვალისწინებდა, მაგრამ მისი დიდი უარყოფითი მხარე ის იყო, რომ ამ რაოდენობის წყალი მისაწოდებელი იყო დაახლოებით 900 კილომეტრის მანძილზე, რაც მეტისმეტად აძვირებდა საბოლოო პროდუქტს.

ახალი პროექტი ითვალისწინებს წყლის გამოსახდელი 26 ახალი ქარხნის მშენებლობას, რომლებიც უშუალოდ გვალვიან რეგიონებში განლაგდება და ზღვიდან აღებულ წყალს გაამტკნარებს.

ამ გეგმის მიხედვით, “აკვამედმა” უკვე ააშენა სამი ახალი ქარხანა, რომლებიც ქალაქებში, მურსიასა და ალიკანტეშია განლაგებული. გაფართოვდა ორი მოქმედი ქარხანა, ოთხის მშენებლობა კი უკვე მიმდინარეობს. ერთი ქარხნის მშენებლობაზე ტენდერია გამოცხადებული, კიდევ ცხრაზე კი სატენდერო კონკურსი მალე გამოცხადდება. შვიდი ქარხანა დაპროექტების სტადიაშია. მთელი ამ სამუშაოების განსახორციელებლად სულ შვიდი ესპანური დიდი კომპანია იბრძვის.

აღსანიშნავია, რომ ეს არის საშუალო სიმძლავრის ქარხნები. დიდი სიმძლავრის ქარხნების მშენებლობისთვის ნებართვა კი ევროკავშირის მთავრობიდანაა მისაღები და მათი მშენებლობა დაახლოებით ნახევარი მილიარდი ევრო დაჯდება.

წყლის წარმოებისას “აკვამედი” ეკოლოგიურ მოთხოვნებსაც გაითვალისწინებს. მაგალითად, ხმელთაშუაზღვის სანაპიროს გასწვრივ, ნაპირის სიახლოვეს იზრდება ბალახი “პოსიდონია”, რომელშიც ბუდობს თევზის ის სახეობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საკვებად იყენებს. იმისათვის, რომ სანაპირო ზოლის გარემო არ გაანადგუროს, კომპანია ზღვის წყალს ნაპირისგან მოშორებით აიღებს.

გარდა ამისა, კომპანია ელექტროენერგიასაც იმ სადგურებიდან მიიღებს, რომლებიც ენერგიის განახლებად წყაროებს გამოიყენებს. ყურადღება მიექცევა ელექტროენერგიის დაზოგვასაც, რისთვისაც საირიგაციო სისტემების მუმბოებში გამოყენებულ იქნება თანამედროვე, ნაკლებად ენერგოტევადი ძრავები.

პარალელურად, აღნიშნულ რეგიონებში, მოსახლეობას მოუწევს უარის თქმა ისეთი კულტურების მოყვანაზე, რომლებიც დიდი რაოდენობით წყალს საჭიროებენ. ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონ ალმერიაში ერთი კუბური მეტრი წყლის ფასი 30 ცენტი ღირს. არადა, “აკვამედს” გამოხდილი ზღვის წყალი 50 ცენტი უჯდება. თუმცა, ამის მიუხედავად, ფერმერები მისგან სარწყავ წყალს მაინც 30 ცენტად მიიღებენ. სამაგიეროდ, არ მოხდება სასმელი და გოლფის მოედნების სარწყავი წყლის ფასების სუბსიდირება.

“აკვამედის” გენერალური დირექტორი ადრიან ბალტანასი ვარაუდობს, რომ მალე ესპანეთში წყალი ისეთი დეფიციტური აღარ იქნება, როგორც ახლა. ის ვარაუდობს, რომ გაიზრდება მოხმრება ქალაქის მოსახლეობისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის მიერ. სამაგიეროდ, ახლანდელ დონეზე დარჩება წყლის მოხმარება სოფლის მეურნეობის მიერ. უნობისათვის, ახლა ესპანეთში წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელი სოფლის მეურნეობაა, რომელზეც მთელი ქვეყნის მიერ მოხმარებული მტკნარი წყლის 68 პროცენტი მოდის. მხოლოდ 180) პროცენტი მოდის მოსახლეობისა და ინდუსტრიის საჭიროებაზე. დანარჩენ წყალს კი თბოსადგურებში იყენებენ.

# “ბოინგი” მიმწოდებელ კომპანიას ყიდულობს




ამერიკულმა ავიამწარმოებელმა გიგანტმა “ბოინგმა” გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს აეროკოსმოსურ მოწყობილობათა მიმწოდებელი კომპანია “ავიალ ინკორპორეიტიდის” შეძენა რაც მას 1.7 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

კომპანიის მარკეტოლოგები ამ გადაწყვეტილებას იმ გარემოებით ხსნიან, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალ თვითმფრინავებზე მოთხოვნილების შემცირება და პარალელურად, მაკომპლექტებელი ნაწილების მოთხოვნის და თვითმფრინავების სერვისის ბიზნესის ზრდა.

ეს გარიგება “ბოინგისთვის” პირველია მას შემდეგ, რაც მის მთავარ აღმასრულებლად ათი თვის წინ დაინიშნა ჯეიმს მაკნერნი.

“ბოინგმა” თავისი აქცენტის გადატანა საავიაციო სერვისზე მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ცნობილი გახდა, რომ გასული წელი თვითმფრინავების გაყიდვების პიკით დასრულა. ჩიკაგოში ბაზირებულმა ავიაგიგანტმა შარშან რეკორდულად ბევრი, 1 002 კომერციული ლაინერი გაყიდა. სხვათა შორის, მისი კონკურენტის, ევროპული “ეარბასის” ანალოგიური მაჩვენებელი ოდნავ მეტი - 1 055 ლაინერი იყო. ყოველივე კი მსოფლიოში ტურიზმის მორიგ ბუმს მოჰყვა.

მარკეტოლოგები ვარაუდობენ, რომ წელს ორივე კომპანიის გაყიდვები იკლებს. შესაბამისად, უფრო მომგებიანი ბიზნესი გახდება მაკომპლექტებელი და სათადარიგო ნაწილების მიწოდების ბიზნესი.

“ბოინგის” კომერციული ავიაციის სერვისის დივიზიონის შემოსავალი წელს სავარაუდო, 3 მილიარდი დოლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკული ავიაგიგანტი “ავიალს შეიძენს, შემოსავალი დაახლოებით 40 პროცენტით გაიზრდება. ისე კი, მთლიანობაში შარშან “ბოინგის” შემოსავლებმა 55 მილიარდ დოლარი შეადგინა.

“ბოინგი” აცხადებს, რომ “ავიალის” თითოეულ აქციაში 48 დოლარს გადაიხდის, ეს კი თითქმის 27 პროცენტით მეტია ამ კომპანიის აქციების ახლანდელ ფასზე. გარდა ამისა, “ბოინგი” “ავიალის” 350 მილიონდოლარიანი ვალის თავის თავზე აღებასაც კისრულობს.

გარიგება ალბათ სექტემბერში დაიდება და “ბოინგი” აცხადებს, რომ ამის გამო, ეს უარყოფითად არ აისახება მის მოგებაზე. სამაგიეროდ, მერმისიდან დიდ მოგებას მოუტანს - დალასში ბაზირებული “ავიალის” წლევანდელმა შემოსავალმა 1.3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს კომპანია კერძო კომპანიებს შორის მსოფლიოს ლიდერია აეროკოსმოსური, თავდაცვითი და გემთმშენებელი კომპანიებისთვის სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილების მიწოდების საქმეში.

გარიგების დადების შემდეგ, “ავიალი” შეიქნება “ბოინგის” კომერციული ავიაციის სერვისის დივიზიონის ნაწილი. “ბოინგი” იმედოვნებს, რომ ახალშენაძენის მეშვეობით, შეამცირებს სერვისის ხარჯებს - ამიერიდან “ავიალი” გამოუშვებს მხოლოდ იმ სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც კონკრეტული თვითმფრინავის სარემონტოდ იქნება განკუთვნილი. გარდა ამისა, “ავიალი” ითანამშრომლებს “ბოინგის” თავდაცვითი სისტემების მწარმოებელ დივიზიონთანაც.

## ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე ძირითად ინდექსთა სხვადასხვაგვარი ცვლილება დაფიქსირდა. ამის მიზეზი ნავთობის ფასების მატება და რამდენიმე საინტერესო და დამაიმედებელი კორპორაციული სიახლე გახლდათ.

კერძოდ, საყოფაცხოვრებო ქიმიის უმსხვილესი მწარმოებლის Procter & Gamble Co-ის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშის მიხედვით, 2005-2006 ფინანსური წლის, რომელიც 31 მარტს დასრულდა, 9 თვეში კომპანიის სუფთა მოგება 22,7 პროცენტით გაიზარდა და 6,79 მილიარდ დოლარს მიაღწია.

გარდა ამისა, 2006 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილესმა მედიაჰოლდინგმა Time Warner Inc-მა. მისი კვარტლური მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 63 პროცენტით, 1,5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ინვესტორები მოუთმენლად ელიან აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მიერ ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე შეკვეთების რაოდენობის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებას. ექსპერტთა ვარაუდით, ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 4 პროცენტით გაიზრდება.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,07 პროცენტით, 11.408,52 პუნქტამდე მოიკლო, 0,1 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.312,17 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,1 პროცენტით, 1.311,9 პუნქტამდე შემცირდა.

## ოპეკის კალათის" აბსოლუტური რეკორდი

ნავთობის ფასი კვლავინდებურად მატულობს. შეგახსენებთ, რომ აპრილის განმავლობაში “შავი ოქრო" ყოველდღიურად ძვირდებოდა. მხოლოდ თვის ბოლოს, ახალი ისტორიული მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ ნავთობის ფასმა ცოტათი მოიკლო, თუმცა, ექსპერტებმა უმალ განაცხადეს, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო და ფასების ზრდა კვლავ გაგრძელდებოდა.

ასეც მოხდა. გუშინ უკანასკნელი დღეების ტენდენცია გაგრძელდა და ნიუ იორკის ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე უახლოესი თვის სანავთობე ფიუჩერსების (სამომავლო კონტრაქტები) ღირებულება კვლავ გაიზარდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობის ფასმა 74,64 (+0,75) დოლარს მიაღწია, 1 ბარელი Light-ის მარკის ნავთობის ღირებულებამ კი 74,61 (+0,91) დოლარი შეადგინა.

ნავთობის ფასის მატების მიზეზებად კვლავ რჩება ერაყის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და ნიგერიაში არსებული დაძაბული მდგომარეობა. გარდა ამისა, “შავი ოქროს" გაძვირებისათვის დამატებით სტიმულად იქცა ბოლივიაში ნავთობის ნაციონალიზაციის გამოცხადება და ვენესუელას მთავრობის მიერ მსგავსი ნაბიჯის გადადგმის საშიშროება. ექსპერტთა ვარაუდით, სამხრეთ ამერიკაში გამწვავებული სიტუაცია ნავთობის კიდევ უფრო გაძვირებას გამოიწვევს. ოპეკის წევრმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ ფასების შესამცირებლად მზად არიან მსოფლიო ბაზარს მეტი ნავთობი მიაწოდონ. თუმცა, იქვე აღნიშნეს, რომ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებენ, თუ “შავ ოქროს" სათანადო რაოდენობის მყიდველი ეყოლება. ჯერჯერობით კი მოთხოვნილება იმდენი არ არის, რომ ეგზომ გადამჭრელ ზომებს მიმართონ.

ნავთობის კიდევ უფრო გაძვირების შედეგად, “ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმა ახალი აბსოლუტური რეკორდი - 1 ბარელი ნავთობისათვის 68,4 დოლარი დაამყარა. ეს მაჩვენებელი 1,03 დოლარით მეტია, ვიდრე მიმდინარე წლის 24 აპრილს დაფიქსირებული მაქსიმალური ფასი.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი “ოპეკის კალათა" ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვარს შემოიღეს. მისი ფასი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით განისაზღვრება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heavy, ერაყული Basra Light, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 2005 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 1999 წელს ბარელი ნავთობისათვის 22-28 დოლარის ფარგლებში ოფიციალურად დადგენილი “კალათის" ფასთა დერეფანი. 2006 წლიდან “ოპეკის კალათის" ღირებულების საზღვრები ბარელი ნავთობისათვის 50 და 60 დოლარით დეკლარირებულადაა განსაზღვრული.

## სუდანი ყველაზე წარუმატებელი სახელმწიფოა, საქართველო კი მესამოცე ადგილზეა

მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური ქვეყანა სუდანია. ამ სახელმწიფომ პირველი ადგილი დაიკავა წარუმატებელ ქვეყანათა რეიტინგში, რომელიც ჟურნალმა Foreign Policy-მ და ფონდმა For Peace-მ შეადგინა.

გამოკვლევაში მსოფლიოს 148 ქვეყანა მონაწილეობდა. წარუმატებელთა ამ რეიტინგში მეორე ადგილი კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიკავა, მესამე კი კოტ დიუარმა, ხოლო მეოთხეზე ერაყი გავიდა. ავღანეთი მეათეზეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე წარუმატებელ ქვეყნად უზბეკეთი დაასახელეს, რომელმაც რეიტინგში 22-ე ადგილი დაიკავა. 28-ზე ყირგიზეთია, 43-ზე რუსეთი, 50-ზე ბელორუსი, 57-ზე კი მოლდოვა.

საქართველომ მესამოცე ადგილი დაიკავა. რეიტინგის შედგენისას გამოყენებულ იქნა 12 სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინდიკატორი.

## ეკონომიკური კვლევის ცენტრმა მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა

ეკონომიკური კვლევის ცენტრმა დღეს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. როგორც ექსპერტები, ცენტრის წარმომადგენელი რევაზ საყევარიშვილი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოში ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება, მონიტორინგი მიუთითებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი შორს არის იდეალურისგან და საკმაოდ ბევრ კითხვებს ბადებს. მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვა და შესრულება ხდება, ძირითადად, ორი-სამი ე.წ. ძირითადი გადასახადის საფუძველზე, როგორიც არის დღგ და აქციზი. როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების სიმძიმე კი, უპირატესად, წლის ბოლოზე მოდის.

ასევე საზოგადოებისთვის გაურკვეველი რჩება, რატომ ვერ ხერხდება მთელი რიგი ხარჯების დაფინანსება მაშინ, როდესაც ბიუჯეტის გადაჭარბების შესრულების შესახებ ხელისუფლება ინფორმაციას აკეთებს. საყევარიშვილი აღნიშნავს, რომ გაუმჭვირვალეა როგორც მიღებული შემოსავლების რეალური წყაროები, ასევე რეალური საბიუჯეტო რეზერვების არსებობა. მონიტორინგი ევრაზიის ფონდისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

## რომან გოცირიძემ პარლამენტარებს ინფორმაცია მიაწოდა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ აფხაზეთში უკანონოდ მოქმედი საბანკო დაწესებულების შესახებ ინფორმაცია საპარლამენტო კომისიას მიაწოდა. გოცირიძემ დღეს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის სხდომის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, სადაც აფხაზეთში უკანონოდ მოქმედ საბანკო დაწესებულებებთან რუსეთის კომერციული ბანკების არალეგალური თანამშრომლობის საკითხი განიხილეს.

როგორც რომან გოცირიძემ კომისიის სხდომაზე განაცხადა, ეროვნული ბანკი ე.წ. საერთაშორისო შეტევას ახორციელებს რუსულ ბანკებზე, რომლებსაც აფხაზეთში საკორესპონდენტო ანგარიშები გააჩნიათ.

"ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიების მთავარი შედეგი ის არის, რომ დღეისათვის აფხაზეთში არც ერთი სერიოზული რუსული ბანკი აღარ მუშაობს. იქ საკორესპონდენტო ანგარიშები აქვს გახსნილი 20-მდე რუსულ ბანკს, რომლებიც ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებში ვუჩივით. უკვე მივმართეთ ფინანსური ქმედებების სპეციალურ ჯგუფს FATF-ს, რომელიც რუსული საბანკო სისტემის შემოწმებას2007 წლის პირველ ნახევარში აპირებს. შემოწმების დროს ჩვენი საჩივარიც იქნება გათვალისწინებული," - განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ეროვნულ ბანკი ამერიკის დეპარტამენტის დაზვერვის კორპორაციას მონაცემთა ინფორმაციას რუსული ბანკების შესახებ და, სავარაუდოდ, ბანკები კორპორაციის შავ სიაში მოხვდებიან.

"ჩვენი ქმედებები რუსეთის რეპუტაციას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, რამაც შესაძლოა, მომავალში ფინანსური პრობლემებიც შეუქმნას. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ ეს ღონისძიებები შედეგს გამოიღებს," - განაცხადა გოცირიძემ.

## კომპანია "არსი" მეღვინეებს სოლიდარობას უცხადებს

კომპანია "არსი" ქართველ მეღვინეებს სოლიდარობას უცხადებს და მათ ქართული ღვინის პოპულარიზაციას ჰპირდება. დღეს კომპანია "არსის" გენერალურ დირექტორ გია აბულაძესა და ს/ს "თელიანი ველის" დირექტორის მოადგილე გიორგი ხუციშვილს შორის "საინიციატივო შეთანხმებას" მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, კომპანია "არსის" რეკლამირებისას ყოველთვის გავა სლოგანი "არსი გატყობინებთ - ქართული ღვინო საუკეთესოა".

"არსის" გენერალური დირექტორის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართულ ღვინოს პოპულარიზაციას კერძო კომპანია გაუწევს, თუმცა აბულაძე იმედს გამოთქვამს, რომ მის ინიციატივას სხვა კერძო კომპანიებიც შეუერთდებიან.

"ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემა არ ეხება მარტო ერთ კომპანიას და ერთ კაცს, ეს ქვეყნის სატკივარია. "არსის" ინიციატივა კი დასტურია იმისა, რომ ჩვენ ერთ მუშტად შევიკარით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია," - განაცხადა ხელმოწერის შემდეგ გიორგი ხუციშვილმა.

დღევანდელ ცერემონიას "ულტრასონოგრაფიის ცენტრის" ხელმძღვანელი დავით ტატიშვილიც ესწრებოდა. ქართული ღვინის პროპაგანდის მიზნით, მან ყველას მიმართა, დღეში ერთი ჭიქა ქართული ღვინო დალიონ. "ეს ჯამრთელობისთვის სასარგებლოა," - განაცხადა ტატიშვილმა.

## ამინდი

| | 4/05 | 5/05 | 6/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 17 | 16 | 16 |
| რიგა | 20 | 18 | 18 |
| ვილნიუსი | 16 | 16 | 15 |
| მოსკოვი | 21 | 20 | 20 |
| მინსკი | 17 | 17 | 16 |
| პარიზი | 22 | 22 | 17 |
| რომი | 23 | 21 | 20 |
| ლონდონი | 20 | 21 | 16 |
| მადრიდი | 20 | 18 | 23 |
| ბონი | 23 | 21 | 21 |
| ვარშავა | 18 | 18 | 18 |
| ათენა | 15 | 16 | 18 |
| ბერნი | 23 | 21 | 17 |
| ამსტერდამი | 16 | 17 | 15 |
| ოსლო | 11 | 14 | 16 |
| ანკარა | 18 | 18 | 22 |
| ვარნა | 15 | 17 | 20 |
| დელი | 47 | 50 | 50 |
| ტოკიო | 22 | 20 | 25 |
| კოპენჰაგენი | 10 | 13 | 13 |
| ბაქო | 18 | 23 | 23 |
| ერევანი | 28 | 23 | 28 |
| ასტანა | 1 | -1 | 6 |
| ჰელსინკი | 17 | 17 | 17 |
| დუბლინი | 8 | 8 | 9 |
| ლისაბონი | 22 | 22 | 18 |
| პრაღა | 17 | 16 | 15 |
| სოფია | 17 | 19 | 18 |
| ბუდაპეშტი | 20 | 20 | 16 |
| ბუხარესტი | 20 | 15 | 18 |

# საუკეთესო კორპორაციული ქცევის ორიენტირები

თენგიზ ახობაძე
საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრი

კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისა და კორპორაციული ქცევის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, საკორპორაციო სამართლის სფეროში, უამრავ "დაწერილ კანონთან" ერთად, ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობს "დაუწერელი კანონები", ეს არის ეთიკური, მორალური, ჭეშმარიტ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე აგებული ნორმები. მათ რიცხვს მიეკუთვნება - კორპორატიული ქცევის კოდექსი (თუმცა იგი დაწერილია შავით თეთრზე). მრავალ ქვეყანაში იგი განვითარების სხვადასხვა დონეზეა მიღებული - ანუ ეს არ არის კანონი, ან რაიმე სამთავრობო, ან სახელმწიფო დირექტივა - ეს არის აღიარებული სარეკომენდაციო პაკეტი, რომელთანაც შესაბამისობა პრესტიჟული, საამაყო, სასახელო და, საბოლოო ჯამში, მომგებიანი და სასარგებლოა. საჭიროა ამგვარი დოკუმენტების გაცნობა-განხილვა და მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა უახლოეს მომავალში კოდექსის შემუშავებისათვის. საინტერესო და სასარგებლო იქნება დადებითი გამოცდილების გაზიარება.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო კორპორაციულმა კოლაფსებმა, რომლებიც გამოიწვია "ენრონისა" და ზოგიერთი სხვა კომპანიის არაკეთილსინდისიერმა კორპორაციულმა ქმედებებმა, მათი ფინანსური ანგარიშგებების არასწორად შედგენამ და ანგარიშგებების არამართებულად შეფასებამ აუდიტორული კომპანიების მიერ (მათ შორის, "არტურ ანდერსონი"). აღნიშნული კოლაფსები დაექვემდებარა ექსპერტებისა და ზედამხედველების ღრმა ანალიზს, რის შედეგადაც მიღებულია უმკაცრესი ზომები საჯარო კომპანიების ზედამხედველობის, მათი ფინანსური ანგარიშგებების შედგენის, შეფასების, წარდგენა-მიღებისა და ასევე აუდიტორულ საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებებით.

ის ფაქტი, რომ "ენრონის" კოლაფსი არ იყო გამონაკლისი შემთხვევა და მას მოჰყვა ფართომასშტაბიანი ფინანსური მაქინაციების გამოვლენა სხვა ცნობილ კომპანიებშიც (როგორებიცაა WorldCom, Global Crossing, Tyco, Adelphia, Rite Aid და სხვა), მიუთითებს სისტემურ კრიზისზე და არა მხოლოდ კორპორაციის მენეჯერთა თაღლითობაზე, ან კაპიტალის ბაზრის საზედამხედველო სისტემის ცალკეული რგოლების შეცდომებზე, ან/და დანაშაულებრივ ქმედებებზე.

უკანასკნელი წლების კორპორაციული კოლაფსების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინვესტორი ყველა ქვეყანაში შეიძლება აღმოჩნდეს ფინანსური მაქინაციებისა და თაღლითობის მსხვერპლი, თუ ბაზრის საზედამხედველო სისტემის ცალკეულ მონაწილეთა და პირველ რიგში, შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ არ გატარდება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებისათვის მიწოდებული ინფორმაციისა და დაცვის ხარისხის ამაღლების მიზნით.

სერიოზული ღონისძიებები მიღებულ იქნა დიდ ბრიტანეთში - ქვეყანაში, რომელსაც კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავების საქმეში დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია.

ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში დიდ ბრიტანეთში დაიწყო კორპორაციული მართვის თვითრეგულირებადი სისტემის ფორმირება. ეს იყო პასუხი, ერთის მხრივ, ბაზრის მონაწილეთა მხრიდან იმ დროის გახმაურებული მოვლენებზე (Polly Peck da Bank of Credit and Commerce International კორპორაციების გაკოტრება, კომპანია Maxwell Communications-s საპენსიო ფონდთან დაკავშირებული თაღლითობები), ასევე ეკონომისტების გრძელვადიან დისკუსიაზე ბრიტანულ არასაფინანსო კომპანიების ომის შემდგომი ჩამორჩენის მიზეზების შესახებ მათ ევროპელ კონკურენტებთან პაექრობაში. ილებდნენ რა ამ სისტემას, ბიზნეს-ერთობა (ბიზნესის სამყარო ან ბიზნეს-საზოგადოებრიობა) ცდილობდა, არ დაეშვა (აეცდინა) "დაწერილი სამართლის" საფუძველზე სახელმწიფოებრივი რეგულირების შემოღება.

რეგულირების ბრიტანული მოდელი ვითარდება მოხსენებების საფუძველზე, რომელთა სათაურებშიც ფიგურირებენ იმ ცნობილი ექსპერტების გვარები, რომლებიც აღნიშნულ დამუშავებებს ხელმძღვანელობდნენ. ამგვარი დოკუმენტების მომზადებისათვის საჭირო კვლევები, ძირითადად, ფინანსდება სახელმწიფო ორგანოების, პირველ რიგში, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ.

კედბერის მოხსენებამ, რომელმაც კორპორაციული მართვის ბრიტანულ მოდელს ჩაუყარა საფუძველი, დიდი ზეგავლენა იქონია ანალოგიური მოდელების ფორმირებაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ანგლო-საქსონური სამართლის სისტემაში - კანადა, ავსტრალია, ირლანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდოეთი. ამასთანავე, აღნიშნული მოხსენების იდეები ასევე გამოყენებულია შესაბამისი კოდექსების შემუშავებისას კონტინენტური ევროპის ქვეყნებში - ბელგია, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი.

კედბერის, გრინბერგის და ხემპელის მოხსენებათა საფუძველზე შეიქმნა კორპორაციული მართვის გაერთიანებული კოდექსი (The Combiened Code), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 იანვარს და გახდა ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგის წესების (ასევე ყვითელ წიგნს უწოდებენ) დამატება. კოდექსის პრინციპები და დებულებები ვითარდებოდა და ზუსტდებოდა ტერნბულლის, მაინერსის, სმიტის და ჰიგსის

> **გათვითცნობიერებული აქციონერები იწყებენ თავიანთი უფლებების თავად დაცვას, აიძულებენ და მიმართავენ მენეჯერებს მეტი გახსნილობისაკენ, ხდებიან უფრო აქტიურები საერთო კრებებზე განსახილველი ყველა საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის, დივიდენდების დარიცხვა-გაცემის საკითხშიც. მენეჯერები იწყებენ ფიქრს: როგორ ილვაწონ უკეთ, შემდგომში კი მათში იბადება შიში აქტიური გათვითცნობიერებული აქციონერების მიმართ, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტნი ხდებიან.**

მოხსენებაში, ხოლო 2003 წლის ივლისში ფინანსური ანგარიშგების საბჭომ გამოაქვეყნა კოდექსის ახალი რედაქცია, რომელიც ძალაშია 2003 წლის 1 ნოემბრიდან.

განახლებულ კოდექსს თან ახლავს სამი განმარტებითი დოკუმენტი: ტერნბულის სახელმძღვანელო შიდა კონტროლის სისტემის შესაქმნელად, სმიტის სახელმძღვანელო აუდიტის კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციისათვის, ხიგგსის მითითებები ეფექტური კორპორაციული მართვის უზრუნველყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლიდან ყველა მოხსენების ძირითადი დებულებები მუშავდება იმ კონცეფციის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც ამჟამად იქმნება კომპანიების შესახებ კანონის ახალი რედაქცია (ამ კანონის ფუნდამენტური რევიზიის ფარგლებში კერძოდ გათვალისწინებულია კორპორაციული დირექტორების ზოგადი ვალდებულებების კოდიფიკაცია). ამას გარდა, ბრიტანული გაერთიანებული კოდექსის სრულყოფის პროცესში გათვალისწინებულ იქნა გერმანული კრომე-კოდექსის (Cromme - Codex, 2002 წლის თებერვალი) და ფრანგული ბუტონის მოხსენების (Bouton Report, 2002 წლის სექტემბერი) იდეები. და ბოლოს, მხედველობაში იქნა მიღებული უინტერის მოხსენებაში (ინტერ რეპორტ, 2002 წლის ნოემბერი) მოცემული კორპორაციული მართვის სტანდარტებისადმი მინიმალური მოთხოვნების ევროსაბჭოში დანერგვის რეკომენდაციები. კორპორაციული მართვის თვითრეგულირებადი ბრიტანული სისტემა, რომელიც ეფუძნება გაერთიანებულ კოდექსს და აღნიშნულ მოხსენებებს, მოქმედებას პრინციპით "დაემორჩილე ან ახსენი" (comply or explain). ეს ნიშნავს, რომ კომპანიამ, რომლის აქციები დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში, უნდა გამოაქვეყნოს ორი ნაწილისაგან შემდგარი ანგარიშები. პირველ ნაწილში მოცემულია, თუ როგორ გამოიყენებს კომპანია კოდექსის პრინციპებს, ხოლო მეორე ნაწილში საჭიროა, ან კორპორატიული პრაქტიკის შესაბამისობის დადასტურება კოდექსის დებულებებთან, ან ახსნა-განმარტების მიცემა მათთან შეუსაბამობის მიზეზებზე.

ბრიტანელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ბაზრის მონაწილეთა მიერ კოდექსის ნებაყოფლობით მიღებაზე დაფუძნებული მიდგომა დადებითი შედეგების მომტანი და პრინციპულად გამართლებულია და, ამდენად, მისი შე-

> **ბოლოდროინდელმა კორპორატიულმა სკანდალებმა თვით აშშ-შიც კი, სადაც სახელმწიფოს ჩარევას, ტრადიციულად, არ მიესალმებიან, სახელმწიფოს ზეგავლენის გაძლიერება გამოიწვია.**

ცვლის არანაირი საჭიროება ან მიზანშეწონილობა არ არსებობს (აღსანიშნავია, რომ აშშ-ში იყენებენ კორპორაციული მართვის სტანდარტების რეგულირების გაცილებით უფრო მკაცრ მეთოდს, ვინაიდან Sarbanes Oxley Act -ის სარბეინს-ოკსლის კანონი კორპორაციული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს). გაერთიანებული კოდექსის ახალ რედაქციაში შენარჩუნებულია და გრძელდება ამგვარი მიდგომის ტრადიციები: მასში წარმოდგენილი კორპორაციული მართვის პრინციპები დაყოფილია ორ ჯგუფად - ძირითადი და დამხმარე პრინციპები, რაც უზრუნველყოფს კომპანიებისათვის მეტ მოქნილობას კოდექსის მოთხოვნათა შესრულებაში.

გაერთიანებული კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი - ჰიგსის მოხსენების წინასწარი ტექსტის განხილვის პერიოდში ავტორებმა მიიღეს 250-მდე დასკვნა და ჩაატარეს უამრავი შეხვედრა ავტორიტეტულ პირებთან. საბოლოო დოკუმენტმა, რომელიც ერთ წელზე ნაკლებ დროში მომზადდა, სახელმწიფო ორგანოების ძალზედ დადებითი შეფასება მიიღო.

მისი გამოქვეყნების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა ბიზნეს-საზოგადოებისა და პროფესიონალური ასოციაციების წარმომადგენლებმა. 2003 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით მათ გაუგზავნეს ფინანსური ანგარიშგების საბჭოს 180-ზე მეტი გამოხმაურება. დაუჭირეს რა მხარი მოხსენების ზოგად მიმართულებას, დაინტერესებულმა პირებმა გამოთქვეს მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა ნაწილი გათვალისწინებულ იქნა გაერთიანებული კოდექსის ახალი რედაქციის შემუშავებისა.

განსახილველ მოხსენებას აქვს საკმარისად ფუნდამენტური ხასიათი. იგი ეფუძნება სამ სერიოზულ და სოლიდურ წყაროს:

- ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვებულ 2200 კომპანიის გამოკვლევას, რომელიც ჩაატარა Hemscott Group -ის კომპანიამ (იგი სპეციალიზებულია კორპორაციული მართვის სფეროში საქმიანი და ფინანსური ინფორმაციის მიწოდებაზე). 2002 წლის ივლისით დათარიღებული მონაცემთა ბაზა შეიცავს დეტალურ მონაცემებს დირექტორთა საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ, ასევე მათი კომიტეტების თაობაზე;
- 605 ბრიტანული კორპორაციის დირექტორების გამოკითხვას, რომელიც ჩაატარა ბაზრების გამოკვლევის სააგენტომ MORI;
- 350 უმსხვილესი ბრიტანული კორპორაციის ჯგუფიდან 40 დირექტორთან ჩატარებული ხანგრძლივი საუბრების შედეგების ანალიზს;

> **მიზანშეწონილია სახელმწიფო და კერძო სექტორების წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით კორპორაციულ ქცევის ნაციონალური მეთოდოლოგიისა და მის საფუძველზე კორპორაციული ქცევის ნაციონალური პრინციპების შემუშავება.**

განსახილველი მოხსენების მნიშვნელობის უკეთესი გაგებისათვის საჭიროა, ყურადღება გავამახვილოთ ორ მნიშვნელოვან მომენტზე. პირველი, ჰიგსი გამოდიოდა იქიდან, რომ კოდექსის პრინციპების შესრულება არის არა თვითმიზანი, არამედ ბიზნესის ოპტიმიზაციის საშუალება აქციონერთა ინტერესებისათვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის მთლიანობაში. მეორე, ავტორი უპირველეს ყურადღებას ანიჭებს "ადამიანურ ფაქტორს". იგი ხაზს უსვამს: ყველაფრის გასაღები - ადამიანები არიან. მმართველი ორგანოს წევრების კანდიდატებისაგან საუკეთესოთა გამოვლენა მაღალეფექტური საქმიანობის საფუძველთა საფუძველია.

გერმანიაში 2002 წლიდან არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი "Deutsche Corporate Governance Kodex", რომელიც სავალდებულოა ყველა საბირჟო კოტირების მქონე სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრებისათვის. ამ კოდექსის შესაქმნელად გერმანიის იუსტიციის სამინისტროს მიერ 2001 წლის სექტემბერში მოწვეულ იქნა მარეგულირებელი კომისია "Corporate Governance". 2002 წლის 26 თებერვალს წარმოდგენილ კოდექსში ძირითადი ყურადღება საწარმოს მართვას ეთმობა.

- ამასთან, კოდექსი ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან, უპირველეს ყოვლისა, ყველა საერთაშორისო ხასიათის მქონე კრიტიკულ მომენტს, რომელიც გერმანიის საწარმოთა მოწყობას ეხება, კერძოდ:
- არასაკმარისი ორიენტირება აქციონერების ინტერესებზე;
- საწარმოს დუალისტური მოწყობა გამგეობით და სამეთვალყურეო საბჭოთი;
- გერმანიაში საწარმოო მართვის არასაკმარისი გამჭვირვალობა;
- გერმანიაში სამეთვალყურეო საბჭოების შეზღუდული თავისუფლება
- აუდიტორთა შეზღუდული თავისუფლება.

საკუთრივ კოდექსი, გარდა იმისა, რომ მასში ზუსტად მეორდება სამართლებრივი რეგულირებები, რომლებიც ინვესტორთათვის ინფორმაციულ ხასიათს ატარებს, შეიცავს 50 რეკომენდაციას. ასე მაგალითად, რეკომენდაციას სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტორული კომიტეტის (Audit Committee) შექმნის შესახებ. ამ კოდექსის შემთხვევაში საუბარია ეგრეთწოდებულ "Soft Law"-ზე, რომლის შემთხვევაში თვითონ საწარმოების გადასაწყვეტია, თუ რამდენად გაითვალისწინებენ ისინი ამ რეკომენდაციებს. ამასთანავე, აუცილებელია გაიმიჯნოს ის რეკომენდაციები, რომელიც საწარმომ, შესაბამისად - მისმა ორგანოებმა, "უნდა" განახორციელონ, და ის რჩევები, რომლის გათვალისწინებაც საწარმოსთვის "სასურველი" ან "შესაძლებელია". მნიშვნელოვანი და სწორია კოდექსით გათვალისწინებული რეკომენდაციების ორად დაყოფა - ეგრეთწოდებულ "აუცილებელ ნორმებად", რომელთა გადახვევის უფლება გამგეობას აქვს, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია, ყველა ამ გადახვევის შესახებ ღიად განაცხადოს, და "შეთავაზებებად", ეგრეთწოდებულ "შესაძლებელ" და "სასურველ" მითითებებად, რომელთა არშესრულება ყოველგვარი გაცხადების გარეშეა შესაძლებელი.

ერთადერთი, რასაც კანონი არეგულირებს, არის ეგრეთწოდებული შესაბამისობის დეკლარაცია, რომელშიც მმართველობამ და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დააფიქსიროს, რომ საწარმოს საქმიანობა კოდექსს შეესაბამებოდა და შეესაბამება, ან რომელი რეკომენდაციები არ იქნა გატარებული ან არ ტარდება (ეგრეთწოდებული "comply or explain"). ეს დირექტივა დაფიქსირებულია 2002 წლის შუა პერიოდში დამტკიცებულ კანონში გამჭვირვალობისა და საწარმოთა ანგარიშგების შესახებ (TransPuG) და შეტანილია სააქციო კანონის $161-ში. თუმცა კანონი სააქციო კანონის $161-ით ავალდებულებს საბირჟო კოტირების მქონე ნებისმიერი საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, ყოველწლიურად მოახდინოს იმის დეკლარირება, ასრულებს საზოგადოება ამ კოდექსს - მთლიანად ან ნაწილობრივ - თუ არ ასრულებს. თუკი ამ სახის დეკლარაცია არ არის წარმოდგენილი, უკვე კანონის დარღვევასთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაცია პოზიტიური სახით იქნება წარმოდგენილი ("ჩვენ ვასრულებთ კოდექსს და მის რეკომენდაციებს"), სინამდვილეში კი კოდექსის რეკომენდაციები არ სრულდება, ადგილი აქვს დარღვევას.

რეკომენდაციები, ყველაფერთან ერთად, შეიცავენ ისეთ პუნქტებს, როგორებიცაა სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის ქმედითობის ამაღლება, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების კვორუმი და ფორმა, ვალდებულება შედგენილ იქნას იმ გადაწყვეტილებების კატალოგი, რომელთაც ხმათა საკმარისი რაოდენობა ვერ მოაგროვეს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გაუხმაურებლობის ვალდებულებები, ისევე, როგორც კონცერნების შექმნის გადაწყვეტილების დამტკიცება, რომელიც ასევე უნდა მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კოდექსი იმგვარადაა შედგენილი, რომ სამთავრობო კომისიებს შეუძლიათ მასში ცვლილებების შეტანა, თუ ეს საკრედიტო ბაზრის პოლიტიკით იქნება ნაკარნახები.

კორპორაციული მართვის კოდექსის პარალელურად აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფედერალური მთავრობის ღონისძიებათა კატალოგი, რომელიც ამჟამად გერმანიაში აქტუალური დისკუსიის საგანს წარმოადგენს, და რომლის მიზანია 10-პუნქტიანი პროგრამის განხორციელება საწარმოთა დამოუკიდებლობისა და ინვესტორთა დაცვის გასაძლიერებლად.

აზიის განვითარებული ფინანსური ბაზრების ქვეყნებში (ინდოეთი, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი) მიღებულია კორპორაციული მართვის კოდექსები, რომელთა სტანდარტების შესრულება აუცილებელია სალისტინგო კომპანიების მიერ. ფინანსური ბაზრების რეგულირების ორგანოები ამ ქვეყნებში კატეგორიულად მოითხოვენ ფინანსური ბაზრების ყველა მონაწილეებისაგან კოდექსის მოთხოვნათა შესრულებას, რომელიც წარმოადგენს არა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს, არამედ აუცილებელ რეკომენდაციათა პაკეტს. აღნიშნული ქვეყნების საფონდო ბირჟები ახორციელებენ ამ სამუშაოს ყველა სალისტინგო კომპანიასთან.

ბოლოდროინდელმა კორპორატიულმა სკანდალებმა თვით აშშ-შიც კი, სადაც სახელმწიფოს ჩარევას, ტრადიციულად, არ მიესალმებიან, სახელმწიფოს ზეგავლენის გაძლიერება გამოიწვია. ასე იქნა გაუქმებული აუდიტორის თვითმმართველობა და ეს პროფესიული ჯგუფი სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს დაექვემდებარა. ეს ფაქტი ადასტურებს ზოგად ისტორიულ-სამართლებრივ თეზას, რომლის თანახმადაც, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში კანონმდებლის რეაქცია კრიზისებზე, როგორც წესი, სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესებაში ან მის გაძლიერებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, მიზნად ისახავს სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მიმართ დაკარგული ნდობის აღდგენას. ასე დაფუძნდა მსოფლიო და, უმთავრესად, აშშ-ს ეკონომიკის კრიზისის (1929-1932) დროს აშშ-ში ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია (Securites and Exchange Commision) (1934). იგივე გზა აირჩია გერმანიამაც: კერძოდ, სავაჭრო რეესტრის მნიშვნელობის ზრდა და ბანკების ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის შექმნა საკრედიტო სისტემის შესახებ კანონის საფუძველზე. 1995 წლიდან არსებობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის ორგანო (თავიდან BaWe, ამჟამად კი - BaFIn), რომლის ამოცანა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლით შემოიფარგლება. ამერიკული სამართლის მაგალითზე აშკარაა, რომ გერმანიაში ამ ორგანოს უფლებამოსილებები საკმარისად დეტალურად არაა დადგენილი. დიდი ბრიტანეთის საფინანსო ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს ხელახალი ფორმირება (1997 წლამდე მისი უდიდებულესობის დედოფლის ხაზინასთან არსებული ფასიანი ქაღალდების და ინვესტიციების საბჭო - SIB, ხოლო 1997 წლის ოქტომბრიდან საფინანსო მომსახურების ზედამხედველობის სამსახური - FSA) და კომპეტენციის გაფართოებაც იმ იდეით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ ეფექტური სახელმწიფოებრივი კონტროლით არსებითი წვლილი შეიძლება იქნას შეტანილი ინვესტორების ნდობით განმტკიცების საქმეში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს როლი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სააქციო საზოგადოებებთან დაკავშირებით საკმარისი გამოცდილება არ არსებობს. ინვესტორთა სახელმწიფოებრივი დაცვის აუცილებლობა საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოცემულ "კორპორაციული მართვის პრინციპებში", მაგალითად, ერთი მითითებაც კი არ არის იმაზე, თუ რა როლი შეიძლება იქონიოს მათი განხორციელებისას სახელმწიფომ. ამერიკელი ავტორების შეხედულებით, სამეწარმეო საზოგადოებებზე რაიმე სახის სახელმწიფო ზეგავლენის დაშვება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საზიანოა, ვინაიდან ამ ქვეყნებში სანდო და კანონის ფარგლებში მოქმედი მმართველობითი აპარატის არსებობა საეჭვოა. სახელმწიფო ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად პროპაგანდა ეწეოდა ე.წ. "თვითგანხორციელებად მოდელს" (self-enforcing-model), რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ პარტნიორებს საკუთარი ინტერესების განხორციელების ყველა სამართლებრივი საშუალება მიეცეთ. პრობლემის ამგვარი ხედვა, კერძოდ, გარდამავალ ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოების არასაიმედოობა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს. მიუხედავად ამისა, მცდარია შემოთავაზებული გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო კონტროლზე მთლიანად უნდა ვთქვათ უარი. საუბარი მხოლოდ სახელმწიფო ზედამხედველობის ისეთ მოწყობაზე შეიძლება იყოს, რომელიც მისი ბოროტად გამოყენების საფრთხეს შეამცირებს.

ამ მიმართებით, მიზანშეწონილია სახელმწიფო და კერძო სექტორების წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით კორპორაციულ ქცევის ნაციონალური მეთოდოლოგიისა და მის საფუძველზე კორპორაციული ქცევის ნაციონალური პრინციპების შემუშავება, რომელთა გამოყენებითა და დანერგვით გახდება შესაძლებელი:

- მესაკუთრეებისადმი მენეჯმენტის დემოკრატიული, სამართლიანი და გამჭვირვალე დამოკიდებულების დამკვიდრება;
- მნიშვნელოვანი კორპორაციული ქმედებების მოწესრიგება;
- კორპორაციული კონფლიქტების დარეგულირების სისტემის შექმნა;
- სააქციო საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისა და მართებული მართვის ორგანიზებისათვის საფუძვლების შექმნა;

ამასთან, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი იყო და არის საყოველთაო გათვითცნობიერება ზოგადად, ხოლო კონკრეტულად, ერთის მხრივ, აქციონერების - მათი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, მეორეს მხრივ, კორპორაციის მმართველების - მათი ვალდებულებების შესახებ.

გათვითცნობიერებული აქციონერები იწყებენ თავიანთი უფლებების თავად დაცვას, აიძულებენ და მიმართავენ მენეჯერებს მეტი გახსნილობისაკენ, ხდებიან უფრო აქტიურები საერთო კრებებზე განსახილველი ყველა საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის, დივიდენდების დარიცხვა-გაცემის საკითხშიც. მენეჯერები იწყებენ ფიქრს: როგორ ილვაწონ უკეთ, შემდგომში კი მათში იბადება შიში აქტიური გათვითცნობიერებული აქციონერების მიმართ, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტნი ხდებიან.

ამდენად, პროგრესული მენეჯერების გათვითცნობიერება მიუთითებს მათ მუშაობის გაუმჯობესების ახალი მიმართულებებისაკენ, ხოლო კონსერვატორ მენეჯერებს აიძულებს, ღრმად დაფიქრდნენ და შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

გერმანიაში უკრაინელ ვარსკვლავს ელიან



C2

ტენდენცია თუ უბრალო პრაგმატიზმი





C3

ცქიტიშვილმა ფლეი-ოფში ითამაშა



C4

## ანგარიში გათანაბრდა

„თბილავიამშენი" - „სტუ ჯეოსელი" 88:83
სერიის ანგარიში - 2:2

გადამწყვეტ სტადიაში შედის საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩები. გუშინ ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში „თბილავიამშენი" და „სტუ ჯეოსელი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. „თბილავიამშენისთვის" ეს მატჩი ბოლო შანსი იყო. დამარცხების შემთხვევაში ისინი ჩემპიონატს დაასრულებდნენ. ამიტომ ლევან მოსეშვილის შეგირდები მთელი მატჩის განმავლობაში მობილიზებულნი იყვნენ და მოახერხეს კიდეც გამარჯვება. თამაშის მეორე ნახევარში განსაკუთრებით კარგად გაისარჯა ირაკლი ხოშტარია, რომელიც „თბილავიამშენის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „თბილავიამშენმა" ხუთი ქულის სხვაობით მოიგო და უფლება მოიპოვა გადამწყვეტ მატჩში მოსინჯოს ძალები. „ძალიან რთული მატჩი იყო. სხვა გზა არ გვქონდა, ამიტომ თავგანწირვით ვითამაშეთ. გადამწყვეტი მატჩი ისეთი დაძაბული იქნება, რომ რაიმე პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. ვფიქრობ, გუნდების შანსი თანაბარია, - განაცხადა „თბილავიამშენის" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა.

## ტოპმიოლერი ფინალისთვის ჩამოვა

საქართველოს ნაკრების გერმანელი მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში ქვეყნის თასის ფინალური მატჩისთვის ჩამოვა. გარდა იმისა, რომ ბატონი ტოპმიოლერი დაესწრება საქართველოს თასის ფინალურ მატჩს „ამერსა" და „ზესტაფონს" შორის, გერმანელი მწვრთნელი საქართველოში სემინარებს გამართავს. გამორიცხული არაა, ქართული სპორტის მესვეურებსაც შეხვდეს.

## დღეს დიადორას გააფორმებენ

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და კომპანია „დიადორას" შორის მოლაპარაკებები უნდა დასრულდეს. სავარაუდოდ, სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური სპონსორი უნდა გახდეს. უკვე რამდენიმე დღეა, რაც „დიადორას" წარმომადგენლები თბილისში იმყოფებიან. მათ სფფ-ს მესვეურებთან გარკვეულ შეთანხმებებს უკვე მიაღწიეს.

## ბავშვთა ტურნირი ველოტრეკზე

15 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით თბილისში, ველოტრეკის ხელოვნურსაფარიან მინდორზე გაიმართება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის იმიტირებული ტურნირი 1995-96 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. მატჩებს მსაჯი გოგონები მოემსახურებიან.

## გია ჯიქია ფალავნებს გაუძღვება

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყრილობა, რომელსაც უნდა დაესახელებინა ფედერაციის ახალი პრეზიდენტი. ყრილობამ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მხარი დაუჭირა ბიზნესმენ გია ჯიქიას. ჯიქიამ ამ პოსტზე ჩვენი ქვეყნის შვიდგზის ფალავანი ალექსი დავითაშვილი შეცვალა.

## ლამპარდი: "რუნის თამაშის იმედი აქვს"

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა: უეინ რუნის ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს. „მე რუნის დღეს თამაშის შემდეგ ვესაუბრე, - ამბობს ლამპარდი, - დარწმუნებული ვარ, ის ყველაფერს იღონებს, რომ ინგლისის ნაკრების განაცხადში მოხვდეს". არადა, ჩემპიონატზე რუნის თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია. მას ტერფზე ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ძვალი აქვს მოტეხილი. ამის გამო გერმანიაში მისი შესაძლო თამაში შეფასებულია, როგორც სასწაული. ამას უკვე ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონიც აღიარებს. „ჩვენს ცხოვრებაში სასწაულები ხდება, მაგრამ მაინც... როგორც შევიტყვე, მას რამდენიმე მოტეხილობა აქვს. ჩვენი ექიმები მანჩესტერში გადაფრინდნენ. ვიდრე ისინი საბოლოო ვერდიქტს არ გამოიტანენ, არ ვაპირებ რუნი განაცხადიდან ამოვშალო", - განაცხადა ერიქსონმა. აქვე მან თქვა, რომ ნაკრების საბოლოო განაცხადს ორშაბათს გამოაქვეყნებს. „გუნდის შემადგენლობის გამოცხადებას ორშაბათს ვაპირებ. სიაში 26-27 ფეხბურთელი შევა. იმ დრომდე, ვიდრე ექიმები არ შემატყობინებენ, რომ რუნის თამაშის შანსი არა აქვს, მას სიიდან არ ამოვშლი" - თქვა ერიქსონმა.

## მაკლარენს დღეს დანიშნავენ

დღეს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე სტივ მაკლარენი დაინიშნება. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ უკვე შეარჩია ერიქსონის მემკვიდრე. თუ უცხოური სააგენტოებით გუშინ გავრცელებულ ინფორმაციებს ვენდობით, შვედის გადადგომის შემდეგ ინგლისის ნაკრებს სწორედ სტივ მაკლარენი ჩაიბარებს, რომელმაც „მიდლსბრო" უეფას თასის ფინალში გაიყვანა.

## დიარას მომავალი ვერ გაურკვევია

ფრანგული „ლიონის" ნახევარმცველმა მაჰამადუ დიარამ განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას. „მე „ლიონში" უკვე ოთხი სეზონი გავატარე და ძალიან კარგი მომენტებიც მქონდა, - თქვა დიარამ, - კლუბთან ჩემი კონტრაქტი 2009 წელს მთავრდება, მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება ამოუცნობია".

# სოფიაში, ევროსაგზურზე სათევზაოდ

### საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძვის



*დაახლოებით ორი კვირის წინ საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრებმა კიევში, უკრაინის უმაღლესი ლიგის ღია ჩემპიონატის მეოთხე ტურში იასპარეზა (ამჟამად საქართველოს ნაკრები ამავე გათამაშებაში მეოთხე ადგილზეა, წინ კი დარჩენილი ეტაპებია.-რედ.), რასაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებებისთვის მოსამზადებელი დატვირთვაც ჰქონდა. გუშინ დილით ახალგაზრდული ნაკრები ძირითადი მისიის შესასრულებლად სოფიაში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გაემგზავრა.*

გიგა გურასაშვილი

უკრაინის ღია ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იყვნენ ხარკოვის, კიევის, ლვოვის, მარიუპოლის პირველი და სევასტოპოლის გუნდები. სოფიაში კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ქართველთა გუნდი თავის ქვეჯგუფში მთავარ საგზურს შეეცილება კვიპროსის, რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთისა და მოლდოვას ნაკრებებს. ჩვენი ნაკრები ჩამოთვლილ გუნდებს სწორედ ამ თანამიმდევრობით შეხვდება. ტურნირი დღეს აიღებს სტარტს - დებიუტშივე ორი მატჩით. დანარჩენი შეხვედრები კი თითო დღეზე გადანაწილდება. ასე რომ, დღევანდელი დღე მომავალი სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ესეც რომ არა, დღეს მთავარი მატჩი გველის რუსეთის ნაკრებთან, რომელიც ჩვენი ქვეჯგუფის ფავორიტად ითვლება.

„წლევანდელ შანსებთან და დღევანდელ მეტოქეებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მთავარი ორთაბრძოლები სწორედ მათთან მოგვიწევს. გამოვყოფ რუსეთის ნაკრებს, - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე, - საერთოდაც, რუსეთის ნაკრები ფავორიტად მიმაჩნია. და არა მარტო შესარჩევ, არამედ ფინალურ ეტაპზეც. მართალია, ევროპის ჩემპიონატზე არც რუსებს ელით იოლი გასეირნება, მაგრამ სამეულისთვის რომ იბრძოლებენ, აშკარაა. არანაკლებ მძიმე ორთაბრძოლა გველის თურქეთის ნაკრებთანაც. მართალია, თურქებს შარშან ფრედ ვეთამაშეთ, მაგრამ მას მერე მათ ძალიან მოუმატეს. სხვადასხვა ტურნირზე გამოსვლით დიდი გამოცდილება შეიძინეს, გაძლიერდნენ. ჩვენ კი ასეთ შესაძლებლობებს მოკლებული ვართ. თურქები სერიოზულად უყურებენ წყალბურთის განვითარებას. რუსეთისა და თურქეთის გუნდებს შესაძლებლობებით ჩამორჩებიან ბულგარელები, მაგრამ იმის გამო, რომ მასპინძლები არიან, გარკვეულწილად შინაური კედლებიც დაეხმარებათ".

ევროპის შესარჩევი ციკლი ორმაგად ფასობს იმ თვალსაზრისითაც, რომ შარშან, შარშანწინდელისგან განსხვავებით, კონტინენტის პირველობაზე გასამგზავრებელი საგზურის გარეშე დავრჩით. ასე რომ, წლეულს შარშანდელი შეცდომა უნდა გამოვასწოროთ. ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება პირველ-მეორე ადგილზე გასულ გუნდებს ენიჭებათ.

როდესაც ვამბობთ, საქართველოს ნაკრებიო, უნდა ვთქვათ, რომ ეს წოდება სრულად არ შეესაბამება მას. საქმე ისაა, რომ გაწუკითხაობისა და ბევრი პრობლემის გამო მთლიანად მოიშალა ისეთი ძლიერი ბაზები, როგორებიც იყო ბათუმში, ქუთაისში. აღარაფერს ვამბობთ სოხუმის წყალბურთელთა ბაზაზე. ასე რომ, მთელი დატვირთვა თბილისელებზე მოდის. თუმცა საქართველოს ახალგაზრულ ნაკრებში სამი მოსკოველი ლეგიონერია: გიორგი ხვედელიანი („მაიაკი"), მიხეილ ბაღათურია („დინამო") და ზურაბ რურუა („ცსკ ვმფ"). რაც შეეხება დანარჩენებს, ესენი არიან: ალექსანდრე ნამორაძე, ბექა ქენქაძე, ნოდარ რაფავა, ვასილ ლუტიძე, დავით ბაქრაძე, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე რუსიშვილი, დავით ქაჯაია და ვლადიმერ ბერძენიშვილი.

სოფიაში გამგზავრებამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები „ქარიშხალას" 25-მეტრიან - წყალბურთისთვის არასტანდარტულ აუზში ემზადებოდა, რაც ასეთი მნიშვნელობის შეჯიბრებისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მიზანშეუწონელია. უფრო სწორად, ასეთ აუზში არათუ წყალბურთის თამაში, ვარჯიშიც არ შეიძლება.

## აგასი ბრუნდება

ამერიკელი ჩოგბურთელი ანდრე აგასი უიმბლდონის ტურნირზე თამაშს აპირებს. მოგეხსენებათ, ანდრე უკვე კარგა ხანია აღარ გამოდის კორტზე. უიმბლდონისთვის რომ უკეთ მოემზადოს, ივნისში რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

## იაგრს ოპერაცია დასჭირდება

NHL-ის კლუბ „რეინჯერსის“ ჩეხ ფორვარდს იარომირ იაგრს შესაძლოა ოპერაცია დასჭირდეს. ჰოკეისტმა მხარი იტკინა. თავდაპირველად ტრავმა სერიოზული არ ეგონათ, მაგრამ იაგრი ტკივილებმა შეაწუხა და ალბათ საოპერაციო მაგიდაზეც მოუწევს დაწოლა. „საკვირველია, მაგრამ მაშინ, როცა ტრავმა მივიღე, მხარი საერთოდ არ მაწუხებდა, ახლა კი საშინელ ტკივილებს ვგრძნობ. საბედნიეროდ, სეზონის დაწყებამდე კიდევ ხუთი თვეა და ოპერაციის გაკეთებასაც მოვასწრებ“, - აცხადებს იაგრი.

## შუმახერი მადაზე მოვიდა

მას შემდეგ, რაც მიხაელ შუმახერმა იმოლაში გამართული ფორმულა 1-ის ეტაპი მოიგო, გერმანელი პილოტი მადაზე მოვიდა და ახლა უნგრეთში ევროპის გრან პრის მოგებასაც აპირებს. „ავსტრალიასა და მალაიზიაში წარუმატებლობის შემდეგ იმოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ მოტივაცია შეგვმატა. ახლა მომავალ რბოლაზე უნდა ვიფიქრო. იმოლაში დავამტკიცეთ, რომ „ფერარი“ ბრძოლისუნარიანი გუნდია და წარმატებას ევროპის გრან პრიზე განვავრცობთ“, - აცხადებს მიხაელ შუმახერი.

## კობის ნაკვალევზე

ლოს ანჯელეს „ლეიკერსის“ კალათბურთელს კოუმ ბრაუნს გაუპატიურებაში სდებენ ბრალს. სამშაბათს ლოს ანჯელესის პოლიციამ განაცხადა, რომ დაწყებულია საქმის გამოძიება. საკალათბურთო კლუბის ხელმძღვანელები კი ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებენ. შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ანალოგიური ბრალდების გამო მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა „ლეიკერსის“ მთავარ ვარსკვლავს კობი ბრაიანტს.

## დეზებს ლიგაში არ უშვებენ

გუშინ უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა ლარს კრისტერ ოლსენმა განაცხადა, რომ ლონდონის „ტოტენჰემი“ ვერ შეძლებს მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშს, თუ წლეულს ამ ტურნირში „არსენალი“ გაიმარჯვებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს უეფამ გამონაკლისი დაუშვა. „ლივერპული“ ინგლისის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, თუმცა ჩემპიონთა ლიგა მოიგო და ტურნირში მონაწილეობდა, როგორც მისი გამარჯვებული. უეფამ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გასული „ევერტონიც“ დაუშვა გათამაშებაში და გამოვიდა, რომ ინგლისი ჩემპიონთა ლიგაში ხუთი გუნდით იყო წარდგენილი. წლეულსაც ანალოგიური ვითარება მეორდება. „არსენალმა“, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. ინგლისში კი „მეთოფეები“ მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდნენ. თუ უეფა გასული სეზონის პრეცედენტს კვლავ დაუშვებდა, ინგლისის ამჯერადაც ხუთი გუნდი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გამონაკლისი აღარ იქნება. ამიტომ მეოთხე ადგილზე გასულ „ტოტენჰემს“ ლიგაში უკვე არავინ შეუშვებს.

## ესპანელები ფიფას უჩივიან

ესპანეთის საფეხბურთო ლიგა ფიფას უჩივის. მიზეზი კი მეტად უბრალოა: 23 აპრილს კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო „ბარსელონასა“ და „სევილიას“ მატჩი. ესპანური ფეხბურთის მესვეურებმა ეს შეხვედრა 20 მაისისთვის გადადეს, მაგრამ ფიფას განკარგულებით ეს არ შეიძლება, რადგან ყველა ქვეყნის ჩემპიონატი 15 მაისამდე უნდა დასრულდეს. სწორედ ამის გაპროტესტებას აპირებენ ესპანელები. მათ სურთ, რომ სასამართლოს ძალით მიაღწიონ საწადელს და ზემოხსენებული მატჩი 20 მაისს ჩაატარონ.

## ტოტი "რომას" ნისტელროის ურჩევს

„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი კლუბის ხელმძღვანელობას „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის რუუდ ვან ნისტელროის შეძენისთვის ბრძოლაში ჩართვას ურჩევს. ტრავმირებულმა ფორვარდმა ამ წინადადებით კლუბს მას შემდეგ მიმართა, რაც გაცხადდა, რომ „ჯალაროსის“ ხელმძღვანელობა ზაფხულის სატრანსფერო სეზონში გამოცდილი ფეხბურთელებით აპირებს გუნდის გაძლიერებას. „რამდენადაც მე ვიცი, ვან ნისტელეროი თავისმა კლუბმა ტრანსფერზე დააყენა. რამდენს ითხოვენ მის სანაცვლოდ? - 8 მილიონ ფუნტს? ვფიქრობ, ამ ნიჭიერი ბიჭის სანაცვლოდ ამდენის გაღება ნამდვილად ღირს“, - გაუზიარა მოსაზრება ტოტიმ კლუბის ხელმძღვანელობას. „მანჩესტერის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი მილანის „ინტერსა“ და მადრიდის „რეალსაც“ აინტერესებთ. რაც შეეხება თავად ფრანჩესკოს ჯანმრთელობის მდგომარეობას, მისი თქმით, სავარაუდოდ, ის გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს, თუმცა იმედს არ კარგავს და მოუთმენლად ელის ჩემპიონატზე ნაკრების ღირსების დაცვას.

# გერმანიაში უკრაინელ ვარსკვლავს ელიან

გერმანიის მუნდიალზე უკრაინის ნაკრების ფორვარდი ანდრეი შევჩენკო განსაკუთრებული გრძნობებით ჩავა. საბჭოთა პერიოდში სწორედ გერმანიაში მსახურობდა ანდრეის მამა, ფეხბურთელის უფროსი და კი ქალაქ პოტსდამში დაიბადა.

გერმანული სპორტული გამოცემები უკრაინის ნაკრებს ხშირად უწოდებენ „ერთი კაცის ფირმას“. ეს შეფასება სიმართლესთან ძალიან ახლოსაა. 1999 წელს „მილანმა“ კიევის „დინამოს“ 23 მილიონი ევრო გადაუხადა უნიჭიერეს ფორვარდში. ამ ხნის განმავლობაში ანდრეიმ იტალიური გრანდის შემადგენლობაში 127 გოლი გაიტანა. იგი უკრაინის ნაკრების უპირობო ლიდერიცაა.

ამას წინათ ანდრეიმ გაზეთ „ბილდის“ ჟურნალისტებისთვის სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. როგორია უკრაინელი ვარსკვლავი გერმანელი „ბიურგერების“ აზრით? პრესკონფერენციაზე ანდრეი პოლიეთილენის ორი პაკეტით მივიდა. პაკეტები იქვე, კუთხეში დაალაგა და შეკრებილ ჟურნალისტებს მიმართა: „დავიწყოთ, თორემ ძალიან ცოტა დრო მაქვს და შეიძლება თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ვერ გიპასუხოთ“

**- ჰერ შევჩენკო, თქვენ კინაღამ გერმანიაში დაიბადეთ...**

- მართალი ბრძანდებით. მამაჩემი, ნიკოლაი, დიდხანს მსახურობდა საბჭოთა არმიის კაპიტნის რანგში ქალაქ პოტსდამში. ჩემს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე კი მშობლები უკრაინაში დაბრუნდნენ.

**- ალბათ მამათქვენს სურდა, რომ თქვენ სამშობლოში დაბადებულიყავით...**

- ამ კითხვაზე ზუსტად ვერ გიპასუხებთ. შესაძლოა, უბრალოდ სამშობლო მოენატრა და დაბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც კვლავ შესთავაზეს გერმანიაში მუშაობა, რაც მისი კარიერისთვის ნამდვილად კარგი იქნებოდა, მამამ უარი თქვა და ოჯახთან ახლოს ყოფნა ამჯობინა.

**- რას გულისხმობთ?**

- მას არ უნდოდა ჩვენ ჩვეული გარემოსგან მოვეწყვიტეთ. მაშინ მე უკვე კიევის „დინამოს“ ბავშვთა სკოლაში ვვარჯიშობდი, ჩემი და გიმნაზიაში სწავლობდა. მამამ ჩვენს გამო ფაქტობრივად საკუთარი კარიერა გაწირა. იმ სამსახურზე რომ დათანხმებულიყო, უკეთესი ფინანსური პირობებიც ექნებოდა და სამხედრო კარიერაშიც დაწინაურდებოდა. ახლა, როცა მის საქციელს ვუკვირდები, ვხვდები, რომ სწორად მოიქცა. გერმანიაში ნამდვილად ვერ გავხდებოდი ფეხბურთელი.

**- მამა გერმანიაზე თუ გიყვებოდათ?**

- ამის აუცილებლობა ნამდვილად არ ყოფილა. ჭაბუკობაში კიევის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდთან ერთად საკმაოდ ხშირად ვსტუმრობდი გერმანიას. არაერთ ტურნირში მიმიღია მონაწილეობა.

**- კერძოდ, რომელ ქალაქებში?**

- ყველა ქალაქს ალბათ ვერ გავიხსენებ. ერთი ტურნირი კი არასდროს დამავიწყდება. 1989 წელს, 13 წლის ასაკში, კიოლნში გაიმართა ტურნირი. მაშინ ერთ-ერთ გერმანულ ოჯახში ვცხოვრობდი, რომელიც საოცრად სტუმართმოყვარე აღმოჩნდა.



ანდრეი მეუღლესთან და შვილთან ერთად.

**- ბავშვობაში როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე დასავლეთ ევროპამ?**

- ყველაფერი განსხვავებული იყო. საკვები, ტანსაცმელი, მანქანები, ტელევიზია. გერმანელები თავისუფალი ხალხი იყო, ჩვენ კი კომუნისტურ რეჟიმში გვიწევდა ცხოვრება.

**- რას ფიქრობდით მაშინ გერმანელებზე?**

- რეალურად მხოლოდ ერთი ოჯახი გავიცანი. გერმანელების ფუნდამენტური შეფასების საფუძველი კი ნამდვილად არ მქონია. რაც შეეხება იმ ოჯახს, ყველაფერი ბრწყინვალე იყო. ისე, გერმანელებს ვერც ახლა შევაფასებ, რადგან იქ არასდროს მიცხოვრია. ვიცი, რომ გერმანელები უაღრესად დიდი სერიოზულობით გამოირჩევიან - თუ რაიმე გადაწყვიტეს, მიზანს აუცილებლად მიაღწევენ.

**- კეთილსინდისიერება - ეს არის გერმანელების მთავარი ნიშანი. უკრაინაში კიდევ რა იციან გერმანელებზე?**

- არ ვიცი. ამბიციები არასოდეს მაწუხებდა. მთელი უკრაინის მაგივრად ხომ არ ვილაპარაკებ. ერთი კია: მანქანები მართლაც ძალიან კარგი გაქვთ (სიცილით).

**- ცნობილია, რომ მანქანები თქვენი გატაცებაა. გყავთ თუ არა გერმანული წარმოების ავტომობილი?**

- რა თქმა უნდა. მყავს ორი „პორშე“ - „ტურბო“ და „კარერა“. გარდა ამისა, „მერსედესი“ და BMW X5. მანქანებით გატაცება კი წარსულს ჩაბარდა. მას შემდეგ, რაც ბავშვი შემეძინა, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ახლა მეოჯახე ვარ და ძირითადად ვსარგებლობ - ჯიპი „რენჯ როვერი“, რომელშიც მთელი ოჯახი თავისუფლად ეტევა.

**- მოდით, ისევ უკრაინელებისა და გერმანელების ურთიერთობას დავუბრუნდეთ. ისევ არსებობს თუ არა უკრაინაში ზიზღი გერმანელთა მიმართ? მეორე მსოფლიო ომის დროს ხომ უკრაინელი ხალხი ვერმახტის ჯარებმა საკმაოდ დააზარალა...**

- ომი ომია. ეს არის ყველაზე დიდი საშინელება ცხოვრებაში. ბაბუაჩემი ომის დროს ტყვედ ჩავარდა, ორი წელი საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულია. თანაც გერმანელებმა საკმაოდ ბევრი გააკეთეს დანაშაულის გამოსასყიდად. ახლა ბაბუაჩემი 83 წლისაა და გერმანია დღემდე უხდის პენსიას.

**- უკრაინის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს თქვენი ქვეყნისთვის?**

- ჩემთვის, ხალხისთვის და ჩემი ქვეყნისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით უკრაინული ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით. გვაქვს საშუალება შევიძინოთ უნიკალური გამოცდილება. ეს მიღწევა ასევე ემსახურება უკრაინელი ხალხის თვითშეგნებისა და თავდაჯერების ამაღლებას. ხალხი ხედავს, რომ უკრაინელებს ბევრი რამ შეგვიძლია.

**- ოთხი წლის წინ უკრაინამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის ბრძოლაში გერმანიის ნაკრებთან დათმო ფლეიოფის მატჩები...**

- ამას ნუღარ გავიხსენებთ. მაშინ ამჯერად უფრო სუსტები ვიყავით, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი ქვეყნიდან კარგი გუნდი გვყავდა.

**- უკრაინის ნაკრებმა შესარჩევი ციკლის ბარიერი გადალახა. მუნდიალზე რა გეგმები გექნებათ?**

- ფინალურ ეტაპზე გასვლა ჩვენთვის უკვე დიდი წარმატებაა. ძალიან ვეცდები, რომ ჯგუფური ეტაპის გადალახვისთვის ბრძოლებში ვითამაშოთ. უკრაინის ნაკრების უპირატესობა ისაა, რომ ჩვენ თავისუფლად ვითამაშებთ. ჩვენ ჩემპიონობას არავინ გვთხოვს. ჩვენ ხომ ბრაზილიის ან გერმანიის ნაკრები არ ვართ.

**- ერთხელ თქვით: „მე კარგი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ ვერასდროს გავხდები დიდი ფეხბურთელი, თუ მსოფლიო ჩემპიონატზე არ ვითამაშე“. ვიხილავთ თუ არა გერმანიაში დიდ ანდრეი შევჩენკოს?**

- ყოველთვის ვოცნებობდი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვსულიყავი. საკლუბო დონეზე ყველაფერი მოგებული მაქვს. ერთადერთი, რაც მაკლია, ეროვნულ გუნდთან ერთად მოპოვებული დიდი წარმატებაა. უკვე ათი წელია ნაკრებში ვთამაშობ და, როგორც იქნა, რაღაც მნიშვნელოვანი გავაკეთე.

**- მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირობა არ გინდათ?**

- პირად მიღწევებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, გუნდმა მიაღწიოს შედეგს.

**- ეგ ჯერ კიდევ მაშინ დაადასტურეთ, როდესაც კიევის „დინამოში“ თამაშობდით და თქვენთან ერთად გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. თქვენი წასვლის შემდეგ კი ჯგუფური ეტაპის ბარიერიც ვერ გადალახა.**

- კიევის „დინამოს“ ვერ შევადარებთ „რეალსა“ და „მილანს“. უკრაინულ კლუბს დიდი ფინანსური შესაძლებლობები არა აქვს. ამიტომაა, რომ საუკეთესო უკრაინელი ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ.

**- დონეცკის „შახტარის“ მფლობელი მილიარდერია და კლუბშიც საკმაოდ დიდ ფულს დებს. შეძლებს თუ არა ეს კლუბი ევროპული გრანდების დონეზე გასვლას?**

- ვერა. ვინაიდან არასდროს ექნება ისეთი ბიუჯეტი, როგორიც „მილანს“ ან „რეალს“ აქვს. „შახტარი“ ვერასდროს იყიდის ისეთ ფეხბურთელებს, რომელთა ყიდვაც გრანდებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ უკრაინული კლუბები ადგილობრივ კადრებზე გააკეთებენ აქცენტს და მხოლოდ ერთიორი უცხოელის შეძენით შემოიფარგლებიან.

**- 1999 წელს „მილანში“ გადახვედით. იმ დროს თქვენს შეძენას არაერთი გრანდი ლამობდა. რომელიმე გერმანული კლუბიდან ხომ არ გქონიათ შეთავაზება, მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნიდან“?**

- არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არაფერია ცნობილი.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- შესაძლოა, „დინამოს“ ხელმძღვანელებმა „ბაიერნის“ შემოთავაზება მიიღეს კიდეც. მაშინ ჩემი საქმეებით კლუბის ხელმძღვანელობა იყო დაკავებული და ერთ მშვენიერ დღეს მითხრეს, ყველაზე კარგი პირობები „მილანისგან“ მივიღეთო.

**- თქვენთან მართლა არავინ საუბრობდა შესაძლო ტრანსფერზე?**

- ვიცოდი, რომ ჩემით სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ არ ვიცოდი, კონკრეტულად რა კლუბებზე იყო საუბარი. თანაც, „მილანში“ გადასვლა მე თვითონაც მინდოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს კლუბის ხელმძღვანელობა ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს.

**- ახლა ვითარება სხვაგვარია, რამდენად შეიცვალა უკრაინაში ცხოვრება?**

- ხალხი უფრო თავისუფალი გახდა. პირველ რიგში იმის გამო, რომ დასრულდა კომუნისტური წყობა. თუმცა პრობლემები კვლავაც არსებობს. მაგალითად, უმუშევრობა. ცხადია, ზუსტ შეფასებას უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ვერ მივცემ. ბოლოს და ბოლოს, უკვე შვიდი წელია იტალიაში ვცხოვრობ.

**- 2005 წლის დასაწყისში გერმანიაში დიდი სკანდალი მოხდა უკრაინელი არალეგალების შესვლის გამო. როგორ ფიქრობთ, რატომ ცდილობენ თქვენი თანამემამულეები გერმანიაში გადასვლას?**

- გერმანიაში ბევრი სამუშაო ადგილი და ნორმალური ანაზღაურებაა. ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ უკრაინის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება ნორმალურად ვითარდება.

**- გერმანიაში ჩასული ბევრი უკრაინელი გოგონა პროსტიტუციით შოულობს ფულს. ისინი კრიმინალებს შეყავთ გერმანიაში...**

- ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. საერთო ჯამში უკრაინაში კრიმინალური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ეს ფაქტია. ცხოვრებაც უფრო უსაფრთხო გახდა.

**- თქვენ თუ დაბრუნდებით ოდესმე სამშობლოში, მაგალითად, ფეხბურთელის რანგში?**

- ახლა ამის წარმოდგენა ცოტა რთულია. ასეთი რამ ალბათ არ მოხდება.

**- დაბოლოს, ერთი კითხვა თქვენს ცნობილ თანამემამულეზე. ვიტალი კლიჩკომ კარიერა დაასრულა. გული ხომ არ დაგწყდათ?**

- შევიტყვე თუ არა ამის თაობაზე, მესიჯი გავუგზავნე. ვიტალი ჩემი მეგობარია. სამწუხაროა, რომ კრივს თავი დაანება, თუმცა გადაწყვეტილება მიიღო როგორც ნამდვილმა მამაკაცმა და ამას პატივი უნდა ვცეთ.

# ვილია ვალენსიელი

მიმდინარე სეზონში ესპანურ ინჩადას ახალი კერპი გამოუჩნდა - სულ ორიოდე კვირის წინ „ვალენსიას“ ესპანელმა თავდამსხმელმა დავიდ ვილიამ ვინ მოთვლის, მერამდენედ მოახდინა თავისი ბომბარდირული თვისებების დემონსტრირება. ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ მატჩში 24 წლის ვილიამ თავის ანგარიშზე სამი გოლი მიითვალა და ეს სულ რაღაც ექვს(!) წუთში მოახერხა. თავის დროზე უკეთესი მიღწევა ჰქონდა ლეგენდარულ ბებეტოს, რომელმაც 1995-96 წლების სეზონში „დეპორტივოში“ ბურთაობისას იმავე დროში „ალბასეტეს“ კარში ოთხი ბურთი შეაგდო.

„ატლეტიკოსთან“ შესრულებული ჰეთ-თრიქი „სარაგოსას“ ყოფილი თავდამსხმელის ოსტატობის ერთი კონკრეტული მაგალითია. ტყუილად კი არ უწინასწარმეტყველა „ლივერპულის“ ესპანელმა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა თანამემამულე ახალგაზრდას დიდი მომავალი. მისივე თქმით, ვილია წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრების უპირობო ლიდერი იქნება და მეორე ვუნდერკინდთან, „ატლეტიკის“ თავდამსხმელ ფერნანდო ტორესთან ერთად ანგარიშგასაწევ დუეტს შექმნის.

ფეხბურთის ბევრი სპეციალისტი იმასაც ვარაუდობს, რომ გერმანიაში ვილია თავისი თამაშით გაუტოლდება ისეთ გრანდებს, როგორებიც თავის დროზე იყვნენ პაოლო როსი, ტოტო სკილაჩი, გარი ლინეკერი, გერდ მიულერი, რონალდო და ძმანი მათნი.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ 24 წლის თავდამსხმელს „ვალენსიას“ ყველა დროის საუკეთესო გოლეადორის მარიო კემპესის რეკორდისგან მხოლოდ ერთი გოლი აშორებს. ამ უკანასკნელმა „ღამურების“ შემადგენლობაში ჩატარებულ სადებიუტო სეზონში 24 გოლის გატანა შეძლო.

არადა, როცა ესპანეთის პატარა ქალაქ ლანგეროში დაბადებულ დავიდს 14 წელი შეუსრულდა, მისი მშობლები ძნელად დაიჯერებდნენ, რომ მათი შვილი ფეხბურთს გაჰყვებოდა და მეტოქეთა რისხვა გახდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ 14 წლისას ფეხბურთი რატომღაც მოსაწყენ საქმედ მოეჩვენა, მწვრთნელიც აითვალწუნა და თამაშისთვის თავის დანებება გადაწყვიტა. უნდოდა მამის კვალს გაჰყოლოდა (მამა - ხოსე მანუელ ვილია მეშახტე იყო).

„ახლა ყველაფერი იმაზე კარგად არის, ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი. ესპანეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის ღირსებას ვიცავ, 14 წლისას კი ფეხბურთის მიტოვება მინდოდა, - გამოუტყდა ვილია ესპანური გამოცემის „ელ პაისის“ ჟურნალისტებს, - მაშინ ფეხბურთის წყალობით ფულს ვერ ვშოულობდი, თან მთელი სეზონი სკამის ხეხვა მიწევდა. მაგრამ მამა ყოველთვის მამხნევებდა და იქამდე მედგა გვერდში, სანამ კარიერაში გარკვეულ წარმატებას არ მივაღწიე. მამაჩემს პროფესიულ დონეზე არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, მაგრამ ყოველთვის ოცნებობდა, მე გამეკეთებინა ის, რაც თავად ვერ განახორციელა. ერთხელაც ორივე დავრწმუნდით, რომ უკვე შემეძლო ისეთ დონეზე თამაში, როცა ფეხბურთელობა ჩემი და ჩემი ოჯახის კომფორტულად ცხოვრებას უზრუნველყოფდა“.

დავიდ ვილია იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თანამედროვე ფეხბურთის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებენ. ის ერთნაირად კარგად თამაშობს ორივე ფეხით, შეუდარებელია „მეორე სართულზე“ ბრძოლისას, ძლიერია როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ისე გამორჩეული დრიბლინგით. გარდა ამისა, უკვე ჩამოუყალიბდა პროფესიონალი ფეხბურთელის თვისებებიც - გოლები მისთვის მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაშია მნიშვნელოვანი.

მაგალითად, გასულ სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „სარაგოსას“ ღირსებას



24 წლის დავიდ ვილიამ ამ სეზონში უკვე 22 გოლი გაიტანა.

იცავდა, იკერ კასილასის კარში გატანილი მისი გოლი „ბერნაბეუს“ ინჩადასთვის დღემდე დაუვიწყარია. ვილიამ გზად ჩამოიშორა ივან ელგერა, მიჩელ სალგადო, ვალტერ სამუელი და კასილასს აუღებელი დაურტყა. ამ შესანიშნავი გოლის მიუხედავად, „სარაგოსამ“ ის მატჩი „სამეფო კლუბთან“ 1:3 წააგო.

„შესაძლოა, ჩემს კარიერაში ეს ყველაზე ლამაზი გოლი იყო, მაგრამ არა საუკეთესო, რადგან მან გუნდს გამარჯვება ვერ მოუტანა“, - იხსენებს კასილასის კარში გატანილ გოლს ვილია.

2005-06 წლების სეზონის დასაწყისში „ვალენსიამ“ ვილიას სანაცვლოდ 12 მლნ. ევრო გაადაიხადა. 22 წლის ფორვარდს არც „მესტალიაზე“ შეურცხვენია თავი. შედეგად, „ღამურების“ ხელმძღვანელობამ რამდენიმე თვეში ფეხბურთელს გრძელვადიანი კონტრაქტი დაუდო, რომლის თანახმად ვილია გუნდის ღირსებას 2011 წლამდე დაიცავს. მისი ფასიც ერთიორად გაიზარდა. თუ ადრე რომელიმე სხვა კლუბს თავდამსხმელის შეძენის სურვილი გაუჩნდებოდა, მასში 60 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა, ახლა კი მსურველებს ორჯერ მეტის გადახდა მოუწევთ.

„ბოლო წლებში ფეხბურთი ჭკუიდან შეიშალა. თუმცა, პირადად მე სიამოვნებით გავცვლიდი ჩემს კონტრაქტს „ვალენსიას“ გაჩემპიონებაზე“, - ამბობდა მის სანაცვლოდ დაწესებული საფასურით გაოცებული ვილია.

„ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა ვილიას უდიდესი პოპულარობის გათვალისწინებით, ფორვარდს პრესასთან ურთიერთობისგან თავი შეეკავებაც ურჩია. ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ვილია ამბობდა: „როცა მედიის წარმომადგენლები დაჟინებით ითხოვენ შენთან შეხვედრას, ეს ნიშნავს, რომ ან ძალიან უკმაყოფილოები არიან შენით, ან ძალიან კმაყოფილები. ჩემს შემთხვევაში მგონი უფრო მეორე ვარიანტია“.

რაც შეეხება გერმანიის მომავალ მუნდიალს, რაღა თქმა უნდა, ესპანელი თავდამსხმელი იმედიანადაა განწყობილი: „კარგად მესმის: როცა ასეთი დონის ტურნირზე გიწევს გამოსვლა, რა თქმა უნდა, მხოლოდ გამარჯვებას უნდა ისახავდე მიზნად „.

„ვალენსიას“ ფორვარდის მიზანდასახულობა გერმანიაში გამოჩნდება. შესაძლოა, ესპანეთის ნაკრებმა ახალგაზრდა ვუნდერკინდის წყალობით მართლაც შეძლოს იმ გამარჯვების მოპოვება, რომლისთვისაც მას 40 წელია არ მიუღწევია.

## ინფოთეკა

### ვინუსი გამარჯვებით დაბრუნდა

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ვინუს უილიამსმა წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა - ვარშავაში მიმდინარე J&S-ის ქალთა ტურნირზე პოლონელი ჩოგბურთელი ურსულა რადვანსკა დაამარცხა.

სექტემბერში მიღებული ტრავმის გამო უილიამსი კარგა ხანს ვერ თამაშობდა. გამოჯანმრთელების შემდეგ კი პირველივე მატჩი ავსტრალიის ღია პირველობის საწყის რაუნდში დათმო.

ვარშავაში, წლევანდელ რიგით მეორე მატჩში ვინუსმა ადვილად სძლია 15 წლის რადვანსკას - 6:3, 6:3.

ამერიკელი ჩოგბურთელის თქმით, ის კორტზე დაბრუნებას ისე იყო მოწყურებული, რომ უზომოდ ბედნიერია რადვანსკას დამარცხებით.

„ვფიქრობ, დღევანდელი გამარჯვებით კარგი სტარტი ავიღე. ჩემთვის ახლა თითოეული მატჩი მნიშვნელოვანია, რათა წინანდელი ტემპი ავიღო", - თქვა მატჩის შემდეგ ვინუს უილიამსმა, რომელსაც მეორე რაუნდში მარტინა ჰინგისთან მოუწევს პაექრობა.

„მარტინას დაბრუნებით ყველა ბედნიერია. გამონაკლისი არც მე ვარ. ვფიქრობ, მე და მარტინა ბრწყინვალე მატჩის დემონსტრირებას მოვახდენთ", - განაცხადა ამერიკელმა.

### კანუ "ვესტ ბრომვიჩთან" აწარმოებს მოლაპარაკებას

„ვესტ ბრომვიჩის" ფორვარდმა ნვანკვო კანუმ განაცხადა, რომ აპირებს თავისი მომავლის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას დაელაპარაკოს. თუმცა საუბარი „ევერტონთან" პრემიერლიგის მატჩის შემდეგ გაიმართება. „მე უნდა გავესაუბრო კლუბის შეფობას და გადავწყვიტო, შემდგომში როგორ იქნება ჩემი საქმე. საბოლოო გადაწყვეტილება არა მხოლოდ კლუბზე, არამედ პირველ რიგში ჩემზე იქნება დამოკიდებული. ჩემპიონატის დასრულებას დაველოდები და შემდეგ მოლაპარაკებას გავმართავ", - განაცხადა კანუმ.

### რუსული ნოვაცია

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ფულის შოვნის საკმაოდ მარტივ მეთოდს მიაგნო. რუსული ფეხბურთის მამებს გადაწყვეტილი აქვთ თავად შექმნან ტოტალიზატორების ქსელი და ამით შემოსავლებიც მიიღონ.

მართალია, თანამედროვე ცხოვრებაში ტოტალიზატორები უცხო ხილი ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ არ ვცდებით, პირველი შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთის ჩინოსნები თავად აპირებენ ტოტალიზატორის გახსნას.

ისედაც ხშირია საუბარი, რომ რუსეთის ჩემპიონატში თამაშების დიდი ნაწილი ჩაწყობილია. ახლა თავად განსაჯეთ რა მოხდება, თუ რუსეთის საფეხბურთო კავშირი ტოტალიზატორების მთელი ქსელის მფლობელი გახდება.

### "ნანტი" უპატრონოდ რჩება

საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე კლუბმა „ნანტმა" შესაძლოა მთავარი აქციონერი დაკარგოს. მეწარმე სერჟ დასო კლუბთან ურთიერთობის შეწყვეტას აპირებს. მართალია, „იადონების" პრეზიდენტი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ამის თაობაზე ფრანგულ მედიაში ინფორმაცია თავად დასოს წარმომადგენელმა გაავრცელა.

### მორიგი უცხოელი "სპარტაკში"

მოსკოვის „სპარტაკი" ცდილობს შეიძინოს ვერონული „კიევოს" 25 წლის ფორვარდი ამაური. ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტმა განცხადა, რომ მას და მის კლიენტს რამდენიმე საინტერესო შეთავაზება აქვთ, თუმცა ყველაზე საინტერესო რუსული გუნდიდან მიიღეს.

# ტენდენცია თუ უბრალო პრაგმატიზმი

რამდენიმე დღის წინ ერთ საინტერესო საუბარს შევესწარი. ორი გულშემატკივარი კამათობდა. ერთი დაჟინებით უმტკიცებდა მეორეს, რომ „არსენალი" ფინალში დაუმსახურებლად გავიდა. ლონდონში „ვილიარეალს" პენალტი არ მისცეს, ესპანეთში კი რიკელმეს რომ გაეტანა, ფინალშიც „ვილიარიეალი იქნებოდაო, - ამბობდა ერთი. მეორე კი მშვიდად პასუხობდა: მერე რა, ფინალში მაინც „არსენალი" გავიდა, ფინალში კი დაუმსახურებლად არავინ ხვდებაო. საერთოდ, კამათი იმაზე, თუ რამდენად დამსახურებულია ამა თუ იმ გუნდის თამაში ფინალში, ყოველგვარ აზრს მოკლებულია, მოკამათეები ძირითადად საკუთარი სიმპათია-ანტიპათიის ნიადაგზე აგებენ მსჯელობას. ნებისმიერი ასე თუ ისე ნორმალური ტურნირი კი ერთი მატჩისგან არ შედგება და შედეგზეც მთელი ტურნირიდან გამომდინარე უნდა ვსაუბრობდეთ. ამის გათვალისწინებით, ალბათ უადგილოა იმის მტკიცება, რომ რომელიმე გუნდს ფინალში თამაში არ დაუმსახურებია.

ორი გოლი ოთხ ნახევარფინალურ მატჩში, დამეთანხმებით, ძალიან ცოტაა. სკეპტიკოსები უკვე იმასაც ამბობენ, რომ ეს თანამედროვე ფეხბურთის ახალი ტენდენციაა და დღევანდელი ფეხბურთი მთლიანად საკუთარი კარის დაცვაზეა ორიენტირებული. ამის თქმის საფუძველი თითქოს არსებობს. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტები ხომ საფეხბურთო მოდის კანონმდებლები არიან. თუმცა, ამაზე ფიქრისას ერთი მატჩი გამახსენდა. ჩემპიონთა ლიგის ესპანური ფინალი „რეალსა" და „ვალენსიას" შორის. ეს იყო უაღრესად გახნილი და სანახაობრივი მატჩი და თუ ამ მატჩს ახალი ტენდენცია უნდა დაემკვიდრებინა, რატომ მოჰყვა მას ჩემპიონთა ლიგის იტალიური ფინალი „მილანსა" და „იუვენტუსს" შორის. ტენდენციები ერთი, ან თუნდაც ოთხი თამაშის შემდეგ არ ყალიბდება. ადამიანის ამქვეყნად მოსვლას ცხრა თვე სჭირდება, ტენდენციის დამკვიდრებას კი, ვინ იცის, რამდენი დრო... ერთი რამ აშკარაა: მხოლოდ ერთი ევროსეზონით და ოთხი ნახევარფინალური მატჩით ევროპული ფეხბურთის ტენდენციებზე საუბარი უადგილო იქნებოდა.

ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშობს ორი გუნდი. მათგან თითოეულს ფინალში გასასვლელად ერთი გოლის გატანაც ეყო. რატომ გავიდა ფინალში ორი გუნდი, რომელთა მთავარი დამსახურება საკუთარი კარის მშრალად შენახვა აღმოჩნდა?

დავიწყოთ „არსენალით", გუნდით, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში ათი მატჩის განმავლობაში არ გაუშვია გოლი. ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ ათი შეხვედრის განმავლობაში „არსენალის" კარში არაერთი გოლის გატანა იყო შესაძლებელი. გაუშვებდა ლონდონური კლუბი გოლს და რა შეიცვლებოდა. უბრალოდ, არ იქნებოდა რეკორდი და მეტი არაფერი. „არსენალი" ზუსტად იმავე ფეხბურთს ითამაშებდა, რომლის წყალობითაც გააღწია ფინალში.




*იმედია, რონალდინიო ფინალშიც იცეკვებს.*

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ერთი რამ. რამდენი წელია ვენგერის გუნდი ულამაზეს ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ევროპულ წარმატებამდე „მეთოფეებს" ბევრი უკლდათ. „არსენალი" ინგლისურ პრემიერლიგაში ყველაზე ევროპულ ფეხბურთს თამაშობს და თამაშობდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. ახლა კი გუნდი ოდნავ შეიცვალა. ვენგერი ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს, თამაშის სტილი თიქოს იგივეა, მაგრამ არც ისეთი სანახაობრივი, როგორიც თუნდაც ორი-სამი სეზონის წინ. სამაგიეროდ ჩვენს თვალწინაა შედეგი. შეიძლება ითქვას, რომ არსენ ვენგერმა პრაგმატიზმს სანახაობრობა შესწირა და ამით იხეირა კიდეც. ამ სეზონში „არსენალის" ფეხბურთელები არ ბრწყინავენ, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გუნდმა სწორედ ახლა მიაღწია შედეგს.

„ბარსელონა" კი საერთოდ სხვა თემაა. „ბარსამ" გაგვაკვირვა ჩვენც, „მილანიც" და ყველა. უალლატა თუ არა „ბარსელონამ" „მილანთან" თამაშში საკუთარ თავს? მართალია, მატჩები „ბენფიკასთან" და „მილანთან" ნულოვანი ფრით დასრულდა, მაგრამ მათ ერთ კატეგორიაში ვერ გავიყვანთ. „ბენფიკასთან" შეხვედრაში ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ბარსელონა" ვნახეთ, რომელიც ბევრს უტევდა და ლამაზ ფეხბუთრსაც ქადაგებდა. უბრალოდ, მაშინ რაიკაარდის გუნდს არ გაუმათრლა. „მილანთან" შეხვედრა კი სულ სხვა ისტორიაა. იტალიურ გუნდთან დაპირისპირებაში ჩვენ ვხედავდით და ვგრძნობდით მწვრთნელის ნააზრევს. „ბარსა" ისე თამაშობდა, კაცი იფიქრებდა, ეს რაიკაარდის კი არა, მოურინიოს გუნდიაო. მაგრამ საგულისხმოა ერთი რამ: „ბარსელონა" „მილანთან" თამაშამდე და მის შემდეგაც ისევ იმ ლაღ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, რომელსაც შეგვაჩვია. ერთი სიტყვით, „ბარსელონამ" მხოლოდ „მილანის" წინააღმდეგ ითამაშა ასე და დაამტკიცა, რომ საჭიროების შემთხვევაში არც პრაგმატულ ფეხბურთს თაკილობს.

მოკლედ, ორივე გუნდს შეუძლია მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული ფეხბურთის თამაში. უგოლო ნახევარფინალების შემდეგ ფინალს ოდნავი შიშით ველით. ვაითუ, პრაგმატიზმმა ისევ დაჩრდილოს ორივე გუნდისთვის მისაღები და საყვარელი ლაღი ფეხბურთი, მაგრამ ნუ დავივიწყებთ გასულ ფინალს, წინასწარ ნუ გავაკეთებთ ასეთ არასასიამოვნო პროგნოზებს.

# გარი ნევილის 500-მატჩიანი იუბილე

„მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტნის, ინგლისელი გარი ნევილისთვის პრემიერლიგის 38-ე ტურში „მიდლსბროსთან" გამართული მატჩი მისთვის საიუბილეო, რიგით მეხუთასე გამოდგა.

31 წლის მცველმა ამ გუნდის მაისურა პირველად 14 წლის წინ, 1992 წელს მოირგო. მას მერე ძმისგან, ფილ ნევილისგან განსხვავებით, რომელიც სეზონის დასაწყისში „ევერტონში" გადავიდა, ამ კლუბის ღირსებას იცავს. ამ ხნის განმავლობაში გარი ნევილმა „მანჩესტერთან" ერთად უამრავი ტიტული მოიგო - ექვსჯერ პრემიერლიგის, სამჯერ ინგლისის თასის, ერთხელაც ჩემპიონთა თასის მფლობელი გახლავთ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეჭვგარეშეა, გარი ნევილი ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მცველის სახელს დაიმკვიდრებს. რაც შეეხება მის სანაკრებო მიღწევებს, ეროვნულ გუნდთან ერთად ნევილს არაფერი ღირებულისთვის არ მიუღწევია. 2002 წელს კი ტრავმის გამო ნაკრებს ვერც კორეა-იაპონიაში გაჰყვა.

ბუნებრივია, ნევილის 500-მატჩიან იუბილეს ინგლისური პრესაც გამოეხმაურა:

**- შთამბეჭდავ იუბილეს მოვესწარით - ხუმრობა ხომ არ არის, ერთი კლუბის მაისურით 500 მატჩი გამართეთ. როგორ შეაფასებთ განვლილ კარიერას?**

- დღევანდელი გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ჩემთვის დაუვიწყარია „მანჩესტერში" ჩატარებული პირველი მატჩი, რომელიც 1992 წლის 16 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედოსთან" მქონდა. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ „ოლდ ტრაფორდზე" 500 მატჩს ვითამაშებდი. ყველა ამ შეხვედრიდან უდიდესი სიამოვნება მივიღე და ბედნიერი ვარ, რომ გუნდის წარმატებებში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე. ასე მგონია, სხვა კლუბში რომ მეთამაშა, ასეთი ნაყოფიერი ვერ ვიქნებოდი.

**- სადამდე აპირებთ საიუბილეო ციფრის გაზრდას, კონკრეტული რიცხვი ხომ არ გაქვთ დასახული?**



*გარი ნევილი „მანჩესტერის" მაისურით 500 მატჩი გამართა.*

- ფეხბურთელის ამბიცია მატჩიდან მატჩამდე იზრდება. 17 წლისა, მაშინ, როცა კლუბში მოვედი, 500-ზეც ვერ ვიფიქრებდი. მახსოვს, ერიკ კანტონა ახალბედებს ხშირად გვეუბნებოდა ხოლმე - ნაღდმა ფეხბურთელმა ასი მატჩი მაინც უნდა ჩაატაროსო. ასის მერე ორასზე ფიქრობ, მერე სამასზე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, სეზონიდან სეზონამდე მადა გემატება.

**- ეს თოთხმეტი წელი შეუმჩნევლად გაფრინდა?**

- როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა. ზოგჯერ მიჭირს იმის დაჯერება, რომ ამდენი წელია „მანჩესტერში" ვთამაშობ. მაგრამ ყოველი ახალი სეზონის წინ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს პირველად ვთამაშობ. ამიტომ რაღაც განსაკუთრებული ჟინით გავდივარ მოედანზე.

**- ამ ხუთასი მატჩიდან ერთი რომელიმეს გამოყოფა რომ შეგეძლოთ, რომელს გაიხსენებდით?**

- ჩემს მეხსიერებას ოთხი დაუვიწყარი მატჩი შემორჩა. პირველი, 1993 წელს ინგლისის თასზე „ლიდს იუნაიტედთან" გამართული შეხვედრაა, რომელიც 1:4 წავაგეთ. მეორე 1995 წლის პრემიერლიგის მატჩია „ვესტ ჰემთან" - სეზონის ბოლოს უმნიშვნელოვანესი თამაში დავთმეთ და ჩემპიონობა ქარს გავატანეთ. მესამე 1997 წელს ევროპის თასზე დორტმუნდის „ბორუსიასთან" მარცხია. დაბოლოს, მეოთხე - 2002 წელს ლევერკუზენის „ბაიერთან" წაგება. ოთხივე მათგანი ჩემთვის დაუვიწყარი და დრამატული თამაშია და არასოდეს დამავიწყდება. ეს მატჩები რომ არ წაგვეგო, ახლა ცოტა მეტი ტიტულის მფლობელი ვიქნებოდი.

**- თებერვალში 31 წლის გახდით. კიდევ რამდენ ხანს აპირებთ „მანჩესტერში" დარჩენას?**

- მინდა ფეხბურთთან გასამოსამშვიდობებელი მატჩი 39 წლის ასაკში ვითამაშო. რა თქმა უნდა, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, რა და როგორ იქნება. ერთი რამ კი ცხადია: მარადიული არაფერია, ისევე როგორც ჩემი ფეხბურთელობა. ყოველ შემთხვევაში, როცა არ უნდა წავიდე „მანჩესტერიდან", სიცოცხლის ბოლომდე ამ კლუბის მადლიერი ვიქნები. „ოლდ ტრაფორდზე" ბევრი დაუვიწყარი წუთი მაქვს გატარებული. მარტო ის რად ღირს, რომ ამდენი ჯილდო მოვიგე და ბევრი უდიდესი ფეხბურთელის გვერდით ვითამაშე.

**- ბოლო წლებია, თქვენი გუნდი პრემიერლიგას ველარ იგებს. მომავალი სეზონისთვის რას აპირებთ?**

- რა თქმა უნდა, პირველობას. სამწუხაროდ, წლეულს ბევრი ქულა დავკარგეთ. ასეთ შეცდომებს მომავალ სეზონში აღარ დავუშვებთ. დარწმუნებული ვარ, „მანჩესტერთან" ერთად კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებ.

### პერუცი გაურკვევლობაშია

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და რომის „ლაციოს" კარის დარაჯის ანჯელო პერუცის განცხადებით, კარიერასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებას ის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს.

ვეტერანი მეკარის კონტრაქტი დედაქალაქურ კლუბთან ამ ზაფხულს იწურება, ახალი კონტრაქტის დადებას კი ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ ჩქარობს.

„გადაწყვეტილებას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მივიღებ. რაც შეეხება ნაკრებში ჩემს თამაშს, ვფიქრობ, გულშემატკივრისთვის გასაგებია, ვინ იქნება ჩვენი გუნდის ძირითადი მეკარე. მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას" შემადგენელი ნაწილი ვიქნები.

### "ბენფიკამ" მიკოლის დაადგა თვალი

პორტუგალიის „ბენფიკა" მზადაა „იუვენტუსში" იჯარის წესით განათხოვრებული ფაბრიციო მიკოლი გამოისყიდოს.

პორტუგალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ფეხბურთელის აგენტმაც დაადასტურა.

„ჩვენ უკვე ვაწარმოებთ „ბენფიკასთან" მოლაპარაკებას. ფაბრიციომ თავისი თამაშით კარგი შთაბეჭდილება დატოვა კლუბის ხელმძღვანელობაზე. სამწუხაროდ, ჩემზე და ჩემს კლიენტზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული. მისი კონტრაქტი ოფიციალურად „იუვენტუსს" ეკუთვნის და ბოლო სიტყვაც ტურინულ კლუბზეა", - განაცხადა მიკოლის აგენტმა ფრანჩესკო კალინდრომ.

### უკან, "გალათასარაიში"

სტამბულის „გალათასარაის" პრეზიდენტის განცხადებით, შესაძლოა, „ნიუკასლის" ნახევარმცველი ემრე ბელოზოღლუ ახალი სეზონიდან ისევ სტამბულურ კლუბს დაუბრუნდეს. „თუ მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი მოისურვებს, რომ ბელოზოღლუ თავის გუნდში იხილოს, ჩვენ მაშინვე დავუკავშირდებით ემრეს. დარწმუნებული ვარ, ის თანახმა იქნება მშობლიურ კლუბში დაბრუნდეს", - განაცხადა „გალათასარაის" პრეზიდენტმა.

ჯერჯერობით უცნობია, რას ფიქრობს თავად თურქი ფეხბურთელი.

### კოლერი დაბრუნდა

დორტმუნდის „ბორუსიასა" და ჩეხეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი იან კოლერი ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა.

შვიდთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ჩეხი გიგანტი (შეგახსენებთ, რომ კოლერის სიმაღლე 202 სმ-ია.) „ჰანოვერის" წინააღმდეგ მატჩში (1:2) 72-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

მანამდე ჩეხეთის ეროვნული ნაკრების თავკაცი კარელ ბრიუკნერი ერთთავად იმის ძახილში იყო, რომ მოუთმენლად ელოდა იან კოლერის დაბრუნებას, რომელზეც ის დიდ იმედებს ამყარებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

### ბუფონი "იუვენტუსიდან" არ წავა

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის აგენტმა უარყო გავრცელებული ხმები მისი კლიენტის „იუვენტუსიდან" წასვლის თაობაზე.

ბოლო დროს იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბუფონი „მილანში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას. „სამწუხაროდ, პრესაში ხშირად იბეჭდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. დავიწყებ იმით, რომ „იუვენტუსსაც" და ბუფონსაც ძალიან უნდათ თავიანთი საქმიანი ურთიერთობა კიდევ გაახანგრძლივონ. გარდა ამისა, ბუფონის თაობაზე კონკრეტული წინადადებით ჩვენთვის არავის მოუმართავს. ერთი სიტყვით, ჯიჯი (ჯანლუიჯი ბუფონის მეტსახელი) ტურინში ბედნიერია, არც კაპელოსთან აქვს პრობლემები და არც თანაგუნდელებთან", - განაცხადა იტალიელი მეკარის აგენტმა.

### მსოფლიო ჩემპიონობისთვის მექსიკელები 200 ათას ევროს მიიღებენ

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, თუ წლეულს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებს, უკლებლივ ყველა მოთამაშე პრემიის სახით 198 ათას ევროს მიიღებს. თუ მექსიკელები მხოლოდ ფინალში გასვლას მოახერხებენ, თანხა 158 400 ევროთი განისაზღვრება. იმ შემთხვევაში კი, თუ ლათინოამერიკელთა ნაკრები ჯგუფურ ეტაპს ვერ გადალახავს, ჯილდოდ „სულ რაღაც" 8 314 ევროს მიიღებენ.

მექსიკის ნაკრები D ჯგუფში პორტუგალიის, ანგოლისა და ირანის ეროვნულ გუნდებთან ერთად იასპარეზებს.

### პარეირამ 13 ივნისის შემადგენლობა დაასახელა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თვენახევრით ადრე იმ ძირითადი ფეხბურთელების გვარები დაასახელა, რომლებიც 13 ივნისს ხორვატიასთან პირველ მატჩში ითამაშებენ.

„ამ მატჩში მოედანზე გამოვა ყველა ის მოთამაშე, რომელთაც შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრაში, ვენესუელის ნაკრების წინააღმდეგ მიიღეს მონაწილეობა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გულშემატკივარი აუცილებლად იხილავს შემტევ კვარტეტს რონალდინიოს, რონალდოს, ადრიანოსა და კაკას შემადგენლობით.

ვენესუელის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ „პენტაკამპეონები" ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ: დიდა, კაფუ, ლუსიო, ხუანი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, რონალდო, ადრიანო.

### "რეალი" ანრისთვის იბრძვის

როგორც ჩანს, მადრიდის „რეალი" „ბარსელონასთან" ჩამორჩენას არ აპირებს და „არსენალის" ფრანგი გოლეადორის ტიერი ანრის სატრანსფერო ბრძოლაში ხელმეორედ ჩაერთო. მადრიდელებმა ლონდონურ კლუბს ახალი წინადადებით მიმართეს ამის თაობაზე. „სამეფო კლუბმა" „მეთოფეებს" ამჯერად ანრის სანაცვლოდ 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა. მადრიდულ კლუბში გადასვლის შემთხვევაში კი ფრანგის ყოველწლიური ხელფასი 6 მილიონი ფუნტი სტერლინგი იქნება.

ანრის გარდა, მადრიდული კლუბი კიდევ ერთი არსენალელით ჩესკ ფაბრიგასით არის დაინტერესებული და მის სანაცვლოდ ლონდონელებს 12 მილიონ ფუნტს სთავაზობს.

ესპანელთა კიდევ ერთი სამიზნეა „მეთოფეთა" ფეხბურთელი ეშლი კოული, რომელიც სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლას აპირებს.

## ნოვოტნი „ბაიერიდან" წასვლას აპირებს

ლევერკუზენის „ბაიერის" მცველის იენს ნოვოტნის განცხადებით, მომავალი სეზონიდან ის სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას ფლორენციის „ფიორენტინაში". გერმანიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და, სავარაუდოდ, კლუბში დარჩენაზე უარს იტყვის. ნოვოტნისთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ამ ფეხბურთელით უკვე დაინტერესენდნენ იტალიური „ფიორენტინა" და ზაგრების „დინამო".

## გალასს „იუვენტუსში" უნდა

ლონდონის „ჩელსის" მცველმა უილიამ გალასმა ტურინის „იუვენტუსში" თამაშის სურვილი გამოთქვა.

შეგახსენებთ, რომ კვირის ბოლოს ფრანგმა ფეხბურთელმა სეზონის ბოლოს „არისტოკრატებიდან" თავისი წასვლის შესახებ განაცხადა. მისივე თქმით, მას ძალიან ესიმპათიურება ტურინული კლუბი და სიამოვნებით დაიცავს „ბიანკონერის" ღირსებას. ინგლისური პრესის ცნობით, გალასით უკვე დაინტერესდნენ ესპანური „ბარსელონა" და იტალიური „მილანი".

## „მარსელს" თავდამსხმელი გამოაკლდა

ფრანგული „მარსელის" თავდამსხმელმა მიკაელ პაჟისმა საფრანგეთის თასის ფინალში ბარძაყის ტრავმა მიიღო და გუნდს, სავარაუდოდ, სამი-ოთხი კვირით გამოაკლდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ პაჟისი საფრანგეთის ჩემპიონატში მესამე ადგილის მოპოვებაში ანუ ჩემპიონთა ლიგის ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში „მარსელს" ვერ დაეხმარება.

## ფორმულა საჯინიბოებით იბერება

მას შემდეგ, რაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფია) 2008 წლის სამეფო რბოლათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის მსურველი გუნდებისგან განცხადებების მიღებას შეუდგა, სარბოლო სამყარო აჟიოტაჟმა მოიცვა. მიზეზი სარბოლო მანქანების მწარმოებელი ცნობილი კომპანიის „ლოლას" სახელის გაჟღერება გახდა.

ირკვევა, რომ ორ გუნდს, რომელმაც ფია-ში საკუთარი განცხადებები შეიტანეს, დახმარებისთვის სწორედ „ლოლასთვის" მიუმართავთ. თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა ვინაობა კომერციულ საიდუმლოდ რჩება. ამასობაში „ლოლამ" შესაბამისი წინადადება აღიქვა, როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისთვის. „ჩვენ მართლაც გვქონდა იმ საჯინიბოთა წარმომადგენლებთან ურთიერთობა, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. არაფერს ცვლის ფია-ს აკრძალვაც. ჩვენ ყველაფერი გვაქვს საიმისოდ, რომ შევქმნათ კონკურენტუნარიანი მანქანა. მოქმედი გუნდები ჩვენს აეროდინამიკურ პოლიგონს იყენებენ. ასე რომ, თამამად შეგვიძლია მიზნად დავისახოთ ამბიციური ამოცანები. ჯერჯერობით მზად არ ვარ ყოველივე გავახმაურო, მაგრამ ისინი, ვისაც ამის უფლება არ მისცეს, საკუთარ თავს, ისევე როგორც ჩვენ, ფორმულა 1-ში მონაწილეობაზე უარს ვერ ეტყვიან", - განაცხადა კომპანიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

## ჟიულის „გალათასარაიში" იწვევენ

„ბარსელონას" ფრანგი ნახევარმცველი ლუდოვიკ ჟიული გამოტყდა, რომ თურქული „გალათასარაიდან" ოფიციალური მიწვევა მიიღო. „სეზონის ბოლომდე ჩემს პროფესიულ მომავალზე ფიქრი არ მინდა. „ბარსას" შემადგენლობაში ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩები მაქვს სათამაშო", - განაცხადა საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშემ ესპანური „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## პეტრჟელა წავიდა

საფეხბურთო კლუბ „ზენიტის" ხელმძღვანელობამ ვლასტიმილ პეტრჟელა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა. პეტრჟელას დროებით შემცვლელად კლუბის მეორე მწვრთნელი ვლადიმირ ბოროვიჩკა დაინიშნა. პეტერბურგული კლუბის ინტერნეტ-გვერდის ცნობით, ვლასტიმილ პეტრჟელამ თავად დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე.

## „ნანტის" მეკარე პსჟ-ში გადავა

ფრანგულის „ნანტის" მეკარე მიკაელ ლანდრე ახლოსაა პარიზულ „პარი სენ-ჟერმენთან" ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან. ფრანგი მეკარე, რომელიც ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ნომრად იასპარეზებს, პარიზულ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გადის, რის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვევა, შეუერთდება თუ არა ლანდრე პსჟ-ს.




# ექვსი ერის კალენდარი გაირკვა

გუშინ გაირკვა 2007 წლის რაგბის ექვსი ერის კალენდარი. ტურნირი 3 თებერვალს იტალია-საფრანგეთის მატჩით გაიხსნება და 17 მარტს უნდა დასრულდეს. მომავალი სეზონის ექვსი ერის გათამაშებაში ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მოხდება. ირლანდიის ნაკრები მატჩებს მისთვის ჩვეულ და მშობლიურ „ლენსდაუნროუდზე" აღარ გამართავს. ირლანდიელი მორაგბეები გადადიან ახალ სტადიონზე, რომელზეც 82 000 მაყურებელი ეტევა. ამიერიდან ნაკრების მატჩებს დუბლინის სტადიონი „კორკ პარკი" უმასპინძლებს. კალენდარი კი ასე გამოიყურება:

**3 თებერვალი**
იტალია - საფრანგეთი
ინგლისი - შოტლანდია
**4 თებერვალი**
უელსი - ირლანდია

**10 თებერვალი**
ინგლისი - იტალია
შოტლანდია - უელსი
**11 თებერვალი**
ირლანდია - საფრანგეთი

**24 თებერვალი**
შოტლანდია - იტალია
ირლანდია - ინგლისი
საფრანგეთი - უელსი

**10 მარტი**
შოტლანდია - ირლანდია
იტალია - უელსი
**11 მარტი**
ინგლისი - საფრანგეთი

**17 მარტი**
იტალია - ირლანდია
საფრანგეთი - შოტლანდია
უელსი - ინგლისი



*ინგლისი შეეცდება პირველობა დაიბრუნოს.*

# ცქიტიშვილმა ფლეი-ოფში ითამაშა

NBA-ში გრძელდება ფლეი-ოფების სერია. მორიგ სათამაშო დღეს ოთხი მატჩი გაიმართა. „ნიუ ჯერსიმ" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „ინდიანას" და გაიმარჯვა ანგარიშით 92:86. ამ მოგების შემდეგ „ნეტსი" სერიაში 3:2 დაწინაურდა. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი გახდა ვინს კარტერი, რომელმაც თავის გუნდს 34 ქულა შესძინა, 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

„სან ანტონიომ" კი 109:98 დაამარცხა „საკრამენტო" და სერიაში 3:2 დაწინაურდა. სანანტონიოელთა რიგებში საუკეთესო იყო ტიმ დანკანი 24 ქულით, 9 მოხსნითა და 5 შედეგიანი გადაცემით.

ანალოგიური ანგარიშით იგებს სერიას „მაიამიც", რომელმაც მეხუთე მატჩი „ჩიკაგოს" 92:78 მოუგო. აღსანიშნავია, რომ შაკილ ო`ნილს ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი. შაკმა მხოლოდ 16 ქულა შესძინა გუნდს, 10-ჯერ მოხსნა ბურთი და ამას სამი ბლოკიც მიამატა. მაიამელთა შორის საუკეთესო იყო დუეინ ვეიდი 28 ქულით, 5 მოხსნითა და 5 შედეგიანი გადაცემით.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი გაიმართა ფენიქსში, სადაც ადგილობრივმა „სანსმა" ლოს ანჯელეს „ლეიკერსს" უმასპინძლა. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით 114:97 დასრულდა. სერიას კი კვლავ კალიფორნიული გუნდი იგებს 3:2. ამ შეხვედრაში ჩვენთვის ღირსშესანიშნავი რამ მოხდა: „ფენიქსის" მწვრთნელმა ნიკოლოზ ცქიტიშვილი შეუშვა მოედანზე და ქართველმა ფლეი-ოფის მატჩში მიიღო მონაწილეობა. 2 მაისის მატჩებიდან ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს. მთლად კარგად ვერ ითამაშეს ო`ნილმა და ბრაიანტმა. ეტყობა, ბავშვების დაბადების გამო ვარსკვლავები ეიფორიაში არიან...



*ლამარ ოდომის ამ ჩატენვამ „ლეიკერსს" ვერ უშველა.*

## ინფოთეკა

### ინგლისმა რუნი დაივიწყა

„ჩელსისა" და „მანჩესტერის" მატჩში მძიმედ დაშავდა უეინ რუნი. ამის გამო ფიფამ გამონაკლისი დაუშვა და სვენ გორან ერიქსონს ინგლისის ნაკრების შემადგენლობის დასახელების ვადა 15 მაისიდან ივნისის დასაწყისისთვის გადაუწია. ერიქსონი ამ შეღავათით არ ისარგებლებს და ნაკრების შემადგენლობას ალბათ ორშაბათს დაასახელებს. საქმე ისაა, რომ რუნის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და, თავად ერიქსონის თქმით, თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, უეინი მუნდიალზე ვერ ითამაშებს. ამიტომ შვედი სპეციალისტი შეღავათით არ ისარგებლებს და ორშაბათს ინგლისის ნაკრების შემადგენლობასაც გავიგებთ. უკვე ცნობილია, რომ სიაში რუნი არ იქნება.

### ოდო თითქმის მილანელია

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ მასიმო ოდო ალბათ „მილანში" გადავა. „მართალია, „ლაციოსთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ პროფესიული ზრდისთვის კლუბის შეცვლა მჭირდება. ვიცი, რომ ჩემი შეძენა „მილანს" სურს და ალბათ ამ შეთავაზებას დავთანხმდები. დარწმუნებული ვარ, „ლაციოს" მესვეურები ხელს არ შემიშლიან „მილანში" გადავიდე", - განაცხადა მასიმო ოდომ.

# ფეხბურთის მონები

რა კავშირი უნდა ჰქონდეს ფეხბურთს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელისა და აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის შეხვედრასთან, ანდა რა უნდა იყოს საერთო ფეხბურთსა და გერმანულ-ამერიკულ ურთიერთობებს შორის? ერთი შეხედვით არავითარი. თუმცა მთლად ასე არ ყოფილა. გუშინდელ შეხვედრაზე მერკელსა და ბუშს შესაძლოა საფეხბურთო თემებზეც ესაუბრათ. ის კი არა, მომავალი მუნდიალი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაფუჭების მიზეზადაც შეიძლება იქცეს. ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილი გერმანიის მიმართ სანქციების დაწესებითაც კი იმუქრება.

ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ გერმანიაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში კი ამ ქვეყანაში 40 000-დე უძველესი პროფესიის ქალბატონი ჩავა. გერმანიაში სპეციალური ბორდელებიც კი იქმნება, რათა პროსტიტუცია კანონის ჩარჩოებში ჩაჯდეს. სწორედ ეს აშფოთებთ ამერიკელ პოლიტიკოსებს. აშშ-ის კონგრესის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კრის სმიტი მიჩნევს, რომ გერმანიაში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა. მისი აზრით, გერმანული სექს-ინდუსტრია ახალი ბორდელების გახსნით ქვეყანაში სექს-მოსამსახურეების იმპორტს უწყობს ხელს. ამავდროულად ახალი ბორდელების მშენებლობა მთავრობის მხრიდან ამ საქმიანობის წახალისებას ნიშნავს.

სმიტის აზრით, გერმანიის ხელისუფლების ასეთი ქმედება ხელს უწყობს ადამიანებით ვაჭრობის განვითარებას, რადგან პროსტიტუცია და მონებით ვაჭრობა ურთიერთკავშირშია.

კონგრესმენის აზრს ოფიციალური ვაშინგტონიც იზიარებს. 2002 წლიდან ამერიკის მთავრობა არ განასხვავებს ლეგალურ და არალეგალურ პროსტიტუციას. ქალს არ შეუძლია საკუთარი სურვილით გახდეს მეძავი. თავად სექს-მომსახურების სფეროში მუშაობა კი ექსპლოატაციასა და ძალადობას ნიშნავს. ასეთია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია.

2005 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ პროსტიტუცია ნებისმიერი ფორმით, თუნდაც ლეგალური, სხვა არაფერია, თუ არა მონებით ვაჭრობა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა შონ მაკკორმაკმა თქვა, რომ შესაძლოა ამ საკითხეზე მერკელისა და ბუშის შეხვედრის დროსაც ისაუბრონ.

ამერიკლეთა პოზიციას არ იზიარებენ სექს-ინდუსტრის საერთაშორისო პროფკავშირების წარმომადგენლები. „არ შეიძლება პროსტიტუცია მონებით ვაჭრობას შევადაროთ. ქვეყნებში, რომლებშიც პროსტიტუცია ლეგალიზებულია - მაგალითად, გერმანიაში - პოლიციისთვის გაცილებით იოლია ბრძოლა რეალური სექს-მონობის წინააღმდეგ".

კონგრესმენ სმიტის მტკიცებით კი, მუნდიალის დროს გერმანიას 3 მილიონამდე ტურისტი ეწვევა და მათი დიდი ნაწილი ისარგებლებს სექს-ინდუსტრიის სამსახურით. აშშ კი ამ ფაქტს უყურადღებოდ ვერ დატოვებს, ვინაიდან აშკარაა, რომ გერმანიის ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობს ხელს ამ საქმიანობას.

სმიტის აზრით, შესაძლოა აშშ-მ გერმანიის მიმართ სანქციებიც კი გამოიყენოს. ალბათ საინტერესოა, რას ითვალისწინებს ეს სანქციები. კერძოდ, ქვეყანას, რომლის მიმართაც აშშ ასეთი ტიპის სანქციებს გამოიყენებს, შეუწყდება ამერიკისგან ფინანსური დახმარება. ასევე ეს ქვეყანა ვერ ისარგებლებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი სანქციებით გერმანიას ვერავინ შეაშინებს. ამერიკულ დახმარებას ეს ქვეყანა 1950 წლის შემდეგ არ იღებს და არც მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარებით სარგებლობს.

კონგრესმენ სმიტის ინიციატივით, სავარაუდოდ, ეს საკითხი შეიძლება კონგრესის განხილვის საგანიც გახდეს. აშშ-ს კონგრესის ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, შესაძლოა მან კონგრესში განსახილველად შეიტანოს კანონპროექტი, რათა გერმანიის მიმართ სანქციები ქმედუნარიანი გახდეს, თუმცა სმიტს არ დაუკონკრეტებია, კერძოდ რა სანქციებზეა საუბარი.

რაც შეეხება გერმანულ მხარეს, ამ ქვეყანაში პროსტიტუცია 2002 წლიდან ლეგალიზებულია. მთლიანად სექს-ინდუსტრიაში 400 000 ადამიანი საქმიანობს. სექს-ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანები ჩვეულებრივად იხდიან გადასახადებს. ამავდროულად, თითოეული ბორდელი დამატებით გადასახადსაც იხდის - თითო მეძავზე 20 ევროს დღეში.

**P.S.** გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯორჯ ბუშმა მერკელთან შეხვედრაზე ეს საკითხიც წამოწია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ა.წერეთლის გამზ.N144-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 30 დღე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 მაისს 10:00-დან 17:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მომსახურებაზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

გ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. პირველად სატენდერო წინადადებაში(ღირებულების გარეშე) წარმოდგენილ უნდა იქნას შენობის შემოთავაზებული იერსახის ამსახველი ჩანახატები და საპროექტო ფასადების მოწყობის კონცეფცია, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული შენობის იერსახე შეიცვლება მისი მინის ფასადის სისტემით შემინვის გზით.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის პირველ ეტაპს თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 4 მაისიდან 24 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6) აცხადებს ტენდერს ხულოს რაიონის ბავშვტა სპორტული სკოლის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა 2006 წლის 1 აგვისტომდე **პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 მაისიდან 2006 წლის 25 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ) შესაბამისი დოკუმენტის დართვით;

დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 24 მაისის 18 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი N245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული,

7 ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - ინგა დავითაძე ტ. 7-16-50, მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო..

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის შპს " " აცხადებს ტენდერს დაფის მარკის ავტობუსებისათვის 956 (ცხრაასორმოცდათექვსმეტი) ერთეული გვერდითი გასაწევი მინების შესყიდვის და ჩაყენების მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღე. ტენდერში გამარჯვებულმა მინების მიწოდება და ჩაყენება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: ხევძმარის ქ. N1 და ჟორესის ქ. N7.

3. პრეტენდენტი სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006Qწლის 4 მაისის 10 საათიდან 23 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 24 მაისის 10 საათიდან, 24 მაისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 3 ასლი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 დამატებითი ინფორმაცია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

6. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

7. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრებს: მ.ჭამპურიძე, ტელეფონი 95-17-46, მობ: 899 720-860; ზ.შენგელია, ტელეფონი 34-10-29 მობ: 899 909-303.

**სატენდერო კომისია**

### გამცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

შპს „ მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო "-ს მიერ საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა შპს "კანარგო სტანდარტ ოილი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) შ.პ.ს. "სტეფანწმინდის წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი" - ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გენერალური ლიცენზიის მიღებას;

ბ) უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას ითხოვს - შ.პ.ს. "ჯი. ბი.თი.-ს საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯი". შ.პ.ს. "ნიბლიას", ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ეწოდა შ.პ.ს. "ჯი. ბი.თი.-ს საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯი " და მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზირი N95. შ.პ.ს. "ნიბლიას" სამედიცინო სასწავლებელი ფუნქციონირებას განაგრძობს შ.პ.ს. "ჯი.ბი.თი.-ს საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯის" სახელით.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტო (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 23.) გიწვევთ ორეტაპიან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად "სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში სამკურნალო საშუალებების ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვისათვის.

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

პირველი ლოტი:

- შერჩევითი შესყიდვით შეძენილი სამკურნალო საშუალებების ხარისხის ლაბორატორიული კონტროლი.

მეორე ლოტი:

- სამკურნალო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესში არსებული სამკურნალო საშუალებების ხარისხის ლაბორატორიული კონტროლი.

2. მომსახურება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე ერთ დახურულ კონვერტში, ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგი 23, II სართული, ოთახი 22.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის (აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებისათვის მათი მონაწილეობის შემთხვევაში) უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან);

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) აკრედიტაციის მოწმობა საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებაზე (გაცემული აკრედიტაციის ცენტრის მიერ)

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

6. მომსახურების განხორციელებისას სუბ-კონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ სუბ-კონტრაქტორის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს სუბ-კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება და აგრეთვე სუბ-კონტრაქტორის შესახებ ყველა ის ინფორმაცია და მონაცემი, რომელთა წარმოდგენაც ევალება პრეტენდენტს.

7. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგი, სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის და საბოლოო სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადა სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ მონაცემების წარმომდგენ პირებს.

8. წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურულ კონვერტში, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად. პირველად სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამკურნალო საშუალების ანალიზისათვის საჭირო იმ ფარმაკოპეური მეთოდების ჩამონათვალი (ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის, ბიოლოგიური ანალიზის, მიკრობიოლოგიური ანალიზის და რადიაციული კონტროლის.) რომელთა მეშვეობითაც პრეტენდენტი განახორციელებს წამლის ხარისხის (წამლის ფორმის მიხედვით) ლაბორატორიულ კონტროლს. წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის კადრის კვალიფიკაციისა და გამოცდილების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მისი გამტარუნარიანობის (სამუშაოს მოცულობა ერთი თვის ვადაში) შესახებ.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 8194, N200122900 ანგარიშზე გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 23, II სართული, ოთახი 22.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტში წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლით მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლ მაზანაშვილი. მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 23, II სართული, ოთახი 22, წამლის სააგენტო. ტელ: 39-94-20.

# განცხადება

**გაზეთ "24 საათის" 26.04.06წ N89(1241)-ში შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო განცხადებაში (ავეჯის შესყიდვის თაობაზე) ცვლილებების შეტანის თაობაზე**

გაზეთ "24 საათის" 26.04.06წ N89(1241)-ში შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო განცხადებაში შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

შესყიდვის ობიექტი:
ლოტი 1.

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| | საძინებელი | |
| 1 | ორადგილიანი საწოლის კომპლექტი 200-200 | 2 |
| 2 | ერთადგილიანი საწოლის კომპლექტი 100-200 | 4 |
| 3 | ტუმბო 50-50-40 | 8 |
| 4 | კარადა სამგანყოფილებიანი 150-60-205 | 4 |
| 5 | საწერი მაგიდა 120-75-60 | 2 |
| 6 | ტრილიაჟი 120-75-60 | 4 |
| 7 | სავარძელი | 12 |
| 8 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 4 |
| 9 | დეკორატიული სარკე | 2 |
| | შემოსასვლელი | |
| 1 | მაგიდა | 3 |
| 2 | სკამი | 12 |
| 3 | ნაჭრის სამეული | 3 |
| 4 | სარკე 200-200 | 2 |
| 5 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 3 |
| | საკონფერენციო დარბაზი | |
| 1 | საკომფერეციო მაგიდა 50 კაცზე ხის | 1 |
| 2 | ხის ზურგიანი სკამი | 50 |
| 3 | ნაჭრის სამეული | 2 |
| 4 | ჟურნალის მაგიდა 80-60-45 | 2 |

ლოტი 2.

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| | სამზარეულო 29,12 კვ.მ. (5,2X5,6) | |
| 1 | სამზარეულოს ავეჯი და აღჭურვილობა | 1 კომპლ. |

ტენდერში გამარჯვებული შესაძლებელია გამოვლინდეს ცალკეული ლოტების მიხედვით.

**დამატებითი ინფორმაცია**
სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. “სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.
საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79, 899 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის
ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

| № 1 | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაკე-საბურთალოს რაიონი ნუცუბიძის III მ/რ, I კვარტალი, №12 კორპუსის პირდაპირ | აუქციონი | საკუთრება | | 200 კვ.მ | | | | 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 2 | ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი | აუქციონი | საკუთრება | | 1800 კვ.მ | | | | 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 3 | ვაკე-საბურთალოს რაიონი ვაჟა-ფშაველას გამზირი №27-ის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | | 27 კვ.მ | | | | 140 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 4 | ვაკე-საბურთალოს რაიონი ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ.კორპ.№28ბ-ის მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 110 კვ.მ | | | | 140 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 5 | ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილსა და შინაგან საქმეთასამმართველოს სახავტოინსპექციის დიაგნოსტიკურ ცენტრს შორის | აუქციონი | საკუთრება | | 45 800 კვ.მ | | | | 40 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება 2006 წლის 08 მაისის 11 სთ-დან 2006 წლის 08 ივნისის 17 საათის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ 2006-2007 წლების მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესასყიდად ა. წ. 2 მაისის გაზეთ "24 საათში" (N94) გამოქმეყნებული განცხადების პირველი პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:
"1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს ხელახალ ტენდერს 2006-2007 წლების მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად."

შპს "საქაერონავიგაციის" მიერ მ/წლის 22 თებერვალს საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა და სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდო შპს "კანარგო სტანდარტ ოილ"-თან

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი** 2006 წლის 20 მაისს აწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების აქტუალური პრობლემების კვლევისადმი მიძღვნილ სტუდენტთა II რესპუბლიკურ კონფერენციას.

კონფერენციის მიზანია ახალგაზრდებში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება და საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების ავტორთა გამოვლენა-წახალისება. სამეცნიერო კონფერენცია იმუშავებს 5 სექციად

1. **ფინანსები და საბანკო საქმე**
2. **ზოგადი ეკონომიკა და საერთაშორისო ბიზნესი**
3. **მენეჯმენტი და მარკეტინგი**
4. **ტურიზმი**
5. **სამართალი**

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და ასპირანტებს. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა არაუგვიანეს 10 მაისისა უნდა წარმოადგინონ 1-2 გვერდზე შესრულებული მოხსენებათა თეზისები /ფონტი AcadNusx N12, 1,5 -ინტერვალი/ სახელის, გვარის, საკონტაქტო ტელეფონის, ელ-ფოსტის, კურსის, მეცნიერ ხელმძღვანელის გვარისა და სახელის, სექციის მითითებით.

მოწონებული თეზისების ავტორებმა არაუგვიანეს 15 მაისისა უნდა წარმოადგინონ იგივე ფონტით, შრიფტითა და ინტერვალით დაბეჭდილი 7-10 გვერდიანი მოხსენება.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა მოხსენებათა თეზისები უნდა წარმოადგინონ თეუსუ-ს სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტში (თბილისი, ქ. წამებულის ქ.N55. II სართული ოთახი N205) ან გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: **teusu@internet.ge** დადგენილი ვადის ამოწურვამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 94-31-60; 94-28-83; 899-72 70 72; 893-74-08-41; 899-55-99-90

**2006 წლის 3 მაისის "საქჰიდროენერგომშენის" კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის შესახებ" სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

კონკურსი, ნაცვლად 2006 წლის 17 მაისის 12 საათისა, ჩატარდება 2006 წლის 18 მაისს 12 საათზე.

საოფისე ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს 8 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 17 მაისის 18 საათამდე.

განცხადება მიიღება: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-3 სართული. სს "საქჰიდროენერგომშენის" ადმინისტრაცია.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სს "საქჰიდროენერგომშენის" ადმინისტრაციას. საკონტაქტო ტელეფონები: 25-09-59, 25-34-06 (ფაქსი).

# ცვლილება

გაზეთ "24 საათის" 1 მაისის N93-ში ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შეტანილია ცვლილება: 60 (სამოცი) ერთეულის ნაცვლად შესასყიდია 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ერთეული მეორადი მოხმარების დიდი ტევადობის, დიზელის ძრავზე მომუშავე საქალაქო-სამგზავრო ავტობუსი.

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი**

**მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრება ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დასაცავად (IV უბანი)**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760
პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068
IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/11-2006

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი და გრანტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტისა და გრანტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დასაცავად (IV უბანი) მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრების N PCC/IDCDP/CW/NCB/11-2006 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში, თბილისიდან 229 კმ მანძილზე, ხონის რაიონში, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალით, ქუთაისის, სამტრედიის და ხონის გავლით. მანძილი ქ. ხონიდან სამშენებლო მოედნამდე შეადგენს 4 კმ-ს (ასფალტისა და მოხრეშილი გზებით).

პროექტი მოიცავს 706 მ სიგრძის უბანზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას:
- ფლეთილი ქვის წყობით მოპირკეთებული დამბის მოწყობა -- 438 მ;
- ნაპირდამცავი მიწაყრილის დამბის აღდგენა -- 268 მ;
- ორი ნაკადმიმმართველი დეზის მშენებლობა (სიგრძით 63 მ და 68 მ).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:
- გრუნტის დამუშავება - 35,6 ათასი მ3;
- მიწის ყრილი - 34.5 ათასი მ3;
- დამბის და დეზების მოპირკეთება ფლეთილი ქვის წყობით - 25,2 ათასი მ3.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 32 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 43 000 (ორმოცდასამი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 31 მაისის 12 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის
ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224
ტელ: +995 32 989924 / 935169
ფაქსი: +995 32 934921 / 989924
ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

# განცხადება
# შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს ავტომანქანის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**
ახალი ავტომანქანა (ყველგანმავალი), წამყვანი თვლები 4X4, ძრავის მოცულობა 3.0 ლიტრამდე, 5-კარიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი, საჭე მარცხნივ, ჰიდრავლიკა, ABS, სრული ელექტროპაკეტი, უსაფრთხოების 2 ბალიში, კლიმატ-კონტროლი, ლუქი, ნაჭრის სალონი.

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში.
ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.
სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი, 23 მაისის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**
მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო, ვაკე-საბურთალოს რაიონი) ანგ.DN200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300044040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით). საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.
საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 24 მაისიდან 29 მაისის 16.00 საათამდე:
სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.
პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 29 მაისის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
**იურიდიული პირებისათვის:**
1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის:**
1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

ტენდერში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ და ვალდებულება საგარანტიო მომსახურების თაობაზე..

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.
პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**
სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.
საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79, 8(99) 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12) აცხადებს ტენდერს შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე სამ ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (ჭანტურიას ქ. N12).**

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი | დასახელება |
|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები |
| 2 | ადმინისრტაციული შენობის X სართულზე არსებული ტერასის კეთილმოწყობა |
| 3 | ადმინისტრაციული შენობის სახურავზე გათბობა-კონდიცირების სისტემისთვის 481 კვტ სიმძლავრის ჩილერის მიწოდება-მონტაჟი |

**დეტალური ინფორმაცია განსახორციელებელ სამუშაოებზე მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.**

სამშენებლო სამუშაოს შესრულება უნდა დაიწყოს გამარჯვებულ პრეტენდენტთან (ან პრეტენდენტებთან) ხელშეკრულების დადებიდან 1 კვირის განმავლობაში.
საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი 2006 წლის 23 მაისს 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.
წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 23 მაისს 13 საათზე, საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს VI სართულზე, კომისიის თავმჯდომარის ოთახში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.
დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიულ პირთათვის:*

- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან).
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელობის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

*ფიზიკურ პირთათვის:*

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

*დამატებითი მოთხოვნები:*
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა)
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.
- ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მოცულობა (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები).
- პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

***მიმღები:*** ხაზინის ერთიანი ანგარიში-საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო-91. ანგ.N200122900 საიდენტიფიკაციო კოდი 203840433 მიმღები ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 სახაზინო კოდი 302003000.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ( 999744 მზია კალანდაძე***

სატენდერო კომისია

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი**

**მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრება ხონი-მარტვილის ხიდის ზედა ბიეფში (III უბანი)**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760
პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068
IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/10-2006

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი და გრანტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტისა და გრანტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ხონი-მარტვილის ხიდის ზედა ბიეფში (III უბანი) მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირის გამაგრების N PCC/IDCDP/CW/NCB/10-2006 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.
ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში, თბილისიდან 230 კმ მანძილზე, ხონის რაიონში, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ბათუმის საავტომობილო მაგისტრალით, ქუთაისის, სამტრედიის და ხონის გავლით. მანძილი ქ. ხონიდან სამშენებლო მოედნამდე შეადგენს 5 კმ-ს (ასფალტისა და მოხრეშილი გზებით).
პროექტი მოიცავს 1800 მ სიგრძის უბანზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას:
- ფლეთილი ქვის წყობით მოპირკეთებული დამბის მოწყობა -- 144 მ;
- ნაპირდამცავი მიწაყრილის დამბის აღდგენა -- 438 მ;
- ხუთი ნაკადმიმმართველი დეზის მშენებლობა (თითოეული სიგრძით 124-159 მ).
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:
- გრუნტის დამუშავება -38.4 ათასი $м^3$;
- მიწის ყრილი - 37.3 ათასი $м^3$;
- დამბის და დეზების მოპირკეთება ფლეთილი ქვის წყობით - 30,6 ათასი მ3.
საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.
დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.
დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 36 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი,თბილისი, საქართველო.
საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 31 მაისის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის
ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224
ტელ: +995 32 989924 / 935169
ფაქსი: +995 32 934921 / 989924
ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

# ღია ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შპს "ბათუმის მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრის" მიერ 2006 წლის 15 აპრილს გაზეთ "24 საათში"-ში (შაბათი N82, გვერდი B4) განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები.

ლოტი 1. ნარკოტიკული საშუალებები, სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები:
ნატრიუმ თიოპენტალი ამპ 60.
ლოტი 5. ოფთალმოლოგიური დანიშნულების საგნები:
ბროლი ც - 100.
პუნქტი 5: უნდა იკითხებოდეს.
დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 მაისის 10 საათიდან 18 საათამდე და 10 მაისის 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ბათუმის მეზღვაურთა სამედიციდო ცენტრი". ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ N30. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 10 მაისს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

**სატენდერო კომისია**

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

შპს "*აჭარის ავტოტრანსპორტის*" მიერ 2006 წლის 7 მარტს ავტობუსების სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ხელახალ ტენდერში (ლოტი N 1 - "ბოგდანი AA092.01 - სათადარიგო ნაწილები") გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "უკრაინსკი ავტობუსი"

**სატენდერო კომისია**

# "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საერთო სასამართლოების აპარატების მანდატურის სამსახურების შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**1. თბილისის სააპელაციო სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 365 ლარი).

**2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო:**
- მანდატურის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 500 ლარი);
- სასამართლოს მანდატური - 8 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 365 ლარი).

**3. თბილისის საქალაქო სასამართლო:**
- მანდატურის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 450 ლარი);
- სასამართლოს მანდატური - 18 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 350 ლარი).

**4. ფოთის საქალაქო სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**5. გორის რაიონული სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**6. რუსთავის საქალაქო სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**7. ქუთაისის საქალაქო სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**8. ბათუმის საქალაქო სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**9. ზუგდიდის რაიონული სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**10. თელავის რაიონული სასამართლო:**
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 50 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) მანდატურის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- საქართველოს კონსტიტუციის, "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

ბ) მანდატურის თანამდებობაზე:
- "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;

კონკურსს ატარებს შესაბამისი სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. ავტობიოგრაფია;**
**2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);**
**3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;**
**4. ცნობა ნასამართლობის შესახებ;**
**5. ორი ფოტოსურათი;**
**6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.**

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა. კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიების სამდივნოებს შემდეგ მისამართებზე:

**ქ. თბილისში -** გრ. რობაქიძის გამზ. N7ა, თბილისის სააპელაციო სასამართლო.
**ქ. ქუთაისში -** ნიუპორტის ქ. N32, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.
**ქ. ფოთში** - დ. აღმაშენებლის ქ. N3, ფოთის რაიონული სასამართლო.
**ქ. გორში** - ს. ჯორბენაძის ქ. N30, გორის რაიონული სასამართლო.
**ქ. რუსთავში** - ბოსტანქალაქის ქ. N6, რუსთავის საქალაქო სასამართლო.
**ქ. ბათუმში -** ჯავახიშვილის ქ. N5, ბათუმის საქალაქო სასამართლო.
**ქ. ზუგდიდში** - ლაღიძის ქ. N12, ზუგდიდის რაიონული სასამართლო.
**ქ. თელავში** - ვარდოშვილის ქ. N9, თელავის რაიონული სასამართლო.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






**www.interes.ge**

**სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!**
**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა.**
**გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**
ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ **TV**, გურმანი, **sms**-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, **Chat**, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.


## სკანვორდი

